


გზამკვლევი ქსევიტი თერაპევტებისთვის



გზამკვლევი ქცევითი თერაპევტებისთვის



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY
თბილისი 2023 Tbilisi

გზამკვლევი ქცევითი თერაპევტებისთვის

გზამკვლევის ავტორი: თამარ სენიაშვილი, MA, BCBA

სამეცნიერო რედაქტორი: თინათინ ჭინჭარაული, PhD, BCBA

ილუსტრატორი: ლელა ფალელაშვილი

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1. ქცევის გამოყენებითი ანალიზის მახასიათებლები	5
1.1 რა არის ქცევის გამოყენებითი ანალიზი?	5
1.2 მეცნიერული კვლევის სამი საფეხური	7
1.3. ქცევის გამოყენებითი ანალიზის შვიდი განზომილება	9
1.4. მეცნიერების ატიტუდები	11
თავი 2. ქცევა	13
2.1. რა არის ქცევა?	13
2.2. ორი ტიპის ქცევა - რესპოდენტული და ოპერანტული	15
2.3. ოპერანტული და რესპოდენტული განპირობებულობა	17
2.4. რესპოდენტული და ოპერანტული ჩაქრობა	19
თავი 3. გაზომვა	19
3.1. გაზომვა	19
3.2. დამკვირვებლებს შორის შეთანხმება	21
3.3 სანდოობის გამოთვლის მეთოდები	21
3.4 ვალიდობა, სანდოობა და სიზუსტე	25
თავი 4. ქცევის შეფასება, სამიზნე ქცევის განსაზღვრა, შერჩევა და მონაცემების ინტერპრეტაცია	27
4.1. ქცევის ფუნქციური შეფასება და ქცევის ფუნქციები	27
4.2. სამიზნე ქცევის განსაზღვრა	31
4.3. სამიზნე ქცევის შერჩევა	31
4.4. ვიზუალური ანალიზი	33
4.5 გრაფიკები	34
4.6 ექსპერიმენტული ანალიზი	35
თავი 5. განმტკიცება	38
5.1. დადებითი და უარყოფითი განმტკიცება	38
5.2. განმტკიცების განრიგები	40
5.3. უპირატესი სტიმულების შეფასება	42
5.4. განმტკიცების რთული განრიგი	46
5.5. დიფერენციალური განმტკიცება	49
თავი 6. დასჯა	52
6.1. დადებითი დასჯა	52

6.2. უარყოფითი დასჯა	53
6.3. ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ დასჯის პროცედურის ეფექტურობაზე	54
თავი 7. ჩაქრობა	56
თავი 8. წინაპირობის ცვლადები	58
8.1. მოტივაციური ოპერაციები	58
8.2. სტიმული	60
8.3 სტიმულის კონტროლი	61
8.4. დახმარება	63
თავი 9. ვერბალური ქცევა	64
თავი 10. წინაპირობის ინტერვენცია	68
თავი 11. ახალი ქცევის ჩამოყალიბება	71
11.1. ფორმირება	71
11.2. იმიტაცია	73
11.3. ქცევითი ჯაჭვი	75
თავი 12. გენერალიზება	78
12.1. განზოგადება/გადატანა	78
12.2. ცნების ფორმირება	80
თავი 13. სპეციალური სტრატეგიები	81
13.1. ცალკეული სინჯებით სწავლება	81
13.2. შეტონების სისტემა	82
13.3. ჯგუფური პირობა	84
13.4. თვითმართვა	85
13.5. ქცევითი კონტრაქტი	87
დანართი	89

შესავალი

მოცემული გზამკვლევი დამხმარე სახელმძღვანელოა ქცევის გამოყენებითი ანალიზით მომუშავე სპეციალისტებისა და მოცემული სფეროთი დაინტერესებული ყველა ადამიანისთვის.

გზამკვლევი შედგენილია ქცევის გამოყენებითი ანალიზის მთავარ სახელმძღვანელოდ აღიარებული კუპერის, ჰარონისა და ჰიუარდის „ქცევის გამოყენებითი ანალიზი“ (Cooper J. O., Heron, T. E., Heward, W. L. (2020). Applied Behavior Analysis. 3rd edition) სახელმძღვანელოს მესამე რედაქტირებული გამოცემის მიხედვით. მასალის უკეთ გაგებისთვის თითოეული ცნებისა თუ პრინციპის განსაზღვრებას თან ახლავს შესაბამისი მაგალითები, ინფოგრაფიკები და დანართის სახით ძირითადი ცნებების, პრინციპებისა თუ სტრატეგიების შესახებ ცოდნის თვით-შემოწმების ტესტები სწორი პასუხებით.

თავი 1. ქცევის გამოყენებითი ანალიზის მახასიათებლები

1.1 რა არის ქცევის გამოყენებითი ანალიზი?

რა არის ქცევის გამოყენებითი ანალიზი (ქგა)?

ქცევის გამოყენებითი ანალიზი დასწავლის თეორიაზე დაფუძნებული მეცნიერული დისციპლინაა. ქგა-გარემო ფაქტორების შესწავლითა და ცვლილებებით გავლენას ახდენს სოციალურად მნიშვნელოვან ქცევებზე, იქნება ეს სასურველი ქცევების დასწავლა თუ იმ ქცევების შემცირება-ჩაქრობა, რომლებიც ინდივიდს საზოგადოებაში ინტეგრაციაში უშლის ხელს (Baer, Wolf, & Risley, 1968).

ქგა ქცევაში ცვლილების მისაღწევად ქცევის დასწავლის პრინციპზე დაფუძნებულ პროცედურებსა და სტრატეგიებს იყენებს, რომელთა ეფექტურობაც მრავალი კვლევითაა დადასტურებული. (სურ.1)



ქცევის გამოყენებითი ანალიზი



დასწავლის თეორიაზე დაფუძნებული მეცნიერული დისციპლინა, რომელიც მიზნად ისახავს:

1. სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევების დასწავლას;



2. იმ ქცევების შემცირებას, რომლებიც ხელს უშლის ინდივიდს საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

სურ. 1 ქცევის გამოყენებითი ანალიზი

1.2 მეცნიერული კვლევის სამი საფეხური

აღწერა - აღწერითი ცოდნა მოიცავს დაკვირვებითი ფაქტების ერთობლიობას, რომლებიც შეიძლება გაიზომოს, კლასიფიცირდეს და შეფასდეს სხვა ცნობილ ფაქტებთან შესაძლო კავშირების დასადგენად. აღწერითი კვლევებით მიღებული ჰიპოთეზები და საკვლევი კითხვები შემდგომი კვლევების საფუძველი ხდება.

მაგ.: ნინო (ქცევის სპეციალისტი) აკვირდებოდა მათეს სკოლაში დასვენებაზე და ჩაიწერა: „მათემ 2-ჯერ გამოიჩინა ინიციატივა თანაკლასელებთან თამაშის დროს 15 წუთის განმავლობაში“.

წინასწარმეტყველება - განმეორებითი დაკვირვებები ცხადყოფს, რომ ორი თანმიმდევრული მოვლენა უკავშირდება ერთმანეთს, რაც ერთი მოვლენის არსებობის შემთხვევაში მეორის წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა.

მაგ.: ნინო აკვირდებოდა მათეს სხვადასხვა გარემოში; მან დაინახა, რომ მათე ხმას არ იღებს, როდესაც უცხო ადამიანი ჩნდება გარემოში. ნინომ ივარაუდა, რომ ყოველთვის, როდესაც მათესთვის უცხო ადამიანი იქნება გარემოში, მათე ხმას არ ამოიღებს.

კონტროლი - მეცნიერული კვლევის უმაღლესი საფეხურია. ორ ცვლადს შორის არსებობს დადასტურებული ფუნქციური კავშირი, რაც საშუალებას იძლევა, ერთი ცვლადის მანიპულაციით მიღწეულ იქნას მეორე ცვლადის ცვლილება. ფუნქციური კავშირის აღმოჩენა და დადასტურება კონტროლირებადი ექსპერიმენტის საშუალებით ხდება. ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ ერთი მოვლენის (დამოკიდებული ცვლადი) კონკრეტული ცვლილება სანდოდ წარმოიქმნება სხვა მოვლენის (დამოუკიდებელი ცვლადი) სპეციფიკური მანიპულაციების შედეგად და ნაკლებად სავარაუდოა, დამოკიდებული ცვლადის ცვლილება სხვა დამატებითი ფაქტორების შედეგი იყოს. (სურ. 2)

მეცნიერული კვლევის სამი საფეხური

აღწერა

1



მოიცავს დაკვირვებითი ფაქტების ერთობლიობას, რომელიც შეიძლება

- აღწერო,
- გამოიკვლიო,
- შეაფასო,

სხვა ცნობილ ფაქტებთან შესაძლო ურთიერთობისთვის.

წინასწარმეტყველება

2



განმეორებითი დაკვირვება ცხადყოფს, რომ ორი თანმიმდევრული მოვლენა ერთმანეთს უკავშირდება.

კონტროლი

3



ფუნქციური კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ერთი მოვლენის კონკრეტული ცვლილება საიმედოდ წარმოიქმნება სხვა მოვლენის სპეციფიკური მანიპულაციებით.

სურ. 2 მეცნიერების კვლევის სამი საფეხური

1.3. ქცევის გამოყენებითი ანალიზის შვიდი განზომილება

1968 წელს ბაიერმა, ვულფმა და რიზლიმ შემოგვთავაზეს ქცევის გამოყენებითი ანალიზის შვიდი განზომილება (Baer, Wolf, & Risley, 1968), რომლებიც ფაქტობრივად დღემდე განსაზღვრავენ ქვა-ს კვლევით და გამოყენებით ჩარჩოს.

- **გამოყენებითი** - სამიზნე ქცევა სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა უნდა იყოს, რომლის დაუფლებაც ინდივიდის ცხოვრების ხარისხს გააუმჯობესებს (მაგ.: ვერბალური ქცევა, თვითმოვლის უნარები, აკადემიური უნარები, შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ქცევები და ა. შ.).

სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა გულისხმობს იმ ქცევებს, რომლის ცვლილებაც კლიენტის, მისი გარემოცვისა და ზოგადად საზოგადოების ცხოვრების ხარისხზე ახდენს გავლენას.

- **ქცევითი** - ეს კრიტერიუმი რომ დაკმაყოფილდეს, პრაქტიკოსმა ან მკვლევარმა უნდა აირჩიოს ისეთი ქცევა, რომლის ცვლილებაც (გაუმჯობესებაც) ნამდვილად საჭიროა; შესაძლებელი უნდა იყოს ამ ქცევის გაზომვა; მნიშვნელოვანია ასევე იმის განსაზღვრაც, თუ ვისი ქცევის ცვლილებაა საჭირო;

- **ანალიტიკური** - კვლევა ანალიტიკურია, თუ დასტურდება სამიზნე ქცევის რომელიმე გაზომვად მახასიათებელსა და მანიპულირებად გარემო სტიმულს/სტიმულებს შორის ფუნქციური კავშირი; ექსპერიმენტატორს უნდა შეეძლოს ქცევის გამოვლენა-არგამოვლენის კონტროლი;

- **ტექნოლოგიური** - გულისხმობს პროცედურების მკაფიოდ და დეტალურად აღწერას, რომ ინტერვენციის განხორციელება ზუსტად, მოთხოვნის შესაბამისად მოხდეს და შესაძლებელი იყოს სხვა პრაქტიკოსის/მკვლევარის მიერ იმავე პროცედურის ზედმიწევნით სიზუსტით გამეორება;

- **კონცეპტუალურად სისტემატური** - ინტერვენციისას გამოყენებული ყველა პროცედურა ქცევის ანალიზის პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული და ინტერპრეტაციაც მოცემული პრინციპების ფარგლებში უნდა ხდებოდეს;

- **ეფექტური** - ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული კვლევის ან ინტერვენციის შემდეგ ქცევა სოციალურად ან კლინიკურად მნიშვნელოვან ცვლილებას უნდა განიცდიდეს. მხოლოდ ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილდა;

- **გენერალიზებადი** - გულისხმობს დასწავლილი ქცევის განსხვავებულ პირობებსა თუ ადამიანებთან თერაპიის დასრულების შემდეგაც გამოვლენასა და დროში შენარჩუნებას. ასევე გენერალიზებადობის კრიტერიუმი შეიძლება გავრცელდეს ჩარევის შედეგების ისეთ ქცევებზეც, რომლებიც არ იყვნენ ინტერვენციის პირველადი სამიზნეები. (სურ. 3)

ქცევის გამოყენებითი ანალიზის შვიდი განზომილება

01



გამოყენებითი

ქცევის ცვლილებისთვის უნდა შეირჩეს სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა, რაც ინდივიდის ცხოვრების ხარისხს გააუმჯობესებს.

02



ქცევითი

შეირჩეს ისეთი ქცევა, რომლის ცვლილებაც ნამდვილად არის საჭირო;

03



ანალიტიკური

შებლედული გარემო პირობებისა და ქცევის მიუხედავად, უმაღლესი კონტროლის დემონსტრირება;

04



ტექნოლოგიური

პროცედურების მკაფიოდ და დეტალურად აღწერა, რათა ინტერვენცია განხორციელდეს მოთხოვნის შესაბამისად.

05



კონცეპტუალურად სისტემატური

ინტერვენციისას გამოყენებული ყველა პროცედურა ქცევის გამოყენებით ანალიზის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს.

06



ეფექტური

კვლევის ან ინტერვენციის შემდეგ ქცევის ცვლილება სოციალურად ან კლინიკურად მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა.

07



გენერალიზებადი

დასწავლილი ქცევის განსხვავებულ პირობებში აღმოცენება.

სურ. 3 შვიდი განზომილება

1.4. მეცნიერების ატიტუდები

- **დეტერმინიზმი** - სამყარო კანონზომიერია, რომელშიც ყველა ფენომენი სხვა მოვლენის შედეგად ხორციელდება.

მაგ.: ნინო და მათე სავახშმოდ დასხდნენ. სახლში მხოლოდ ორნი იყვნენ. მათემ ნინოს წყლის მოტანა სთხოვა. ნინო როდესაც დაბრუნდა, თეფში ცარიელი დახვდა. ნინომ დაასკვნა, რომ ვახშამი მათემ მიირთვა.

- **ემპირიზმი** - ინტერესის ფენომენის ობიექტური დაკვირვება და გაზომვა (ფაქტები, მონაცემები).

მაგ.: ნინო აკვირდებოდა მათეს. მათემ მიირთვა 2 ცალი კვერცი და 1 ფინჯანი ჩაი დალია.


- **ექსპერიმენტი** - დამოკიდებული ცვლადის ცვლილების მიზნით დამოუკიდებელი ცვლადებით მანიპულირება; მონაცემების შეგროვება.

- **რეპლიკაცია** - უკვე განხორციელებული ექსპერიმენტის გამეორება, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგი ჰქონდა წინა ექსპერიმენტს. ავლენს ექსპერიმენტის შეცდომებს და მონაცემების სანდოობას.

- **ფილოსოფიური ეჭვი** - პოზიცია, რომლის თანახმადაც, ყველა მეცნიერული თეორიის ვალიდობა და სანდოობა მუდმივად ეჭვქვეშ უნდა დგებოდეს.

- **პარსიმონია** - მარტივი ლოგიკური ახსნის პრაქტიკა უფრო რთულ და აბსტრაქტულ განმარტებამდე.

- **პრაგმატიზმი** - ფილოსოფიური პოზიცია, რომელიც ამტკიცებს, რომ მტკიცებულებების ჭეშმარიტება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ეფექტურად შეგიძლია მათი გამოყენება. პრაგმატიზმი წარმოადგენს პირველ კრიტერიუმს, რომლითაც ქცევის ანალიტიკოსები მსჯელობენ თავიანთ მიგნებებზე (შედეგებზე). (სურ. 4)



სურ.4 მეცნიერების ატიტუდები

თავი 2. ქცევა

2.1. რა არის ქცევა?

ქცევა არის ცოცხალი ორგანიზმის აქტივობა. ქცევა გულისხმობს ყველაფერს, რასაც ცოცხალი ორგანიზმი აკეთებს.

ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთქმედების ის ოდენობა, რომელიც სივრცესა და დროში შესამჩნევია ორგანიზმის რაიმე ნაწილის გადაადგილების სახით და მას შედეგად გარემოში ახლავს, სულ მცირე, ერთი გაზომვადი ცვლილება.

1960 წელს ოგდენ ლინდსლიმ შემოგვთავაზა „მკვდარი ადამიანის ტესტი“. ტესტის თანახმად, თუ მკვდარ ადამიანს შეუძლია რამის გაკეთება, ეს ქცევა არ არის. ეს ტესტი ეხმარებოდა პედაგოგებს სამიზნე ქცევის სწორ განსაზღვრაში.

მაგ.: ქცევა არ არის წყნარად ჯდომა; არგაკეთება; დასვენება წვიმაში - ეს მკვდარ ადამიანსაც შეუძლია.

მკვდარ ადამიანს არ შეუძლია ტირილი, ფიქრი, ხეზე ასვლა.

პასუხი (რეაქცია) არის ქცევის ერთეული.

ქცევათა (პასუხების) ჯგუფს, რომელსაც აქვს მსგავსი ფუნქცია, თუმცა შეიძლება ტოპოგრაფიულად განსხვავდებოდეს, პასუხების კლასი ეწოდება.

რეფლექსი-სტიმული - რეაქციის ურთიერთკავშირი, რომელიც შედგება წინაპირობის სტიმულისა და ამ სტიმულით გამოწვეული რესპოდენტული ქცევით (მაგალითად: კაშკაშა შუქი თვალის გუგის შევიწროებას იწვევს).

პირობითი და უპირობო რეფლექსები იცავენ ორგანიზმს დამაზიანებელი გამლიზიანებლისგან და ორგანიზმის შინაგანი ბალანსის რეგულირებას უზრუნველყოფენ. (სურ. 5)

რა არის ქცევა?

ქცევა



ფიქრი



ტირილი



კითხვა

ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთქმედების ის ოდენობა, რომელიც სივრცესა და დროში უამჩნევადია ორგანიზმის რაიმე ნაწილის გადაადგილების სახით და მას უძღვებად გარემოში ახლავს სულ მცირე ერთი გავრცელები ცვლილება.

ქცევა არის ცოცხალი ორგანიზმის აქტივობა. ქცევა გულისხმობს ყველაფერს, რასაც ცოცხალი ორგანიზმი აკეთებს.

~~ქცევა~~



გაუნძრევლად წოლა



წვიმაში დასველება

პასუხების კლასი.

ქცევათა (პასუხების) ჯგუფს, რომელსაც აქვს მსგავსი ფუნქცია, თუმცა შეიძლება ტოპოგრაფიულად განსხვავდებოდეს, პასუხების კლასი ეწოდება.

სურ. 5 რა არის ქცევა?

2.2. ორი ტიპის ქცევა - რესპოდენტული და ოპერანტული

რესპოდენტული ქცევა: რეფლექსის პასუხის კომპონენტი, რომელსაც წინაპირობის სტიმული იწვევს და არ საჭიროებს დასწავლას.

რეფლექსი;

ფილოგენური-ბუნებრივი გადარჩევა;

ჰაბიტუაცია - სტიმულის განმეორებითი წარდგენის შემდეგ მცირდება პასუხების მგრძობელობა.

ქცევის ორპირობიანი გარემოება - S-R:

წინაპირობა	ქცევა	შედეგი
------------	-------	--------

ჰაერის ნაკადი	თვალის დახამხამება	X
---------------	--------------------	---

ოპერანტული ქცევა: ქცევა, რომელიც შეიძლება, ნარჩუნდება და შედეგიდან გამომდინარე არის სტიმულის კონტროლის ქვეშ;

ყოველი ადამიანის ოპერანტული ქცევა გარემოსთან ურთიერთკავშირის პროდუქტს წარმოადგენს.

ონტოგენური;

დასწავლილი;

ადაპტაცია - სტიმულის განმეორებითი წარდგენის შემდეგ მცირდება პასუხების სიხშირე.

ქცევის სამპირობიანი გარემოება: S-R-S

წინაპირობა	ქცევა	შედეგი
------------	-------	--------

ნინომ და მათემ სათამაშოების მათემ ყვირილი დაიწყო ნინომ სათამაშო უყიდა მათეს მალაზიასთან ჩაიარეს

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 6.

რესპოდენტული

ორი ტიპის ქცევა

ოპერანტული

რეფლექსის პასუხის კომპონენტი



ქცევა, რომელიც შეირჩა, ნარჩუნდება და არის სტიმულის კონტროლის ქვეშ შედეგთან მიმართებით.



ქცევა, რომელსაც წინაპირობის სტიმული იწვევს.



ყოველი ადამიანის ოპერანტული ქცევა გარემოსთან ურთიერთკავშირის პროდუქტს წარმოადგენს.



არ საჭიროებს დასწავლას.



დასწავლილი.



ფილოგენური - ბუნებრივი გადარჩევა.




ონტოგენური.



ჰაბიტუაცია - სტიმულის განმეორებითი წარდგენის შემდეგ მცირდება პასუხების მგრძობელობა.



ადაპტაცია - სტიმულის განმეორებითი წარდგენის შემდეგ მცირდება პასუხების სიხშირე.



ქცევის ორპირობიანი გარემოება S-R

წინაპირობა	ქცევა	შედეგი

ქცევის სამპირობიანი გარემოება S-R-S

წინაპირობა	ქცევა	შედეგი

სურ. 6 ორი ტიპის ქცევა

2.3. ოპერანტული და რესპოდენტული განპირობებულობა

რესპოდენტული განპირობებულობა:

ეს სტიმულის სტიმულთან დაწყვილების პროცედურაა, რომელშიც ხდება ნეიტრალური სტიმულის (NS) მიწოდება უპირობო სტიმულთან (UC) ერთად იმდენჯერ, ვიდრე ნეიტრალური სტიმული განდება პირობითი სტიმული (CS) და უკვე უპირობო სტიმულის გარეშე გამოიწვევს რესპოდენტულ ქცევას; ამ შემთხვევაში აღძრულ რეაქციას უკვე პირობით რეაქციას ვუწოდებთ. ის ასევე ცნობილია, როგორც კლასიკური ან პავლოვის განპირობებულობა.

უმაღლესი რიგის განპირობებულობა - ნეიტრალური სტიმულის (NS) პირობით სტიმულთან (CS) დაწყვილებით პირობითი რეფლექსის ჩამოყალიბება. ასევე ცნობილია, როგორც მეორადი განპირობებულობა (Higher order conditioning. AKA: secondary conditioning).


ოპერანტული განპირობებულობა:

ეს ბაზისური პროცესია, რომლის საშუალებითაც ხდება ოპერანტული დასწავლა; შედეგს (რეაქციის შემდეგ სტიმულის დაუყოვნებლივი ცვლილება) მიყვარათ ერთი და იმავე ტიპის ქცევის სიხშირის ზრდასთან (განმტკიცება) ან შემცირებასთან (დასჯა) მომავალში მსგავსი მოტივაციური ოპერაციებისა და გარემო პირობების შემთხვევაში.

წინაპირობა	ქცევა	შედეგი
ნინომ ჰკითხა მათეს: რა გქვია?	მათემ უპასუხა: მათე.	ნინომ შეაქო

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 7.

რესპოდენტული განპირობებულობა

განპირობებულობადა 

ე.ს. → ე.რ.





სორცი ოსპარი სალივაცია

ნ.ს. → x





ზარი ოსპარი არ არის სალივაცია


უ.ს. = უპირობო სტიმული
 უ.რ. = უპირობო რეაქცია
 პ.ს. = პირობითი სტიმული
 პ.რ. = პირობითი რეაქცია
 ნ.ს. = ნეიტრალური სტიმული

განპირობების დროს 


ნ.ს. + ე.ს. → ე.რ.



+


ზარი სორცი ოსპარი სალივაცია

(მრავალი სინჯი)
 განპირობებულობის შამადა 

ჰ.ს. → ჰ.რ.




ზარი ოსპარი სალივაცია

 ზარი უპირობო სტიმულთან დაწყვილებით გახდა პირობითი სტიმული, რომელიც პირობით რეაქციას იწვევს.

სურ. 7 რესპოდენტული განპირობებულობა

2.4. რესპოდენტული და ოპერანტული ჩაქრობა

რესპოდენტული ჩაქრობა

ეს არის პირობითი სტიმულის განმეორებითი, მრავალჯერადი წარდგენა უპირობო სტიმულის არარსებობის შემთხვევაში; პირობითი სტიმული თანდათან კარგავს პირობითი რეაქციის გამომწვევ უნარს იქამდე, ვიდრე პირობითი რეფლექსი საბოლოოდ გაქრება ინდივიდის რეპერტუარიდან.

ოპერანტული ჩაქრობა - განმამტკიცებლის არმიწოდება, როდესაც ქცევას არ მოჰყვება შედეგი.

თავი 3. გაზომვა

3.1. გაზომვა

ქცევის გაზომვის პროცესი - ქცევას ვაკვირდებით, ვიწერთ და მის სხვადასხვა მახასიათებელს სხვადასხვა რიცხვით მნიშვნელობას ვანიჭებთ.

გაზომვადი ფუნდამენტური სიდიდეები (dimensional quantities)

1. განმეორებითობა (Repeatability)

- სიხშირე (Rate) - ქცევის თვლადი რაოდენობა დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

- უნარების განვითარების შეფასება და დახელოვნება საჭიროებს როგორც სწორი, ასევე არასწორი პასუხების გაზომვას.
- სასურველი საზომია თავისუფალი ოპერანტების გაზომვისას.
- არ გამოიყენება ცალკეული სინჯებით სწავლისას.

- ქცევის განმეორებითობის ყველაზე სენსიტიური საზომი.

- მაგ.: ნინომ 5 წუთში 2 ჭიქა ყავა მოამზადა.

- რაოდენობა (Count) - პასუხების (რეაქციების) რაოდენობა დროის მონაკვეთის განსაზღვრის გარეშე.

- მაგ.: ნინომ გუშინ ორჯერ მოწმინდა იატაკი.

- სელერაცია (Celeration) - ზოგადი ტერმინი, რომელიც აღწერს პასუხების რაოდენობის ცვლილებას დროში.

- რეკომენდებულია სიხშირის მინიმუმ 7-ჯერ გაზომვა.
- ავლენს ქცევის ცვლილების დინამიკურ პატერნს ერთი მდგომარეობიდან დახელოვნებამდე.
- მაგ.: ნინომ ორშაბათს 5 ამოცანა ამოხსნა, სამშაბათს - 6 ამოცანა, ოთხშაბათს კი - 10 ამოცანა.

2. განგრძობადობა (temporal extent)

- ხანგრძლივობა -- დრო რეაქციის დასაწყისიდან დასასრულამდე.

- მნიშვნელოვანი საზომი, როდესაც სამიზნე ქცევა პრობლემური ხანგრძლივობის გამო - ან დიდხანს გრძელდება, ან ძალიან

მცირე ხანს.

- o მნიშვნელოვანი საზომია ისეთი ქცევებისთვის, რომელთაც არ აქვთ მკაფიო დასაწყისი და დასასრული და თითოეული რეაქციის აღრიცხვა შეუძლებელია.
- o მაგ.: 10-მეტრიანი აუზის გადაცურვას მათემ 3 წუთი მოანდომა.

3. დროითი ლოკუსი (temporal locus)

- o ლატენცია (latency) - დრო სტიმულის წარდგენიდან რეაქციის აღმოცენებამდე.

მაგ.: ნინომ მათეს სათამაშოების აკრეფა სთხოვა. მათემ 5 წუთის შემდეგ დაიწყო ინსტრუქციის შესრულება.

- o რეაქციებს შორის დრო (IRT) - დრო ორ თანმიმდევრულ რეაქციას შორის.

მაგ.: ნინო 1 ჭიქა ყავის მომზადებას 5 წუთს ანდომებს, მაგრამ შემდეგი ჭიქის მომზადების დაწყებამდე ნინოს 3 წუთი სჭირდება. 3 წუთი არის რეაქციებს შორის დრო.

მიღებული საზომები

- პროცენტი (percent) - პასუხების რაოდენობის თანაფარდობა (პროპორცია) მთლიან რაოდენობასთან მიმართებით (შესაძლებლობა ან ინტერვალები, რომლებშიც ასეთი პასუხების მიღება შესაძლებელია).

- o პროცენტი წარმოადგენს პროპორციულ რაოდენობას გაყოფილს 100-ზე.
- o არ გამოიყენება დახელოვნების შესაფასებლად.

- სინჯები კრიტერიუმამდე (trials to criteria) - პასუხების ან შესაძლებლობის სპეციალური საზომი, რომელიც ადამიანის ქცევის დახელოვნების წინასწარ შეთანხმებულ კრიტერიუმს განსაზღვრავს.

- o მნიშვნელოვანი საზომია, რომელიც მოსწავლის ახალი უნარის ცვლილებას განსაზღვრავს დახელოვნებამდე.

განმსაზღვრელი საზომი

- ტოპოგრაფია (topography) - რეაქციის ფიზიკური მაჩვენებელი ან ფორმა.

- o მნიშვნელოვანი საზომი, როდესაც ქცევის სასურველი შედეგები უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ ფორმას.
- o მნიშვნელოვანია ქცევის სტილი, ფორმა.

- მაგნიტუდა (magnitude) - ქცევის სიძლიერე, ინტენსივობა, ამპლიტუდა. მოვლენის ჩაწერა:

- სიხშირე

- რაოდენობა

დროის დათვლა:

- ლატენცია

- ხანგრძლივობა
- რეაქციებს შორის დრო

უწყვეტი გაზომვა - გაზომვის შედეგად დაკვირვების პერიოდში პასუხების კლასის თითოეული პასუხის აღრიცხვაა შესაძლებელი.

წყვეტილი გაზომვა - გაზომვის შედეგად დაკვირვების პერიოდში პასუხების კლასის მხოლოდ ზოგიერთი პასუხის აღრიცხვაა შესაძლებელი.

დროის ნიმუში - მეთოდი, რომელიც ზომავს, გამოვლინდა თუ არა ქცევა დროის კონკრეტულ მონაკვეთში. ძირითადად გამოიყენება უწყვეტი და მაღალი სიხშირის ქცევის გასაზომად. დროის ნიმუშის ფორმებია:

- არასრული ინტერვალის ჩაწერა (Partial-interval recording) - წინასწარ შეთანხმებულ ინტერვალში ერთხელ მაინც უნდა გამოვლინდეს ქცევა.
- სრული ინტერვალის ჩაწერა (Whole-interval recording) - წინასწარ შეთანხმებულ ინტერვალში მთელი ინტერვალის განმავლობაში უნდა ხორციელდებოდეს ქცევა.
- დროის მომენტალური ნიმუში (Momentary time sampling) - წინასწარ შეთანხმებული ინტერვალის ბოლოს უნდა ხორციელდებოდეს ქცევა.
- აქტივობათა დაგეგმილი შემოწმება (Planned activity check/PLACHECK) - დროის მომენტალური ნიმუშის ინვარიანტი ჯგუფისთვის.

პერმანენტული პროდუქტი - ქცევის შედეგი, რომელიც მუდმივია ან ნაწილობრივ მუდმივი და რომელსაც შეიძლება დავაკვირდეთ ქცევის დასრულების შემდეგ. პერმანენტული პროდუქტების დათვლის შემთხვევაში სამიზნე ქცევაზე პირდაპირი დაკვირვება არ ხორციელდება, თუმცა თვითონ პროდუქტი, როგორც ქცევის შედეგი, თვალსაჩინო და გაზომვადია.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 8.

3.2. დამკვირვებლებს შორის შეთანხმება

- დამკვირვებლებს შორის შეთანხმება არის ორი ან მეტი დამკვირვებლის მიერ ერთი და იმავე მოვლენის გაზომვის შედეგად წარმოდგენილი მონაცემების სანდოობის ხარისხი. მონაცემების სანდოობა იზომება როგორც შეთანხმების კოეფიციენტი ორ ან მეტ დამოუკიდებელ დამკვირვებელს შორის - INTEROBSERVER AGREEMENT – IOA.
- ჩვეულებრივ, გამოითვლება როგორც პროცენტი.
- დამკვირვებლებს შორის სანდოობის გამოთვლის ორი ძირითადი ხერხი:
 1. (ნაკლები/მეტი) X 100 (მეტად ერგება პირდაპირი/უწყვეტი გაზომვის მეთოდებს).
 2. (შეთანხმება/(შეთანხმება+არ შეთანხმება)) X 100 (მეტად ერგება ირიბი/წყვეტილი მეთოდების გაზომვას).

3.3 სანდოობის გამოთვლის მეთოდები:

- ◆ მოვლენის ჩაწერისთვის:

1. საერთო რაოდენობა - მოვლენის გამოთვლის ყველაზე მარტივი მეთოდი; მაგალითად, ერთი დამკვირვებლის მონაცემის ჯამს (ნაკლები) ვყოფთ მეორე დამკვირვებლის მონაცემის ჯამზე (მეტი) და ვამრავლებთ ასზე.

მაგ.: ორი დამკვირვებელი იწერს პროცედურას. ნაკლებ რაოდენობას ვყოფთ მეტზე და ვამრავლებთ 100%-ზე.

$$9/10 * 100\% . \quad IOA= 90\%$$

ინტერვალი	დამკვირვებელი 1	დამკვირვებელი 2	IOA ინტერვალის მიხედვით
1(10:00-10:05)	III	II	2/3=66%
2(10:05-10:10)	III	III	3/3=100%
3(10:10-10:15)	I	II	1/2=50%
4(10:15-10:20)	IIII	III	3/4=75%
5(10:20-10:25)	0	I	0/1=0%
6(10:25-10:30)	IIII	IIII	4/4=100%
	საერთო რაოდენობა=15	საერთო რაოდენობა=15	საშუალო რაოდენობა ინტერვალში IOA=65%

2. საშუალო რაოდენობა ინტერვალის მიხედვით - მოვლენის ყველაზე ზუსტი გამოთვლა. თითოეულ ინტერვალში ნაკლებ რაოდენობას ვყოფთ მეტზე, ვაჯამებთ ყველა შედეგს, ვყოფთ ინტერვალების საერთო რაოდენობაზე და ვამრავლებთ ასზე.

$$0,66+1+0,50+0,75+0+1=3,91/6 \text{ ინტერვალი} * 100\% \\ IOA=65\%$$

3. დაკვირვების შეთანხმება რეაქციის ზუსტი ღირებულების დათვლისთვის - Exact count-per-interval IOA.

ეს არის შეთანხმების ყველაზე მკაცრი შეფასება. ყურადღება ექცევა მხოლოდ იმ ინტერვალებს, რომლებშიც დამკვირვებლები შეთანხმდნენ. იმ ინტერვალებს, რომლებშიც დამკვირვებლები შეთანხმდნენ, ვკრებთ, ვყოფთ ინტერვალების საერთო რაოდენობაზე და ვამრავლებთ 100%-ზე.

ინტერვალი	დამკვირვებელი 1	დამკვირვებელი 2	IOA
1(10:00-10:05)	III	II	
2(10:05-10:10)	III	III	
3(10:10-10:15)	I	II	
4(10:15-10:20)	IIII	III	
5(10:20-10:25)	0	I	
6(10:25-10:30)	IIII	IIII	
	ს ა ე რ თ ო რაოდენობა=15	ს ა ე რ თ ო რაოდენობა=15	ზუსტი რაოდენობა ინტერვალში IOA=33%

$$2/6*100\%$$

$$IOA=33\%$$

4. დაკვირვების შეთანხმების დათვლა ცალკეული სინჯებისთვის (Trial-by-trial of IOA) - გამოიყენება ცალკეული სინჯებით სწავლებისთვის. იმ ინტერვალებს, რომლებზეც დამკვირვებლები შეთანხმდნენ, ვყოფთ ინტერვალების საერთო რაოდენობაზე და ვამრავლებთ ასზე.

◆ დროის დათვლისთვის:

1. დაკვირვების შეთანხმება საერთო ხანგრძლივობის გაზომვისათვის - Total duration IOA

ნაკლებ დროს ვყოფთ მეტზე და ვამრავლებთ 100-ზე.

	R1	R2	R3	R4	R5	
1 დამკვირვებელი	35	15	9	14	17	ხანგრძლივობის ჯამი=90 წამი
2 დამკვირვებელი	29	21	7	14	14	ხანგრძლივობა =85 წამი

$$85/90*100\%$$

$$IOA=94,4\%$$

2. დაკვირვების შეთანხმება საერთო ხანგრძლივობის საშუალო მნიშვნელობის გაზომვისათვის - Mean duration – per – occurrence IOA თითოეულ ინტერვალში ნაკლებ რაოდენობას ვყოფთ მეტზე, შედეგს ვაჯამებთ, ვყოფთ ინტერვალების საერთო რაოდენობაზე და ვამრავლებთ 100-ზე.

	R1	R2	R3	R4	R5	
1 დამკვირვებელი	35	15	9	14	17	ხანგრძლივობის ჯამი=90 წამი
2 დამკვირვებელი	29	21	7	14	14	ხანგრძლივობის ჯამი =85 წამი

ამ კონკრეტულ შემთხვევაში: R1 29/35; R2 15/21; R3 7/9; R4 14/14; R5 14/17 += 4,14/5*100% IOA=83%

◆ დროის ნიმუშისთვის:

1. დამკვირვებლების შეთანხმების დათვლა ინტერვალური გაზომვისათვის - Interval-by-interval IOA

შეთანხმებას ვყოფთ ინტერვალების საერთო რაოდენობაზე და ვამრავლებთ 100-ზე.

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დამკვირვებელი 1	X	X	X	O	X	X	O	X	X	O
დამკვირვებელი 2	O	X	X	O	X	O	O	O	X	O

$$7/10 \cdot 100\%$$

$$IOA=70\%$$

2. დამკვირვებელთა შეთანხმების აღწერილი ინტერვალის დათვლა - Scored-interval IOA - გამოიყენება დაბალი სიხშირის ქცევებისთვის.

გამოთვლისთვის საინტერესოა მხოლოდ ის ინტერვალები, რომლებშიც განხორციელდა ქცევა.

შეთანხმებას ვყოფთ (შეთანხმებას + არშეთანხმება) და ვამრავლებთ 100-ზე.

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დამკვირვებელი 1	X	O	X	O	O	O	O	O	O	O
დამკვირვებელი 2	O	O	X	O	O	O	O	O	X	O

$$1/3 \cdot 100\%$$

$$IOA=100\%$$

3. დამკვირვებელთა შეთანხმების აღწერილი ინტერვალის დათვლა - Unscored-interval IOA- გამოიყენება მაღალი სიხშირის ქცევებისთვის.

ამ შემთხვევაში გვინტერესებს მხოლოდ ის ინტერვალები, რომლებშიც არ განხორციელდა ქცევა.

იმ ინტერვალებში, რომლებშიც არ განხორციელდა ქცევა, ვყოფთ (შეთანხმება+არშეთანხმება) და ვამრავლებთ 100-ზე.

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დამკვირვებელი 1	X	X	X	O	X	X	O	X	X	O
დამკვირვებელი 2	O	X	X	O	X	X	O	X	X	X

$$2/4 \cdot 100\%$$

$$IOA=50\%$$

3.4 ვალიდობა, სანდოობა და სიზუსტე

გაზომვა უნდა იყოს ვალიდური, ზუსტი და სანდო.

ვალიდობა - ხარისხი, როდესაც გაზომვის შედეგად მიღებული მონაცემები გასაზომი ფენომენის რელევანტურია და მისი გაზომვის მიზეზს წარმოადგენს.

სიზუსტე - ხარისხი, რომელშიც დასაკვირვებელი მოვლენების გაზომვის შედეგად მიღებული მონაცემები შეესაბამება გარემოში არსებულ ქვეყმარით მდგომარეობას ან მოვლენის ქვეყმარით მნიშვნელობას.


სანდოობა - წარმოგვიდგენს გაზომვის თანმიმდევრულობას, კერძოდ, განმეორებითი გაზომვის შემდეგ ვიღებთ ერთსა და იმავე მონაცემს.

თუ გაზომვა

ვალიდური	ზუსტი	სანდო	მონაცემები არის...
დიახ	დიახ	დიახ	ყველაზე სასარგებლო მონაცემი
არა	დიახ	დიახ	უმნიშვნელო მონაცემი კვლევისთვის არ გამოდგება
დიახ	არა	დიახ	ყოველთვის მცდარი
დიახ	დიახ	არა	ხანდახან მცდარი

გაზომვის საფრთხეები:

- ირიბი გაზომვა ხდება მაშინ, როდესაც სამიზნე ქცევა განსხვავდება გაზომილი ქცევისგან. მიიჩნევა, რომ ირიბი გაზომვა ნაკლებად სანდოა, ვიდრე პირდაპირი გაზომვა;
- დამკვირვებლის ტენდენციურობა;
- სამიზნე ქცევის ზუსტი განმარტება;



სურ. 8 გაზომვა

თავი 4. ქცევის შეფასება, სამიზნე ქცევის განსაზღვრა, შერჩევა და მონაცემების ინტერპრეტაცია

4.1. ქცევის ფუნქციური შეფასება და ქცევის ფუნქციები

ქცევების უმრავლესობა დასწავლილია და შენარჩუნებულია სოციალურ და ფიზიკურ გარემოსთან ინტერაქციის შედეგიდან გამომდინარე. ეს შედეგი შეიძლება იყოს „რაიმეს მიღება“ (დადებითი განმტკიცება) ან „რაიმესთვის თავის დაღწევა“ (უარყოფითი განმტკიცება). ქცევის შედეგები კი, წარსული გამოცდილების ისტორიიდან გამომდინარე, ფუნქციის ძალას იძენს.

დადებითი განმტკიცების ქვეფორმებად განიხილება სოციალური და-დებითი განმტკიცება (ყურადღება), მატერიალური განმტკიცება, ავტომატური დადებითი განმტკიცება. უარყოფითი განმტკიცების ქვეფორმებად განიხილავენ სოციალურ უარყოფით განმტკიცებას (გაქცევა) და ავტომატურ ნეგატიურ განმტკიცებას.

ქცევის აღწერითი ფუნქციური შეფასება, ფუნქციური ანალიზის მსგავსად, ქცევაზე პირდაპირ დაკვირვებას გულისხმობს. ფუნქციური ანალიზისგან განსხვავებით, დაკვირვება ბუნებრივ პირობებში ხორციელდება დამკვირვებლის ჩარევის გარეშე. ამრიგად, აღწერითი შეფასებისას ხდება პრობლემურ ქცევაზე დაკვირვება იმ მოვლენებთან მიმართებით, რომლებიც ბუნებრივად ვლინდება დაკვირვების მომენტში. დაკვირვების ამოცანაა პრობლემურ ქცე-ვასა და გარე მოვლენას შორის კავშირის შესახებ ჰიპოთეზის ფორმულირება, რაც შემდეგ ჩარევის გეგმის ან ფუნქციური ანალიზის საფუძველია.

ძირითადად გამოიყენება აღწერითი შეფასების 3 ვარიანტი: ABC უწყვეტი ჩანაწერი, ABC ნარატიული ჩანაწერი და გაბნევის დიაგრამა.

ქცევის არაპირდაპირი ფუნქციური შეფასება - ამ დროს არ ხდება სა-მიზნე ქცევაზე პირდაპირი დაკვირვება. ამ შემთხვევაში გამოიყენება სტრუქ-ტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, კითხვარები ან რეეტინგული სკალები იმ ადამიანებისგან ინფორმაციის მისაღებად, რომლე-ბიც იცნობენ სამიზნე ქცევის მქონე პირს (მაგ.: მასწავლებლები, თერაპევტები, მშობლები, მომვლელები ან თვითონ სამიზნე ქცევის მქონე პირი). გამოკითხვის მიზანია ბუნებრივ გარემოში

იმ მოვლენების/პირობების იდენტიფიკაცია, რომლებიც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია სამიზნე ქცევასთან.

ირიბი შეფასებისას ღია და დახურული კითხვების ძლიერი და სუსტი მხარეები:

	დახურული	ღია
ძლიერი	კონკრეტული პოპულაციის საერთო ზოგადი ცვლადების შესახებ ინფორმაციას იძლევა სწრაფი და მარტივი ადმინისტრირება ადმინისტრირებისა და ინტერპრეტაციისათვის მინიმალური უნარებია საკმარისი	ინფორმაცია კონტექსტური ცვლადების შესახებ, ფართო სპექტრის შესახებ ინტერვიუერთან რაპორტის დამყარების შესაძლებლობა და მისი გამოცდილების მოსმენა
სუსტი	მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ცვლადებია მოცემული შეიძლება ცრუ დადებითი მონაცემები გვაჩვენოს თუ ადამიანი არ ფლობს ქვა-ში საკმარის უნარებს და ცოდნას, შესაძლებელია შეცდომით გამოიყენოს ნაკლები შესაძლებლობა ინტერვიუერთან რაპორტის დამყარების	სჭირდება მეტი დრო, ვიდრე დახურული კითხვებით კითხვარს შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას, რაც არ არის ქცევის ფუნქციის რელევანტური ინტერპრეტაციას ქცევითი ანალიტიკოსის ცოდნა და უნარები სჭირდება სჭირდება ინფორმაციის მიღებისა და რაპორტის დამყარების კონკრეტული უნარები

ფუნქციური ანალიზი (FA) ან ფუნქციური ქცევის შეფასება (FBA) მიზნად ისახავს ქცევის ფუნქციის განსაზღვრას გარემოში იმ ფაქტორების იდენტიფიკაციის გზით, რომლებიც მოქმედებენ როგორც ქცევის შემანარჩუნებლები (გარემო ფაქტორები თუ განმამტკიცებლები). ქცევის ფუნქციის დადგენა ხდება ქცევის შედეგის იდენტიფიკაციის გზით, დაკვირვებისა და ექსპერიმენტული მანიპულაციის/მანიპულაციების შედეგად.

ფუნქციური ანალიზის დროს ხდება წინაპირობა - ქცევა-შედეგს შორის ფუნქციური მიმართებების შესახებ ჰიპოთეზების შემოწმება.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 9,10.

ქცევის ფუნქციური შეფასება



ქცევის პირდაპირი ფუნქციური შეფასება

აღწერითი შეფასებისას ხდება პრობლემურ ქცევაზე დაკვირვება იმ მოვლენებთან მიმართებით, რომლებიც ბუნებრივად ვლინდება დაკვირვების მომენტში.

აღწერითი შეფასების 3 ვარიანტი:

- ABC უწყვეტი ჩანაწერი
- ABC ნარატიული ჩანაწერი
- გაბნევის დიაგრამა.



ქცევის არაპირდაპირი ფუნქციური შეფასება

სამიზნე ქცევაზე პირდაპირი დაკვირვება არ ხდება. გამოიყენება სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, კითხვარები ან რეიტინგული სკალები იმ ადამიანებისგან ინფორმაციის მისაღებად, ვინც იცნობს სამიზნე ქცევის მქონე პირს.

ფუნქციური ანალიზი

ქცევის ფუნქციის განსაზღვრა გარემოში იმ ფაქტორების იდენტიფიკაციის გზით, რომლებიც მოქმედებენ როგორც ქცევის შემანარჩუნებლები.



ქცევის ფუნქციები

ქცევების უმრავლესობა დასწავლილია და შენარჩუნებულია სოციალურ და ფიზიკურ გარემოსთან ინტერაქციის შედეგიდან გამომდინარე. ეს შედეგი შეიძლება იყოს „რაიმეს მიღება“ (დადებითი განმტკიცება) ან „რაიმესთვის თავის დაღწევა“ (უარყოფითი განმტკიცება).

დადებითი განმტკიცება



- სოციალური დადებითი განმტკიცება (ყურადღება);
- მატერიალური განმტკიცება;
- ავტომატური დადებითი განმტკიცება.

უარყოფითი განმტკიცება

- სოციალური უარყოფითი განმტკიცება (გაქცევა)
- ავტომატური ნეგატიური განმტკიცება.



სურ. 10 ქცევის ფუნქციები

4.2. სამიზნე ქცევის განსაზღვრა

სამიზნე ქცევა

- სამიზნე ქცევა არის ნებისმიერი განსაზღვრული, დასაკვირვებელი და გასაზომი ქცევა, რომელიც ანალიზის და ინტერვენციის სამიზნეა.
- სამიზნე ქცევის განმარტება უნდა იყოს მკაფიო, სრული და ობიექტური.
- მკაფიო გულისხმობს, რომ განმარტება უნდა იკითხებოდეს და ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს, რათა გამოცდილმა დამკვირვებელმა ამოიცნოს სამიზნე ქცევა.
- სრული გულისხმობს სამიზნე ქცევის ზუსტ განსაზღვრებას, კონკრეტული შემთხვევის დროს რა არის ჩვენი სამიზნე და რა არა. რათა დამკვირვებელმა ამოიცნოს და ჩაწეროს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ქცევა (მაგალითად: ხელზე კბენის შემთხვევაში, პირთან ხელის მიტანა უნდა ჩავთვალოთ თუ არა სამიზნე ქცევად? ეს ზუსტად უნდა იყოს გაწერილი სამიზნე ქცევის განმარტებისას).
- ობიექტური გულისხმობს სამიზნე ქცევის მხოლოდ იმ მახასიათებლების აღწერას, რომლებზე დაკვირვებაც შესაძლებელია (გარემოსიც, თუ ამის საჭიროება არსებობს).

განმარტების 2 ტიპი:

ტოპოგრაფიული განმარტება

- აღწერს, როგორი ფორმით ვლინდება ქცევა, როგორი სიხშირით ან ინტენსივობით;
- ტოპოგრაფიული განმარტება არის აუცილებელი კომპონენტი სამიზნე ქცევის განმარტებისას, რომელიც შეიძლება შეივსოს ფუნქციური განმარტებით.

ფუნქციური განმარტება მოიცავს სპეციფიკურ ინფორმაციას, რომელიც ზუსტად აღნიშნავს ქცევას, ასევე წინაპირობას და შედეგს, რომელიც ასოცირდება ამ ქცევის გამოვლინებასთან;

- გარემო პირობების აღწერა, რომელშიც ხდება სამიზნე ქცევა.

4.3. სამიზნე ქცევის შერჩევა

სამიზნე ქცევის შერჩევისას პრაქტიკოსმა უნდა დასვას შემდეგი კითხვები:

1. არის ეს ქცევა დამაზიანებელი კლიენტისთვის ან მისი გარემოცვისთვის?
2. რამდენი შესაძლებლობა არსებობს კლიენტისთვის გარემოში ამ ქცევის გამოყენების?
3. რამდენი ხანია არსებობს ამ უნარის დეფიციტი?
4. ამ კონკრეტული ქცევის დასწავლით არსებობს თუ არა კლიენტისთვის განმამტკიცებლის მიღების შესაძლებლობა?
5. რამდენად შეუწყობს კლიენტს ამ ქცევის დასწავლა დამოუკიდებლად ცხოვრებაში?
6. ამ ქცევის დასწავლა მისცემს კლიენტს საშუალებას, ნეგატიურ ყურადღებას აარიდოს თავი?

7. ახალი ქცევა იძლევა განმამტკიცებლის შესაძლებლობას კლიენტის გარემოცვისთვის?

8. რამდენად არსებობს ამ ქცევის ცვლილების შანსი?

უნდა განიხილოს ქცევის ცვლილების სარგებელი და ღირებულება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 11.

სამიზნე ქცევის შერჩევა

სამიზნე ქცევის შერჩევისას პრაქტიკოსმა უნდა დასვას შემდეგი კითხვები:

- 1 არის ეს ქცევა დააზიანებელი კლიენტისთვის ან მისი გარემოცვისთვის?
- 2 რამდენი შესაძლებლობა არსებობს გარემოში კლიენტისთვის ამ ქცევის გამოყენების?
- 3 რამდენი ხანია არსებობს ამ უნარის დევიციტი?
- 4 ამ კონკრეტული ქცევის დასწავლით არსებობს თუ არა შესაძლებლობა კლიენტისთვის განმამტკიცებლის მიღების?
- 5 რამდენად შეუწყობს კლიენტს ამ ქცევის დასწავლა ყოველდღე დამოუკიდებლად უშეცდომიერებაში?
- 6 ამ ქცევის დასწავლა მისცემს კლიენტს საშუალებას ნებათიერ ყურადღებას აარიდოს თავი?
- 7 ახალი ქცევა იძლევა განმამტკიცებლის შესაძლებლობას კლიენტის გარემოცვისთვის?
- 8 რამდენად არსებობს ამ ქცევის ცვლილების შანსი?
- 9 უნდა განიხილოს ქცევის ცვლილების სარგებელი და ღირებულება

სურ. 11 სამიზნე ქცევის შერჩევა

4.4. ვიზუალური ანალიზი

ქცევის ანალიტიკოსები გრაფიკულად გამოსახული მონაცემების ინტერპრეტაციისთვის იყენებენ კვლევის სისტემურ ფორმას, რომელიც ცნობილია, როგორც ვიზუალური ანალიზი. მონაცემების ვიზუალური ანალიზი ქცევის გამოყენებით ანალიზის ექსპერიმენტში პასუხს უნდა სცემდეს შემდეგ ორ კითხვას: 1. გამოსახულია თუ არა ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილება? 2. თუ კი, მაშინ ქცევის ცვლილება როგორი ხარისხით უკავშირდება დამოუკიდებელ ცვლადს?


მნიშვნელობა მონაცემების კონკრეტულ ფორმას ენიჭება, ესენია: ტენდენცია, ვარიაბელობა, დონე.

მონაცემების საერთო მიმართულებას ეწოდება ტენდენცია.

ვარიაბელობა - რამდენად ხშირად და რა ხარისხით მივყავართ ქცევის განმეორებით გაზომვას განსხვავებულ შედეგამდე.

დონე - მაჩვენებელი ვერტიკალურ ღერძზე, რომლის გარშემო თავმოყრილია ქცევის გაზომვის მაჩვენებლები.


დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 12.



სურ. 12 ვიზუალური ანალიზი

4.5 გრაფიკები

ბრაფიკები




სურ. 13 გრაფიკები

4.6 ექსპერიმენტული ანალიზი

ექსპერიმენტული დიზაინი

მრავლობითი საფუძვლის დიზაინი



მრავლობითი საფუძვლის დიზაინის ვარიაციები:

- გადაგადაბული მრავლობითი საფუძვლის დიზაინი.
- მრავლობითი სინჯის დიზაინი.

მრავლობითი საფუძვლის დიზაინის სახეები:

- სუბიექტებს შორის.
- ქცევებს შორის.
- სხვადასხვა გარემოს შორის.


უპირატესობები:

- ყველაზე უარყოფ გამოიყენება.
- რვერსია არ სჭირდება.
- გენერალიზების დროს მარტივი გამოსაყენებელია.

სურ. 14 ექსპერიმენტული დიზაინი

ექსპერიმენტული დიზაინი

რევერსული დიზაინი



რევერსული დიზაინის ვარიანტები:

- ABAB - განმეორებითი რევერსია.
- BAB - სამფაზიანი დიზაინი ინტერვენციით იწყება.
- მრავლობითი ჩარევის დიზაინი ABCACB ორი ან მეტი ინტერვენციის შედარებისთვის.

რევერსული დიზაინი:

- უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი ფაზისგან.
- საჭიროებს საფუძვლის მონაცემს.
- ხდება ინტერვენციის გადაღება ან რევერსია.
- ექსპერიმენტული კონტროლი განმეორებითი რეპლიკაციის დროს დამატებულია.

გაითვალისწინეთ!!!




ეფექტური ინტერვენციის გადაღება არაეთიკურია.



სურ. 15 ექსპერიმენტული დიზაინი

ექსპერიმენტული დიზაინი


ცვალებადი კრიტერიუმის დიზაინი



მასათვალისწინებალია:

- კრიტერიუმის ცვლილების მაგნიტუდა.
- შაზის სიგრძე.
- კრიტერიუმის ცვლილების რაოდენობა.
- გამოიყენება კლინიკის რეპერტუარში არსებული ქცევის ჩასაწერად.
- არ გამოიყენება ქცვის ფორმირებისთვის.

მრავალეფენიანი დიზაინი:



გამოიყენება:

- ორი ან მეტი ერთდროულად მიმდინარე პირობის ან ინტერვენციის შედარებისთვის.
- ქცვის ფუნქციური ანალიზისას.

სურ. 16 ექსპერიმენტული დიზაინი

თავი 5. განმტკიცება

5.1. დადებითი და უარყოფითი განმტკიცება

პროცესი ოპერანტულ განპირობებულობაში, რომელიც მომავალში ქცევის/რეაქციის/ პასუხების (სიხშირე, ხანგრძლივობა, ინტენსივობა) გამოვლენის ალბათობას ზრდის.

სტიმულს, რომლის წარდგენაც ხდება სამიზნე ქცევის გამოვლენის შემდეგ და ზრდის რეაქციის გამოვლენის ალბათობას, განმამტკიცებელი ეწოდება.

მნიშვნელოვანია, რომ განმამტკიცებლის მიწოდება ხდებოდეს მომენტალურად, 1 წამით დაყოვნების შემთხვევაშიც კი შესაძლებელია მოხდეს არა სამიზნე ქცევის განმტკიცება, არამედ - იმ მომენტში ორგანიზმის მიერ განხორციელებული/მიმდინარე ქცევის.

განმტკიცება არა მხოლოდ ცვლის ქცევის სიხშირის გამოვლენის ალბათობას მომავალში, არამედ ფუნქციას უცვლის სტიმულს, რომელიც წინ უძღვის ქცევას.

განმტკიცება ავტომატურია. ადამიანს არ სჭირდება გაიგოს კავშირი თავის ქმედებებსა და განმტკიცების შედეგს შორის. არ სჭირდება გაიგოს, რომ განმტკიცება მოხდა.

იმისთვის, რომ სტიმულს ეწოდოს განმამტკიცებელი, აუცილებელია ქცევის გამოვლენაზე დაკვირვება და ქცევასა და განმამტკიცებლად მიწოდებულ სტიმულს შორის ფუნქციური კავშირის იდენტიფიკაცია. სტიმული მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება განმამტკიცებლად, თუ თვალსაჩინოა მომავალში ამ სტიმულის გავლენა მოცემული ქცევის რომელიმე გაზომვად მახასიათებელზე (სიხშირე, ხანგრძლივობა, ინტენსივობა).

განმამტკიცებლის კლასიფიკაცია:

უპირობო განმამტკიცებელი - ეს არის სტიმული, რომელიც მოქმედებს როგორც განმტკიცება ამ სტიმულთან დაკავშირებული დასწავლის ისტორიის გარეშე (პირველადი/არ საჭიროებს დასწავლას).

მაგ.: წყალი, ჰაერი, საკვები, აქტივობა, სექსი, ძილი, სითბო/სიცივე, ტკივილის შემცირება.

პირობითი განმამტკიცებელი - გარემოში არსებული ნეიტრალური სტიმული, რომელმაც ერთ ან რამდენიმე უპირობო ან პირობით სტიმულთან დაწყვილებით შეიძინა განმამტკიცებლის ფუნქცია (დასწავლილი/მეორადი).

მაგ.: ყველაფერი, გარდა უპირობო განმამტკიცებლისა.

გენერალიზებადი პირობითი განმამტკიცებელი - ეს არის პირობითი განმამტკიცებელი, მრავალი პირობითი და უპირობო დაწყვილების საფუძველზე წარმოქმნილი და მისი ეფექტურობა არ არის დამოკიდებული მოტივაციურ ოპერაციებზე (გადაცვლადი).

მაგ.: ფული, ბიტკოინი, აქციები, ჟეტონები.

განმამტკიცებლების ფიზიკური თვისებების მიხედვით კლასიფიცირება:

კვებითი, აქტივობა, სოციალური, სენსორული, სასურველი საგნები.

პრიმაკის პრინციპი - მაღალი ალბათობის ქცევები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც განმამტკიცებლები დაბალი ალბათობის ქცევებისთვის. ზოგჯერ პრიმაკის პრინციპს „ბებიას წესს“ უწოდებენ.

მაგ.: ჯერ ისაძილე და შემდეგ შოკოლადის ნაყინს მიირთმევ.

განმტკიცების 2 ტიპი: დადებითი (ავტომატური და სოციალურად გაშუალებული) და უარყოფითი (ავტომატური და სოციალურად გაშუალებული).

დადებითი განმტკიცება - ქცევის განხორციელების შემდეგ გარემოში ხდება სტიმულის დამატება, რაც მომავალში ქცევის გამოვლენის ალბათობას ზრდის.

უარყოფითი განმტკიცება - ქცევას უშუალოდ მოჰყვება არასასურველი/ავერსიული სტიმულის მოშორება, რაც მომავალში ქცევის გამოვლენის ალბათობას ზრდის.

უარყოფითი განმტკიცების ტიპებია გაქცევა და თავის არიდება (დისკრიმინაციული და თავისუფალი ოპერანტი).

თავის არიდება - დისკრიმინაციულ სტიმულს მოჰყვება რეაქცია (ქცევა), რომელიც არასასურველი სტიმულის პრევენციას ახდენს (არასასურველი სტიმულის მიწოდება აღარ ხდება). მაგ., ქოლგის გამოყენება წვიმის დროს.

გაქცევა - რეაქციის გამოვლენის შემდეგ მიმდინარე არასასურველი სტიმული წყვეტს მოქმედებას.

დისკრიმინაციული თავის არიდების დროს გამაფრთხილებელი სიგნალის არსებობა სტიმულის გამოვლენას/წარდგენას წყვეტს.

განმამტკიცებლის ეფექტურად გამოყენება:

- საწყის ეტაპზე განმამტკიცებლის მისაღებად დააწესეთ მარტივად მისაღწევი კრიტერიუმი;
- გამოიყენეთ მაღალი ხარისხის მაგნიტუდის განმამტკიცებელი;
- გამოიყენეთ სხვადასხვა განმამტკიცებელი აღმძვრელი მოტივაციური ოპერაციების შენარჩუნებისთვის;
- გამოიყენეთ პირდაპირი და არა ირიბი განმტკიცების მეთოდები;
- გამოიყენეთ რეაქციაზე დახმარება და განმტკიცების კომბინაცია;
- დასაწყისში განამტკიცეთ ყოველი რეაქცია;
- ეტაპობრივად გამოიყენეთ განმტკიცების გადავადების პროცედურა;
- ქცევის ცვლილების პროგრამების უმრავლესობის მიზანია, რომ ბუნებრივ გარემოში არსებული სტიმულები, აქტივობები თუ მოვლენები ახდენდნენ ქცევის განმტკიცებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 17.



სურ. 17 განმტკიცება

5.2. განმტკიცების განრიგები

არსებობს განმტკიცების ორი განრიგი: უწყვეტი და წყვეტილი.

უწყვეტი განმტკიცება (CRF) (განმტკიცების უწყვეტი განრიგი) - ყოველი რეაქციისთვის ორგანიზმს მიეწოდება სასურველი სტიმული, რომელიც მომავალში ზრდის ამ რეაქციის გამოვლენის ალბათობას. უწყვეტი განრიგი გამოიყენება ახალი ქცევის დასწავლის საწყის ეტაპზე. ამ დროს ყოველი რეაქცია სრულდება განმამტკიცებლის მიწოდებით.

განმტკიცების წყვეტილი განრიგის დროს დასწავლილი პასუხების შესანარჩუნებლად წინასწარ შერჩეულ ზოგიერთ პასუხს (და არა ყველა სამიზნე პასუხს) მოჰყვება განმამტკიცებელი.

განმტკიცების წყვეტილი განრიგის ტიპები:

1. პასუხების ფიქსირებული პროპორციით განმტკიცება (FR) - რეაქციების წინასწარ შეთანხმებული ფიქსირებული სიხშირით გამოვლენის შემთხვევაში ხდება განმამტკიცებლის მიწოდება. ამ შემთხვევაში განმამტკიცებლის მიწოდება ხდება უცვლელი პროპორციით წინასწარ განსაზღვრული სიხშირის რეაქციების შესაბამისად. მაგ., FR4 ნიშნავს, რომ ინდივიდი განმამტკიცებელს მიიღებს 4 რეაქციის შემდეგ (მეოთხე რეაქციას მოჰყვება განმამტკიცებელი). ფიქსირებული პროპორციით განმტკიცების განრიგის მახასიათებლები: ა) პირველი პასუხის შემდეგ ხდება მცირე დაყოვნება რეაქციებს შორის. ბ) განმტკიცებას მოჰყვება პაუზა.

პროპორციას და განმამტკიცებლის მაგნიტუდას აქვს გავლენა განმტკიცების შემდგომ პაუზის ხანგრძლივობაზე.

2. პასუხების ცვლადი პროპორციით განმტკიცება (VR) - ამ განრიგში განმამტკიცებლის მიწოდება ხდება პასუხების ცვალეზადი რაო-დენობის შემდეგ. მაგ., VR3 ნიშნავს, რომ ხან მე-3 პასუხის, ხან კი მე-2 პასუხის შემდეგ ხდება განმამტკიცებლის მიწოდება. ცვლადი პროპორციის დაანგარიშება ხდება საშუალო არითმეტიკულის მიხედვით, ქცევის თავისებურებებიდან გამომდინარე განისაზღვრება, საშუალოდ მერამდენე პასუხს მოჰყვება განმამტკიცებელი. ამ ტიპის განრიგი უზრუნველყოფს პასუხების სტაბილურ სიხშირეს.

3. პასუხების განმტკიცება დროის ფიქსირებული ინტერვალის გასვლის შემდეგ (FI) - განმამტკიცებელი ხელმისაწვდომია ფიქსირებული დროის ინტერვალის გასვლის შემდეგ გამოვლენილი პირველი რეაქციისთვის.

ამ ტიპის განრიგისთვის დამახასიათებელია განმტკიცების შემდგომი რეაქციის პაუზა. თავდაპირველად არის დაბალი სიხშირე, ხოლო ინტერვალის დასასრულისკენ რეაქციათა სიხშირე იზრდება. მაგ., თუ მათე სწორად დაწერს ინგლისურად სიტყვას, მასწავლებელი მას ყოველი ორი წუთის გასვლის შემდეგ განმამტკიცებელს მისცემს. იმისათვის, რომ მათემ განმამტკიცებელი მიიღოს, სწორად უნდა დააკმაყოფილოს პირობა (ინგლისური სიტყვა სწორად დაწეროს) და 2 წუთიც უნდა გავიდეს.

4. პასუხების განმტკიცება დროის ცვალეზადი ინტერვალის გასვლის შემდეგ (VI) - განმამტკიცებელი ხელმისაწვდომია ცვლადი ინტერვალის გასვლის შემდეგ პირველი რეაქციისთვის. ამ ტიპის განრიგი უზრუნველყოფს პასუხების დაბალი სიხშირიდან სტაბილურისკენ მზარდ სიხშირეს. მაგ., თუ მათე სწორად დაწერს ინგლისურ სიტყვას, ის მიიღებს განმამტკიცებელს ხან 2 წუთის გასვლის შემდეგ, ხან კი 3 წუთის გასვლის შემდეგ. ცვალეზადი ინტერვალის შემთხვევაში დრო ცვალეზადია.


პროპორციის შეზღუდვა (Ratio Strain) - განრიგის არასწორად გამოყენების შემთხვევაში სასურველი ქცევის სიხშირის შემცირება. პროპორციის შეზღუდვის დროს შეიძლება გამოვლინდეს არასასურველი ქცევებიც (აგრესიული ქცევა, თავის არიდება, სამიზნე ქცევის სიხშირის მკვეთრი შემცირება). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 18.

განმტკიცების განრიგი

უწყვეტი განრიგი

ჩაქრობა

ოთხი ბაზისური წყვეტილი განრიგი



სურ. 18 განმტკიცების განრიგი

5.3. უპირატესი სტიმულების შეფასება

უპირატესი სტიმულების შეფასების მიზანია კონკრეტული ინდივიდის შემთხვევაში მისთვის სასურველი სტიმულების განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება პოტენციური განმამტკიცებლები გახდნენ. უპირატესი სტიმულების შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა პროცედურა, რაც საბოლოოდ იძლევა იმის დადგენის შესაძლებლობას, თუ ა) რა სტიმულები მოსწონს ადამიანს; ბ) როგორია მათდამი ადამიანის უპირატესობები (მაღალი უპირატესობის მქონე სტიმული - დაბალი უპირატესობის მქონე სტიმული - ნეიტრალური სტიმული); გ) რა ცვლილებას განიცდის ეს უპირატესობები დავალების, დეპრივაციის ან განმტკიცების განრიგების მოდიფიკაციის შემთხვევაში.

უპირატესი სტიმულების შეფასებისთვის გამოიყენება გამოკითხვა, დაკვირვება და ექსპერიმენტული შეფასება (იხ. ცხრილი #1).

გამოკითხვის დროს ეკითხებიან კლიენტს, მშობელს/მეურვეს, თუ რა არის კლიენტისთვის სასურველი სტიმული.

დაკვირვების დროს აკვირდებიან კლიენტს ლაბორატორიულ პირობებში (ცენტრში) ან კლიენტისთვის ბუნებრივ გარემოში და აღრიცხავენ სტიმულებს, რომლებითაც ის დაინტერესდა.


ექსპერიმენტული შეფასება - უპირატესი სტიმულების ექსპერიმენტული შეფასებისას მოსწავლეს წარუდგენენ ტესტების სერიას და მოსწავლის პასუხი სტიმულზე იზომება როგორც ინდექსი ან უპირატესობის იერარქია. ამ ტიპის შეფასებისას აკვირდებიან მოსწავლის ქცევას და აღრიცხავენ სტიმულზე შეხებას და ჩართულობას.

ცალკეული სტიმულებით შეფასება წარმოადგენს ბაზისს უპირატესობის შეფასების განსაზღვრისას. კლინიციისტი მიერ ხდება ცალკეული სტიმულების წარდგენა, ერთი სტიმულის ერთ ჯერზე. აღრიცხება სტიმულზე შეხება, ჩართულობა, თამაში, დაკვირვება, ან რამდენ ხანს ატარებს კლიენტი კონკრეტულ სტიმულთან. შეფასების ეს ტიპი შესაძლებელია გამოვიყენოთ კლიენტთან, რომელიც ორი ან მეტი საგნიდან ამორჩევს სირთულეს განიცდის.

დაწყვილებული სტიმულებით შეფასება მდგომარეობს ერთდროულად ორი სტიმულის წარდგენაში. დამკვირვებელი აღრიცხავს ყოველი ორი წყვილიდან კლიენტის არჩევანს. ამ ტიპის შეფასებისას თითოეული სტიმული შემთხვევითი თანმიმდევრობით წყვილდება ჯგუფში შემოთავაზებულ სხვა სტიმულებთან.

მრავლობითი სტიმულებით შეფასება დაწყვილებული სტიმულებით შეფასების ვარიაციას წარმოადგენს. კლიენტს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს სამი და მეტი სტიმულიდან. ეს მეთოდი დროს ზოგავს, რადგან ცალკეული დაწყვილებული სტიმულის მაგივრად, მონაწილეს მისთვის წარდგენილი ექვსი სტიმულიდან შეუძლია ამოირჩიოს. მრავლობითი სტიმულებით დაწყვილება არის ორი ტიპის: ჩანაცვლებით და ჩანაცვლების გარეშე. განსხვავება მათ შორის მოსწავლის მიერ სტიმულის არჩევის შემდეგ დარჩენილი სტიმულების ჩანაცვლება- არჩანაცვლებაში მდგომარეობს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 19, 20



სურ. 19 უპირატესი სტიმულის შეფასება

უპირატესი სტიმულის შეფასება

გამოკითხვა

- პიროვნების
- სხვახის
- დავალაების წინა არჩევანი



დაკვირვება

- ბუნებრივი
- ლაბორატორიული

ექსპერიმენტული შეფასება

ცალკეული სტიმულების

დაწყვილებული სტიმულების

მრავლობითი სტიმულების

შეცვლით

შეცვლის გარეშე



5.4. განმტკიცების რთული განრიგი

უწყვეტი განრიგი, წყვეტილი განრიგი, სხვადასხვა სიხშირის პასუხების დიფერენციალური განმტკიცება და ჩაქრობა ერთად ქმნის განმტკიცების რთულ განრიგებს.

ბაზისური განრიგის კომპონენტები განმტკიცების რთულ განრიგში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს:

- თანმიმდევრულად ან ერთდროულად;
- დისკრიმინაციული სტიმულით ან მის გარეშე;
- განმამტკიცებლის მიღების პირობის მიხედვით:
 - o ა) მთლიანი განრიგის ან ერთი კომპონენტის შესრულების შემდეგ;
 - o ბ) განრიგის ორივე კომპონენტის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

რთული განრიგებია:

კონკურენტული განრიგი - კონკურენტული განრიგის დროს ორი ან მეტი განრიგი მოქმედებს ერთდროულად და დამოუკიდებლად ორი ან მეტი ქცევისთვის. თითოეულ განრიგში წარმოდგენილია ამ განრიგისთვის სპეციფიკური დისკრიმინაციული სტიმული.

მრავლობითი განრიგი - მოიცავს ორი ან მეტი შემთხვევითი თანმიმდევრობით წარმოდგენილ განმტკიცების ბაზისური განრიგის კომბინაციას, რომელთა მიწოდება ხდება თანმიმდევრულად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. დისკრიმინაციული სტიმული უკავშირდება თითოეულ ბაზისურ განრიგს და განრიგი ეფექტურია მანამ, სანამ ეს სტიმულია წარმოდგენილი.

შერეული განრიგი - შერეული განრიგი მრავლობითი განრიგის იდენტურ პროცედურას იყენებს. მხოლოდ დისკრიმინაციული სტიმული არ ძლევა სიგნალს განრიგის დამოუკიდებელი კომპონენტების შესახებ; არ აქვს დისკრიმინაციული სტიმული.


ჯაჭვური განრიგი - მოიცავს ორი ან მეტი სპეციფიკური თანმიმდევრობით წარმოდგენილ განმტკიცების განრიგს და დისკრიმინაციული სტიმული უკავშირდება განრიგის ყველა კომპონენტს.

ტანდემური განრიგი - ჯაჭვური განრიგის იდენტურია, ოღონდ არ გააჩნია დისკრიმინაციული სტიმული განრიგის კომპონენტებისთვის.

ალტერნატიული განრიგი - ორი ან მეტი ერთდროულად მიწოდებული ბაზისური განრიგი, რომლის დროსაც ერთ-ერთი ბაზისური განრიგის დაკმაყოფილების შემთხვევაში ხდება განმტკიცება იმისგან დამოუკიდებლად, თუ პირველად რომელი განრიგი დაკმაყოფილდა.


დამაკავშირებელი განრიგი - დამაკავშირებელი განრიგის დროს საჭიროა ორივე ბაზისური განმტკიცების განრიგის კრიტერიუმის (პროპორციული და ინტერვალური) დაკმაყოფილება განმამტკიცებლის მისაღებად.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 21, 22



სურ. 21 განმტკიცების რთული განრიგი

განმტკიცების რთული განრიგი



სურ. 22 განმტკიცების რთული განრიგი

5.5. დიფერენციალური განმტკიცება

დიფერენციალური განმტკიცება ეს არის პროცესი, რომლის დროსაც მხოლოდ სასურველი პასუხების გამოვლენის შემთხვევაში ხდება განმამტკიცებლის წარდგენა, ხოლო ყველა სხვა ქცევა დგება ჩაქრობის პირობებში.

ალტერნატიული ქცევის დიფერენციალური განმტკიცება: პროცედურა, რომელიც სამიზნე ქცევის ალტერნატიული ქცევის განმტკიცების პირობებში პრობლემური ქცევის შემცირებას ემსახურება.

არათავსებადი ქცევის დიფერენციალური განმტკიცება: პროცედურა, რომელშიც ისეთი ქცევის განმტკიცება ხდება, რომელიც ტოპოგრაფიულად არათავსებადია სამიზნე პრობლემურ ქცევასთან და ამ ქცევის შემცირებას ემსახურება.

სხვა ქცევის დიფერენციალური განმტკიცება: პრობლემური ქცევის შემცირების პროცედურა, რომლის დროსაც განმამტკიცებლის მიწოდება ხდება სამიზნე პრობლემური ქცევის არგამოვლენის შემთხვევაში, წინასწარ შეთანხმებული დროის ინტერვალში.

სხვა ქცევის ფიქსირებული ინტერვალით დიფერენციალური განმტკიცება (FI-DRO): სხვა ქცევის ფიქსირებული ინტერვალით დიფერენციალური განმტკიცების (FI-DRO) დროს განმამტკიცებლის მიწოდება ხდება თანმიმდევრულად დროის თანაბარი ინტერვალების ბოლოს. ამ პროცედურის გამოყენებისას სპეციალისტი ა) განსაზღვრავს დროის ინტერვალს; ბ) ახდენს განმამტკიცებლის მიწოდებას ინტერვალის ბოლოს, თუ პრობლემური ქცევა არ ვლინდება და გ) პრობლემური ქცევის გამოვლენის შემთხვევაში თავიდან რთავს ტაიმერს ახალი ინტერვალის დასაწყებად.

DRO ინტერვალის და ჩარევის სესიების ხანგრძლივობა ინდივიდის ქცევის გაუმჯობესების პარალელურად შეიძლება ეტაპობრივად გაიზარდოს.

სხვა ქცევის ცვლადი ინტერვალით დიფერენციალური განმტკიცება (VI-DRO): სხვა ქცევის ცვლადი ინტერვალით დიფერენციალური განმტკიცების (VI-DRO) დროს განმამტკიცებლის მიწოდება ხდება ცვალებადი და არაპროგნოზირებადი დროის ინტერვალის ბოლოს. ამ პროცედურის გამოყენებისას სპეციალისტი ა) განსაზღვრავს დროის ცვალებად ინტერვალს; ბ) ახდენს განმამტკიცებლის მიწოდებას ცვლადი ინტერვალის ბოლოს, თუ პრობლემური ქცევა არ ვლინდება და გ) პრობლემური ქცევის გამოვლენის შემთხვევაში ახლიდან რთავს ტაიმერს ახალი ინტერვალის დასაწყებად.

სხვა ქცევის მომენტალური დიფერენციალური განმტკიცება: ქცევის ფიქსირებული, მომენტალური, დიფერენციალური განმტკიცება (FM-DRO) და სხვა ქცევის ცვლადი მომენტალური დიფერენციალური განმტკიცება (VM-DRO) იმავე განრიგებს იყენებენ, რასაც ინტერვალური DRO (FI-DRO და VI-DRO), ერთადერთი განსხვავებით - განმამტკიცებლის მიწოდება ხდება, თუ პრობლემური ქცევა არ ვლინდება ინტერვალის დასრულებისას და არა ინტერვალის მთელი პერიოდის განმავლობაში.

დაბალი სიხშირის ქცევის დიფერენციალური განმტკიცება (DRL): მოცემულ შემთხვევაში განმამტკიცებლის მიწოდება ხდება, თუ სამიზნე ქცევა ვლინდება დაბალი სიხშირით. DRL გამოიყენება ისეთი ქცევის სიხშირის შე-

სამცირებლად, რომელიც ძალიან ხშირად ვლინდება და სასურველია ქცევის სიხშირის შემცირება და არა ქცევის სრულიად ჩაქრობა (DRO-გან განსხვავებით). ლაბორატორიულ კვლევებში Ferster-მა და Skinner-მა (1975) აღმოაჩინეს, რომ განმამტკიცებლის მიწოდება სამიზნე ქცევის გამოვლენის საფუძველზე, რომელსაც წინ უძღოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ ქცევის გამოვლენის გარეშე (ან ქცევის გარეშე) ინტერვალები, იწვევს ქცევის საერთო სიხშირის შემცირებას.

მთლიანი სესიის განმავლობაში დაბალი სიხშირის ქცევის დიფერენციალური განმტკიცება: მთლიანი სესიის განმავლობაში დაბალი სიხშირის ქცევის დიფერენციალური განმტკიცების დროს განმამტკიცებლის მიწოდება ხდება, თუ სამიზნე ქცევა მთელი ჩარევის ან ინსტრუქციული სესიის განმავლობაში გამოვლინდა წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმის შესაბამისად ან მასზე ნაკლები სიხშირით. თუ ქცევის სიხშირე აღემატება დაწესებულ კრიტერიუმს, განმამტკიცებელი არ მიეწოდება.


მთლიანი სესიის განმავლობაში დაბალი სიხშირის ქცევის დიფერენციალური განმტკიცება პრობლემური ქცევებისთვის ეფექტური, ეფექტიანი და მარტივად განსახორციელებელი ინტერვენციაა საგანმანათლებლო და თერაპიულ სივრცეში.

ინტერვალური დაბალი სიხშირის ქცევის დიფერენციალური განმტკიცება: ინტერვალური დაბალი სიხშირის ქცევის დიფერენციალური განმტკიცების შემთხვევაში სპეციალისტი სესიას ყოფს დროის თანაბარ მონაკვეთებად და განმამტკიცებელს აწვდის თითოეული ინტერვალის ბოლოს, თუ სამიზნე ქცევა გამოვლინდა დაწესებული კრიტერიუმის შესაბამისი სიხშირით ან კრიტერიუმზე ნაკლები სიხშირით. თუ ქცევის სიხშირე აღემატება დაწესებულ კრიტერიუმს, ინტერვალის ათვლა ახლიდან იწყება და განმამტკიცებლის მიწოდება ხდება დაწესებული კრიტერიუმის მიღწევის შემთხვევაში.

რეაქციათაშორის დროზე დაფუძნებული დაბალი სიხშირის ქცევის დიფერენციალური განმტკიცება: რეაქციათაშორის დროზე დაფუძნებული დაბალი სიხშირის ქცევის დიფერენციალური განმტკიცების დროს განმამტკიცებლის მიწოდება ხდება იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე ქცევის გამოვლენას შორის მიღწეულია წინასწარ განსაზღვრული დროს შუალედი. IRT და ქცევის სიხშირე ურთიერთდაკავშირებულია: რაც უფრო დიდია IRT, მით უფრო მცირეა ქცევის სიხშირე. შესაბამისად, განმტკიცების საფუძველზე რეაქციებს შორის დროის გაზრდით შესაძლებელია ქცევის სიხშირის შემცირება.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 23, 24

დიფერენციალური განმტკიცება



სურ. 23 დიფერენციალური განმტკიცება

თავი 6. დასჯა

დასჯა არის პროცესი ოპერანტულ განპირობებულობაში, რომლის დროსაც ქცევის (სიხშირე, ინტენსივობა, ხანგრძლივობა) გამოვლენის ალბათობა მცირდება.

დასჯა არსებობს დადებითი (გარემოში არასასურველი სტიმულის დამატება) და უარყოფითი (გარემოდან სასურველი სტიმულის დაკარგვა).

(სურ. 24)

6.1. დადებითი დასჯა

დადებითი დასჯა ხორციელდება მაშინ, როდესაც ხდება ისეთი სტიმულის მიწოდება (ან უკვე არსებული სტიმულის ინტენსივობის გაზრდა) ქცევის გამოვლენის შემდეგ, რომელიც მომავალში ამ ქცევის გამოვლენის სიხშირეს ამცირებს.

დადებითი დასჯის ტიპები: ზეკორექცია, საყვედური, რეაქციის დაბლოკვა, პირობითი ვარჯიში, რეაქციის შეწყვეტა და გადამისამართება სხვა ქცევაზე.

ზეკორექცია: ზეკორექცია არის ქცევის შეცვლის პროცედურა, რომელიც ეფუძნება დადებითი დასჯის პრინციპებს და მიმართულია ამ ქცევით გამოწვეული ზიანის გამოსწორებაზე. ზეკორექცია გულისხმობს დასჯისა და საგანმანათლებლო კომპონენტის ერთობლიობას. იმისათვის, რომ ინდივიდმა ისწავლოს, რა გააკეთოს, შეიძლება საპირფონე ქცევა. საპირფონე ქცევა არის პრობლემური ქცევის ლოგიკური გაგრძელება და მოითხოვს შესაბამის ძალისხმევას, რითაც გამოასწორებს ზიანს. ზეკორექციის სახეებია: აღდგენა და დადებითი პრაქტიკა.

აღდგენა: აღმდგენი ზეკორექცია არის ზეკორექციის ფორმა, რომლის დროსაც პრობლემური ქცევის გამოვლენის შემდეგ ინდივიდი გამოასწორებს იმ ზიანს, რომელიც მისმა ქცევამ გამოიწვია, აბრუნებს გარემოს იმ მდგომარეობაში, როგორშიც ქცევის გამოვლენამდე იყო და აუმჯობესებს მას;

დადებითი პრაქტიკა - დადებითი პრაქტიკით ზეკორექცია არის ზეკორექციის ფორმა, რომლის დროსაც პრობლემური ქცევის გამოვლენის შემდეგ ინდივიდი წინასწარ განსაზღვრული სიხშირით ახორციელებს პრობლემური ქცევის საპირფონე ქცევას.

საყვედური - მაგალითად, „არა!“-ს შეუძლია აღკვეთოს მომავალში ქცევის გამოვლენის ალბათობა.

რეაქციის დაბლოკვა - პრობლემური ქცევის გამოვლენის შემთხვევაში თერაპევტი ფიზიკურად ერევა, რომ შეაჩეროს ქცევის გამოვლინება. ხშირად გამოიყენება თვითდამაზიანებელი და თვითმასტიმულირებელი ქცევის შესამცირებლად.

რეაქციის შეწყვეტა და გადამისამართება სხვა ქცევაზე: პოზიტიური დასჯის ეს მეთოდი წარმოადგენს რეაქციის დაბლოკვის ვარიაციას, რომელიც

სტერეოტიპული ქცევის შეწყვეტაში და ნაცვლად არასასურველი ქცევისა, მოსწავლის სხვა, მაღალი ალბათობის ქცევის შესრულებაში მდგომარეობს.

პირობითი ვარჯიში: ამ ტიპის ინტერვენციის დროს მოსწავლემ უნდა შეასრულოს ისეთი აქტივობა, რომელიც ტოპოგრაფიულად განსხვავებულია სამიზნე პრობლემური ქცევისგან.

6.2. უარყოფითი დასჯა

უარყოფითი დასჯა ხორციელდება მაშინ, როდესაც ქცევის გამოვლენის შემდეგ წყდება სასურველი სტიმულის მიწოდება (ან უკვე არსებული სასურველი სტიმულის ინტენსივობის შემცირება), რაც მომავალში ამ ქცევის გამოვლენის ალბათობას ამცირებს.

უარყოფითი დასჯის ტიპები:

ტაიმაუტი და რეაქციის საფასური.

ტაიმაუტი:

- განმამტკიცებლის მიღების შესაძლებლობის დაკარგვა;
- კონკრეტულ განმამტკიცებელზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა;
- ინდივიდი რჩება სივრცეში, თუმცა არ აქვს მონაწილეობის უფლება;
- ინდივიდი გარკვეული დროით გაჰყავთ სხვა სივრცეში;
- დაგეგმილი იგნორირება, როდესაც ინდივიდი გარემოდან არ იღებს ყურადღებას (სოციალურ განმტკიცებას) რეაქციის/რეაქციების საპასუხოდ;

რეაქციის საფასური (ჯარიმა):

- პირველ შემთხვევაში ინდივიდი უკვე არსებულ (მაგ., მიღებული ჟეტონი) განმამტკიცებელს კარგავს;
- მეორე შემთხვევაში ინდივიდს აქვს დამატებითი განმამტკიცებელი (დამატებითი ჟეტონი ან დამატებითი დრო), რომელსაც კარგავს არასასურველი ქცევის გამოვლენის შემთხვევაში, მაგ.: მათეს აღენიშნება არასასურველი ქცევები. ის მასწავლებლის ყურადღების მიღების მიზნით ყვირის გაკვეთილზე. თუ მათე სოციალურად მისაღები გზით (მაგ., ხელს აიწევს და ჰკითხავს მასწავლებელს, ან სთხოვს დახმარებას) მიიქცევს მასწავლებლის ყურადღებას, მას აძლევენ 1 ჟეტონს. 10 ჟეტონის დაგროვების შემთხვევაში მათე უფრო დიდ ჯილდოს მიიღებს. ის შემდგომი ორი გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელს დაეხმარება (გაწმენდს დაფას, დაარიგებს რვეულებს. ეს აქტივობები მათეს ძალიან მოსწონს). გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მათეს 2 ჟეტონს აძლევს. შემდეგ კი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ მათე დაიყვირებს, მასწავლებელი მას იმ 2 ჟეტონს გამოართმევს. ასეთი პროცედურა გამოიყენება იმგვარად, რომ არ დარჩეს კლიენტის საბოლოოდ განმამტკიცებლის გარეშე.

დამსჯელი - არის სტიმული (სტიმულის ცვლილება), რომელიც ქცევას მოჰყვება და მომავალში ქცევის გამოვლენის ალბათობას ამცირებს.

უპირობო დამსჯელი - ეს არის სტიმული, რომელიც დასწავლის ისტორიის გარეშე არის დამსჯელის ფუნქციის მატარებელი (მაგ.: ტკივილი, ორგა-

ნიზმისთვის არასასურველი ტემპერატურა) და არ არის დაწყვილებული სხვა დამსჯელებთან.

პირობითი დამსჯელი - ეს არის სტიმული, რომელმაც შეიძინა დამსჯელის ფუნქცია სხვა პირობით და უპირობო დამსჯელებთან დაწყვილებით.

გენერალიზებადი პირობითი დამსჯელი - ფუნქციონირებს როგორც დამსჯელი სტიმული, მოტივაციური ოპერაციების ფართო სპექტრის არსებობის შემთხვევაში, მისი პირობით და უპირობო დამსჯელებთან მრავალჯერადი დაწყვილების შედეგად.

დისკრიმინაციული სტიმული დასჯისთვის (Sdp) - წარმოადგენს პირობით სტიმულს, რომლის დროსაც რეაქციათა კლასი ნაკლები სიხშირით ვლინდება, ვიდრე მისი არარსებობის შემთხვევაში განპირობებულობის ისტორიის შედეგად.

დასჯის, როგორც ქცევის სიხშირის გამოვლენის აღმკვეთი ეფექტი, არ არის დროში მდგრადი. მოსალოდნელია აღდგენა დასჯის პროცედურის გამოყენების შემდგომ, თუ სასურველი ალტერნატიული ქცევისთვის არ მოხდება შესაბამისი განმტკიცების პროცედურის გამოიყენება.

6.3. ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ დასჯის პროცედურის ეფექტურობაზე:

- დამსჯელი სტიმულის სამიზნე ქცევის გამოვლენისთანავე მიწოდება
- დამსჯელის მაღალი ინტენსივობა
- სუპერვიზია
- ყოველი სამიზნე ქცევის გამოვლენის შემთხვევაში დასჯის პროცედურის განხორციელება
- განმამტკიცებლის შემცირება და მისი მიწოდება ალტერნატიული ქცევის გამოვლენის შემთხვევაში

დასჯის შესაძლო არასასურველი ეფექტები:

- ემოციური და აგრესიული რეაქციები
- გაქცევა და თავის არიდება
- ქცევითი კონტრასტი: ქცევის სიხშირის შემცირება ერთ სივრცეში, სადაც დასჯის პროცედურა გამოიყენება და სხვა სივრცეში ქცევის სიხშირის/ხანგრძლივობის/ინტენსივობის ზრდა.

- არასასურველი ქცევის მოდელირება
- დამსჯელი აგენტისთვის დასჯა ხდება ნეგატიური განმამტკიცებელი

ეთიკური საკითხები დასჯის გამოყენების დროს:

- პირველი ეთიკური ვალდებულება ყველა სპეციალისტისთვის არის: არ ავნო.
- ყველა ინტერვენცია უნდა იყოს უსაფრთხო და არ შეიცავდეს დამამცირებელ ელემენტებს კლიენტთან მიმართებით.
- უპირველესად უნდა იყოს გამოყენებული ნაკლებად ინტრუზიული პროცედურები (განმტკიცება) და იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცედურები აღმო-


ჩნდება არაეფექტური, შესაძლებელია დასჯის გამოყენება კლიენტთან/ კლიენტის მეურვესთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

დასჯა

ქცევის სიხშირე ეცემა

დადებითი

ზავორაპცია



შე ლაინასსუც დაბორუნებ და მენ თაასსუც დაალოცუქ

საყვადური




უქმუბუბუ აეროლი

რეაქციის დაბლოკვა



მუქმუბუბუ თუ ალარ დაორტყამ მენ ძაას

რეაქციის გაღამისაბართება



პირთხითი ვარჯიში



მურიი ისროლუ ამოქომ სადლის მორხადება მენ მიფინეს

უარყოფითი

ბანიბაუბი



უქ ტოლუქ დეჯუბუ

რეაქციის საზასური



სეკო დამლო დეჯუბუ

არასასურველი ეფექტები

- ქცევის კონტრასტი
- პიროვნება ხდება ავერსიული
- სჭირდება მეტი სუბერვიზია
- ემოციური პასუხი
- დამსჯელი აგენტისთვის დასჯა ხდება უარყოფითი განმამტკიცებელი.

სურ. 24 დასჯა

თავი 7. ჩაქრობა

სამიზნე ქცევის გამოვლენის შემთხვევაში განმამტკიცებლის არმიწოდება. ამ პროცედურის შემდეგ ქცევის სიხშირე იკლებს ან ქრება.

ეს პროცედურა გულისხმობს განმამტკიცებლის მიღების ნულოვან შესაძლებლობას.

ჩაქრობას, როგორც პროცედურას, აქვს სამი განსხვავებული ფორმა, დაკავშირებული ქცევასთან, რომელიც შენარჩუნებულია, ესენია:

1. დადებითი განმტკიცებით (ქცევა, რომელიც შენარჩუნებული იყო დადებითი განმტკიცების საშუალებით, ჩაქრება, თუ შეწყდება განმამტკიცებლის მიწოდება);
2. უარყოფითი განმტკიცებით (ქცევა, რომელიც შენარჩუნებულია უარყოფითი განმტკიცებით. ჩაქრობის შემთხვევაში ინდივიდს არ ეძლევა თავის არიდების საშუალება);
3. ავტომატური განმტკიცებით (დადებითი ავტომატური განმტკიცების შემთხვევაში ხდება სენსორული შედეგების შენიღბვა და უარყოფითი ავტომატური განმტკიცების შემთხვევაში არ ხდება ავერსიული სენსორული სტიმულაციისგან თავის დაღწევა).

ჩაქრობის პროცედურის ეფექტი:

- ემოციური პასუხი, აგრესია;
- აფეთქება;
- პასუხების ვარიაცია;
- პროცედურის დასაწყისში ქცევის სიხშირე მატულობს;
- სპონტანური აღდგენა.

ცვლადები, რომლებიც ჩაქრობის მიმართ არიან რეზისტენტულები:

- განმტკიცების წყვეტილ გრაფიკზე არსებული ქცევა უფრო მეტად რეზისტენტულია ჩაქრობის დროს, ვიდრე უწყვეტ განრიგზე არსებული ქცევა;
- პასუხები ცვლადი პროპორციის და ცვლადი ინტერვალის განმტკიცების დროს უფრო რეზისტენტულია ჩაქრობის პროცედურისას, ვიდრე ფიქსირებული ინტერვალისა და პროპორციის დროს.
- განმამტკიცებლის მაგნიტუდა და ხარისხი ახდენს გავლენას ჩაქრობის რეზისტენტობაზე.

ჩაქრობის პროცედურის წარმატებით გამოყენებისთვის:

- იყავით თანმიმდევრულები;
- არასასურველი ქცევის ყოველი გამოვლენის შემდეგ არ მიაწოდოთ განმამტკიცებელი;

- ჩაქრობის პროცედურები უნდა იყოს კომბინირებული სხვა სასურველი ქცევის განმტკიცების პროცედურებთან;
- გამოიყენეთ ინსტრუქციები;
- ინტერვენციის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ მზად ხართ აგრესიული ქცევისთვის;
- ჩართეთ მშობლები/მეურვეები/სხვა სპეციალისტები;
- შეინარჩუნეთ ჩამქრალი ქცევა.


როდის არ გამოიყენოთ ჩაქრობის პროცედურა:

ჩაქრობის, როგორც ერთადერთი ინტერვენციის, გამოყენება არ არის მიზანშეწონილი; ის აუცილებლად სხვა პროცედურებთან ერთად უნდა გამოვიყენოთ; მაგ., სამიზნე ქცევის ეკვივალენტურ სოციალურად მისაღებ ქცევას დიფერენცირებულად განვამტკიცებთ და არასასურველ სამიზნე ქცევის დროს ჩაქრობის პროცედურას გამოვიყენებთ;

- როდესაც სამიზნე ქცევა არის თვითდამაზიანებელი ან სხვისი დამაზიანებელი;
- როდესაც სრულად არ შეგიძლიათ განმამტკიცებლის მიწოდების შეწყვეტა;

შესაძლებელია სხვების მიერ არასასურველი სამიზნე ქცევის იმიტირება.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 25



სურ. 25 ჩაქრობა

თავი 8. წინაპირობის ცვლადები

8.1. მოტივაციური ოპერაციები

გარემოში არსებული ცვლადი, რომელიც ცვლის (ზრდის ან ამცირებს) სტიმულის, ობიექტის ან მოვლენის განმამტკიცებელ ან დამსჯელ ეფექტს; შედეგად ცვლის (ზრდის ან ამცირებს) ქცევის მიმდინარე სიხშირეს, რომელიც წარსულში იყო განმტკიცებული ან დასჯილი ამ სტიმულის, ობიექტის ან მოვლენის საშუალებით.

არსებობს ორი სახის მოტივაციური ოპერაცია: ქცევის წარმომქმნელი ოპერაცია (EO), რომელიც ზრდის ქცევის შედეგის ღირებულებას და ქცევის შემწყვეტი ოპერაცია (AO), რომელიც, პირიქით, ამცირებს ქცევის შედეგის ღირებულებას.

დისკრიმინაციული სტიმული და მოტივაციური ოპერაციები გავლენას ახდენენ ქცევის მიმდინარე სიხშირეზე. დისკრიმინაციული სტიმული გვაძლევს სიგნალს, რომ განმამტკიცებელი ხელმისაწვდომია და მოტივაციური ოპერაციები კონკრეტულ სტიმულს ან ქცევას უფრო მეტად ან ნაკლებად სასურველს/ღირებულს ხდის ახლა და ამჟამად.

მაგ.:

1. როდესაც გწყურია, წყლის ღირებულება იზრდება ამ მომენტში;
2. როდესაც დაღვე წყალს, წყლის ღირებულება ეცემა ამ მომენტში;
3. როდესაც მშვიდი ბრუნდები სამსახურიდან და სახლში არ გაქვს საჭმელი, გაივლი მალაზიაში და შეიძენ;
4. როდესაც მაძლარი ხარ, პირდაპირ სახლში წახვალ.

უპირობო მამოტივირებელი ოპერაციები - ძირითადი მოტივაციური ოპერაციები, რომელთა შემთხვევაშიც ადამიანს დასწავლის ისტორია არ აქვს, დაკავშირებულია საკვებთან, წყალთან, ჰაერთან, ფიზიკურ აქტივობასთან და ძილთან, სექსუალურ აქტივობასთან დაკავშირებულ დეპრივაციასა და მოყრ-ჭებასთან, ასევე კომფორტულ ტემპერატურულ პირობებთან და მტკივნეულ სტიმულაციასთან.

უპირობო მოტივაციური ოპერაცია სტიმულის ღირებულებას ზრდის ან ამცირებს წინასწარი დასწავლის გარეშე.

პირობითი მამოტივირებელი ოპერაციები - მოტივაციური ცვლადი, რომელიც მხოლოდ დასწავლის ისტორიაზე დაფუძნებით ცვლის სხვა სტიმულის, ობიექტის, მოვლენის ღირებულებას.

პირობითი მამოტივირებელი ოპერაციებია:

სუროგატული - სტიმული, რომელიც მამოტივირებელი ოპერაციის ეფექტს იძენს სხვა მოტივაციურ ოპერაციასთან შეწყვილებით და აქვს იმავე ღირებულების შემცვლელი და ქცევის შემცვლელი ეფექტი.

გამაფრთხილებელი - სტიმული, რომელიც სიტუაციის გაუარესებას ან გაუმჯობესებაზე მიანიშნებს. გამაფრთხილებელი სტიმული გაქცევასა და თავის არიდებას ძალიან სასურველ განმამტკიცებლად აქცევს.

გარდამავალი - სტიმული, რომელიც დასწავლის ისტორიის შედეგად

წარმოქმნის (წყვეტს) სხვა სტიმულის განმამტკიცებელ ეფექტს და იწვევს (წყვეტს) ქცევას, რომელიც წარსულში ამ სტიმულით იყო განმტკიცებული. კონკრეტული სტიმული ზრდის ნეიტრალური სტიმულის ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 26

მოტივაციური ოპერაციები

ორი სახის მოტივაციური ოპერაცია:

- ქცევის წარმოქმნელი ოპერაცია (EO), რომელიც ზრდის ქცევის შედეგის ღირებულებას
- ქცევის უაღრესადი ოპერაცია (AO), რომელიც პირიქით, ამცირებს ქცევის შედეგის ღირებულებას.

გარემოში არსებული ცვლადი, რომელიც ცვლის (ზრდის ან ამცირებს) სტიმულის, ობიექტის ან მოვლენის განმამტკიცებელ ან დასჯელ ეფექტს;

ცვლის (ზრდის ან ამცირებს) ქცევის მიმდინარე სინშირას, რომელიც წარსულში იყო განმამტკიცებელი ან დასჯილი ამ სტიმულის, ობიექტის ან მოვლენის საშუალებით.

დისკრიმინაციული სტიმული და მოტივაციური ოპერაციები გავლენას ახდენენ ქცევის მიმდინარე სინშირებზე.

“ქწყურია”

იწვევს წყლის ღირებულება

ეწემა წყლის ღირებულება

სურ. 26 მოტივაციური ოპერაციები

8.2. სტიმული


სტიმული - ენერჯის ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზმზე რეცეპტორების საშუალებით (Michael, 2004, p. 7).

სტიმულის კლასი - სტიმულთა ჯგუფი, რომლებიც სპეციფიკური საერთო მახასიათებლებით არიან გაერთიანებულნი. მახასიათებლებია: ფორმალური (ზომა, ფერი), დროითი (წინაპირობა ან შედეგი), და/ან ფუნქციური (დისკრიმინაციული სტიმული).

საერთო მახასიათებლის მქონე სტიმულის კლასი - სტიმულები, რომელთაც საერთო მახასიათებლები აქვთ და ერთმანეთს ჰგვანან ფიზიკური ფორმის (მრგვალი, წითელი, ოთხფეხა), სტრუქტურის (რბილი, შალის) ან მიმართების (უფრო ცხელი, უმაღლესი, გვერდით) მიხედვით.

შემთხვევით დაჯგუფებულ სტიმულთა კლასი - წინაპირობის სტიმულები, რომლებიც იწვევენ ერთნაირ რეაქციას, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს არ ჰგვანან ფიზიკური ფორმით, სტრუქტურითა და მიმართებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 27



სურ. 27 სტიმულის კლასი

8.3 სტიმულის კონტროლი

პროცესი, როდესაც ქცევა ხშირად დისკრიმინაციული სტიმულის არსებობის შემთხვევაში ხორციელდება, ვიდრე მის გარეშე. ამ პროცესს სტიმულის დისკრიმინაციის ტრენინგამდე მივყავართ.

დისკრიმინაციული სტიმული (SD) - მანიპულირება წინაპირობის სტიმულის არსებობის შემთხვევაში, როდესაც განმამტკიცებლის ხელმისაწვდომობა პირობას ხდის უფრო კომპლექსურს და წარმოგვიდგენს სტიმულის კონტროლის ქვეშ მყოფ ორგანიზმის ქცევას გარემო კონტექსტის პირობებში. სტიმული, რომლის არსებობის შემთხვევაში განმამტკიცებელი ხელმისაწვდომია და ქცევა მტკიცდება.

დელტა სტიმული - სტიმული, რომლის არსებობის შემთხვევაში განმამტკიცებლის მიღების საშუალება იკარგება.

მაგ., გარკვეული პერიოდულობით ირეკება ზარი. ზარის დარეკვისას თუ ვირთხა ღილაკს დააჭერს, საკვებს მიიღებს. ვირთხას შეუძლია სხვა დროსაც დააჭიროს ღილაკს, მაგრამ თუ ზარი არ ირეკება, ამ დროს ვირთხა ვერ მიიღებს საკვებს. მოცემულ სცენარში ზარის ხმა არის დისკრიმინაციული სტიმული, ხოლო მისი არარსებობა - დელტა სტიმული.

ამ გამოცდილების შემდეგ ვირთხა დიდი ალბათობით უფრო ხშირად დააჭერს ღილაკს მაშინ, როდესაც ზარი ირეკება და არ დააჭერს მისი არარსებობის შემთხვევაში.

ნიმუშთან დაწყვილება - პროცედურა, რომლის მეშვეობითაც პირობითი კავშირებისა და სტიმულის ეკვივალენტობის დასწავლა და/ან შემოწმება ხდება.

პირობითი დისკრიმინაცია - შესრულება ნიმუშთან დაწყვილების პროცედურაში, როდესაც დისკრიმინაცია შესაძარებელ სტიმულებს შორის პირობითია ან დამოკიდებულია კონკრეტულ მომენტში წარმოდგენილ ნიმუშზე, ყველა მცდელობისას.



მცდარი სტიმულის კონტროლი - ქცევა ვლინდება არარელევანტური წინაპირობის კონტროლის ქვეშ.

ფაქტორები, რომლებიც სტიმულის კონტროლზე ახდენენ გავლენას: სტიმულის დაბლოკვა (შენიღბვა) (მოსწავლემ იცის პასუხი, მაგრამ სხვა სტიმული რეაქციის გამოვლენაში ხელს უშლის) და დაჩრდილვა (როდესაც მოსწავლეს დასწავლაში სხვა სტიმულები უშლის ხელს). (სურ. 28)

- ქცევის სამპირობიანი გარემოება - სამპირობიანი გარემოება წარმოადგენს ქცევის ანალიზის ძირითად ერთეულს და აღწერს დროებით და ფუნქციურ კავშირს წინაპირობის სტიმულს, ქცევასა და მის თანმდევ შედეგს შორის. ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით, ეს გარემოება გულისხმობს კონკრეტული შედეგის გავლენას ქცევის გამოვლენაზე.

სტიმულის კონტროლი

”შენ ფსაჭნიდი კარს,
ნიუ? შამოდი”



მცდარი სტიმულის კონტროლი



სურ. 28 სტიმულის კონტროლი

8.4. დახმარება

დახმარება გამოიყენება ან ქცევის დასაწყისში ან ქცევის დროს.

არსებობს ორი ტიპის დახმარება, ესენია: რეაქციის განხორციელება-სთან დაკავშირებული დახმარება და სტიმულის დახმარება.

სტიმულის დახმარება: დახმარება, რომელიც უშუალოდ წინაპირობის სტიმულზე ახდენს გავლენას, რომ სასურველი ქცევა გამოიწვიოს დისკრიმინაციულ სტიმულთან ერთად (მაგ.: სტიმულის ზომის, ფერის ან პოზიციის ცვლილება).

- პოზიციური - საგნების დისკრიმინაციის სწავლებისას ერთი საგანი სხვა საგნებთან შედარებით ინდივიდთან უფრო ახლოსაა მოთავსებული;
- მოქმედებითი - სტიმულების დისკრიმინაციის სწავლების დროს ერთ-ერთ სტიმულზე (რომელსაც ვასწავლით) მინიშნება მისი მიმართულებით ყურების, მასზე შეხების (მაგ., კაკუნის), მისი გადაადგილების საშუალებით;
- სტიმულის ფორმის/ზომის ცვლილება: სტიმულის დისკრიმინაციის დროს სასურველ სტიმულს ვთავაზობთ განსხვავებული ფორმით, ზომით, ფერით; ან შესაძლებელია სტიმული გამოირჩეოდეს სხვა სტიმულებისგან მასზე მითითებული რაიმე სიმბოლოთი (მაგალითად, კაშკაშა ფერის სტიკერის დაწებება სტიმულზე, რომელიც გვინდა, რომ აირჩიოს მოსწავლემ).

სტიმულზე დახმარების გამომწვევა:

- სტიმულის ფორმის ტრანსფორმაცია: ეს პროცედურა იყენებს სტიმულის საწყის ფორმას, რათა სასურველი პასუხი გამოიწვიოს. შემდგომ საწყისი ფორმის ტრანსფორმირება ხორციელდება ეტაპობრივად, ბუნებრივ ფორმასთან მიახლოებით და, ამასთანავე, სწორი პასუხის შენარჩუნებით.
- სტიმულის გამომწვევა: სტიმულის გამომწვევა გულისხმობს მისი განმასხვავებელი ფიზიკური მარკერების (ფერის, ზომის, მდებარეობის) ეტაპობრივ გამომწვევას.

რეაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული დახმარება - არსებობს სამი ძირითადი ფორმა: ვერბალური, მოდელირება და ფიზიკური დახმარება.

- ვერბალური დახმარება შეიძლება იყოს ვოკალური ვერბალური ინსტრუქცია და არავოკალური ვერბალური ინსტრუქცია (ნიშნები, ნახატი, გაწერილი ინსტრუქცია);
- მოდელირება - სასურველი პასუხის მისაღებად ხდება სასურველი ქცევის მოდელირება; დახმარების ამ სახეობის გამოყენება ხდება იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც იმიტაციის უნარი აქვთ განვითარებული;
- ფიზიკური დახმარება - ამ ტიპის დახმარების დროს მასწავლებლის მიერ ხდება სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური დახმარების მიწოდება სასურველი პასუხის მისაღებად.

რეაქციის დახმარების გამომწვევა:

- მეტი დახმარებიდან ნაკლები დახმარებისკენ: მასწავლებელი ფიზიკურად სრულად ეხმარება მოსწავლეს რეაქციის განხორციელებაში და თა-

ნდათან ამცირებს დახმარებას.

- ნაკლები დახმარებიდან მეტი დახმარებისკენ: მასწავლებელი მოსწავლეს მცირედ ეხმარება რეაქციის განხორციელებაში. იმ შემთხვევაში, თუ რეაქცია არ განხორციელდება მცირე დახმარებით, მასწავლებელი უფრო მეტ ინტენსიურ დახმარებას იყენებს.
- დახმარების დროში გადავადება: ეს პროცედურა გულისხმობს სტიმულის წარდგენის შემდეგ დაყოვნებას დახმარების მიწოდებამდე. არსებობს ორი ტიპის დროში გადავადების პროცედურა, ესენია: ფიქსირებულ დროში გადავადებისა (როდესაც დახმარების მიწოდების დრო ზუსტადაა განსაზღვრული) და დროში პროგრესირებადი გადავადების (როდესაც დახმარების მიწოდების დრო ზუსტად არ არის განსაზღვრული და საჭიროების შემთხვევაში დრო ცვალებადია).
- ეტაპობრივი დახმარება (ხელმძღვანელობა): ამ ტიპის დახმარება იწყება იმით, რომ მასწავლებელი ყურადღებით ადევნებს თვალს მოსწავლის ქცევას, მაგრამ არ ეხება მას და საჭიროების შემთხვევაში იყენებს ეტაპობრივ ფიზიკურ დახმარებას. (სურ. 29)

დახმარება
გამოიყენება რეაქციის დასაწყისში ან რეაქციის დროს

რეაქციის დახმარება

მოძიწობა
"შეიძინე ბაბა"



მერბალური (ვოკალური და არავოკალური)
"შეიძინე ბაბა"



დახმარება: "ნოპ-ლოუ ჰუნა"

ფიზიკური
"შეიძინე ბაბა"



სტიმულის დახმარება

პოზიციური
"შეიძინე ბაბა"



მოძრაობა
"შეიძინე ბაბა"



ფორმის/ზომის ცვლილება
"შეიძინე ბაბა"



რეაქციის დახმარების გამოხშირვა:

- მიზიდვანი ნაკლებიდან
- ნაკლებიდან მიზიდვანი
- დახმარების გადავადება
- ეტაპობრივი დახმარება

სტიმულის დახმარების გამოხშირვა
სტიმულის ფორმის ტრანსფორმაცია



სტიმულის გამოხშირვა

3+3=6 3+3=6 3+3=6

3+3=

სურ. 29 დახმარება


თავი 9. ვერბალური ქცევა

ვერბალური ქცევა - ეს არის ქცევა, რომელიც მსმენელის საშუალებით განმტკიცდება. ტერმინი „ვერბალური ქცევა“ გულისხმობს კომუნიკაციის ყველა ფორმას, როგორც ვოკალურს, ისე არავოკალურს, კერძოდ: სიტყვიერ კომუნიკაციას, შესტების ენას, ბარათების საშუალებით კომუნიკაციას, წერილობით ენას, ფუნქციურ შესტებს და სხვა. ვერბალური ქცევა განხილულია

როგორც ენის ფორმალური და ფუნქციური ერთეულების ერთობლიობა ქრილში „წინაპირობა - ქცევა - შედეგი“, რომელთაც სკინერი უწოდებს ვერბალურ ოპერანტებს. ვერბალური ოპერანტებია: მენდი, ტაქტი, ინტრავერბალი, მსმენელი, ექო, ტექსტუალი და ტრანსკრიფცია.

ვერბალური ქცევა ისეთივე დასწავლილი ქცევაა, როგორც სხვა არა-ვერბალური ქცევა და მისი დასწავლა განპირობებულია იმავე გარემოს ცვლადებით, რომლებიც განაპირობებს სხვა არავერბალური ქცევების ჩამოყალიბებას (დისკრიმინაციული სტიმული SD, სტიმულის კონტროლი, მოტივაციური ოპერაციები MO, განმტკიცება, ჩაქრობა და ა. შ.). (სურ. 31)

მსმენელი - ის უზრუნველყოფს მოსაუბრის ვერბალური ქცევის შედეგს (განმამტკიცებლის მიწოდებას). ასევე მსმენელის არსებობა ხელს უწყობს ვერბალური ქცევის შენარჩუნებას.



სურ. 30 Updated taxonomy of elementary verbal operants, with corresponding controlling antecedent stimuli and examples of different types of duplincs and codics. Adapted from Applied Behavior Analysis, by J. O. Cooper, T. E. Heron, & W. L. Heward, 2007, Upper Saddle River, NJ: Pearson, p. 534, and "Skinner's Elementary Verbal Relations: Some New Categories," by J. Michael, 1982, The Analysis of Verbal Behavior, 1(1), 1-3

- მენდი - ვერბალური ოპერანტია, რომლის პასუხის ფორმა სპეციფიკურ განმამტკიცებელთან კავშირის ისტორიისა და მოტივაციური ოპერაციების ფუნქციური კონტროლის ქვეშაა.
 - მენდი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია ადამიანისთვის. მენდ-რეაქციის მეშვეობით ადამიანს შეუძლია გააკონტროლოს განმამტკიცებლის (ჯილდოს) მიღება და ის მაშინ მიიღოს, როდესაც ყველაზე მეტად სურს.
 - მენდი ბავშვს მეტყველის როლს ანიჭებს და საშუალებას აძლევს, მოიპოვოს გარკვეული კონტროლი გარემოზე.

- ტაქტი - ვერბალური ოპერანტია, რომლის პასუხის ფორმა არა-ვერბალური სტიმულის ფუნქციური კონტროლის ქვეშაა. ამ ვერბალური ოპერანტის დროს მოსაუბრის მიერ ხდება აღქმული არავერბალური სტიმულების (საგნები, მოქმედებები და ა. შ.) სახელდება.
- ექო (ექოიკი) - ვერბალური ოპერანტია და ერთი მოსაუბრის მიერ მეორე მოსაუბრის ვერბალური ქცევის გამეორებას გულისხმობს. პასუხის ფორმა კონტროლდება ვერბალური დისკრიმინაციული სტიმულით და ამ დისკრიმინაციული სტიმულის ზუსტი შესატყვისია, მასთან სრული მსგავსებით ხასიათდება.
- ზუსტი შესატყვისობა - სტიმულსა და რეაქციას შორის კავშირია, როცა ვერბალური სტიმულის დასაწყისი, შუა და ბოლო ნაწილი სრულიად ჰგავს რეაქციის დასაწყისს, შუა და ბოლო ნაწილს.
- ფორმალური მსგავსება - ხდება მაშინ, როდესაც მაკონტროლებელი წინაპირობის სტიმულს და რეაქციის პროდუქტს ა) აქვთ აღქმის ერთი და იგივე შესაძლებლობა (სტიმული და რეაქციის პროდუქტი არის ორივე ტაქტილური, აუდიალური, ვიზუალური) და ბ) ფიზიკური მსგავსებაა მათ შორის.
- ინტრავერბალი - ვერბალური დისკრიმინაციული სტიმულით გამოწვეული ვერბალური რეაქციაა, რომელიც ზუსტად არ შეესატყვისება დისკრიმინაციულ ვერბალურ სტიმულს.
- ტრანსკრიფცია - ძირითადი ვერბალური ოპერანტი, რომელშიც ნათქვამი სტიმული წერილობით, ბეჭდურ ან შესტურ ენაზე გამოხატულ რეაქციას იწვევს. ის ზუსტად შეესატყვისება აღმძვრელ სტიმულს და არ გააჩნია ფორმალური მსგავსება.
- ტექსტუალი - ძირითადი ვერბალური ოპერანტია, რომელიც წერილობითი ვერბალური დისკრიმინაციული სტიმულის ფუნქციური კონტროლის ქვეშაა და არ გააჩნია ფორმალური მსგავსება დისკრიმინაციულ სტიმულთან, თუმცა ზუსტად შეესატყვისება მას. ეს არის წაკითხვა, იმის მიუხედავად, ესმის თუ არა ადამიანს წაკითხულის შინაარსი.
- ავტოკლიტიკი - ეს ტერმინი გულისხმობს შემთხვევას, როდესაც მოსაუბრე შეიძლება იყოს და უმეტესად არის საკუთარი მსმენელი. სკინერმა 1957 წელს წარმოადგინა ტერმინი „ავტოკლიტიკი“, როგორც განსაზღვრული სტიმული ან როგორც მოტივაციური პირობა, მოსაუბრის დამატებითი ვერბალური ქცევისათვის. ავტოკლიტიკი არის ვერბალური ქცევა თავად მოსაუბრის ვერბალურ ქცევაზე.
 - ამ ქცევის შედეგი მოიცავს მსმენელის მხრიდან დიფერენციალურ განმტკიცებას, ანუ მთავარი მსმენელი განსაზღვრავს, იყოს თუ არა შუამავალი ამ ვერბალური რეაქციის განმტკიცების პროცესში. ავტოკლიტიკის პირობებში მოსაუბრე ხდება მსმენელი, საკუთარი ვერბალური ქცევისა და მის მიერ კონტროლირებადი ფაქტორების დამკვირვებელი და ამის შემდეგ ხდება ისევ მოსაუბრე.

ვერბალური ქცევა

მენდი

მინდ რეაქციის მეშვეობით ადამიანს შეუძლია გააპოტროლეს განსაზღვრული (ხილვით) მიღება და მიიღოს ის გარე, როდესაც ყველაზე მთავარ სურს.



ტაქტი

მოლაპარაკის მიერ აღქმული სტიმულების (საგნები, მოქმედებები...) სხეულებით სდებია.

ექო

ერთი მოსაუბრის მხრიდან მიღებული მოსაუბრის ვერბალური ქცევის გამეორებას წარმოადგენს.



ინტრავერბალი

ვერბალური დისკრიმინაციული სტიმულით გამოწვეული ვერბალური რეაქცია, როდესაც დისკრიმინაციულ ვერბალურ სტიმულთან ზუსტი შესატყვისობა არ გააჩნია.



ტრანსკრიფცია

ნათქვამი სტიმული წერილობით, ხელოვნურ ან მეტყველებს ენაზე გამოხატულ რეაქციას იწვევს.



ტექსტუალი

პითვან იმის მიხედვით, ადამიანს თუ არა ადამიანს წაბითვლის არსი.

სურ. 31 ვერბალური ქცევა

თავი 10. წინაპირობის ინტერვენცია

წინაპირობაში ჩარევა - მოცემული ინტერვენციების შემთხვევაში ხდება რთული ქცევის წინაპირობაში ჩარევა. აღნიშნული პრევენციული სტრატეგიაა და იძლევა საშუალებას, რომ მოხდეს რთული ქცევის ფუნქციის მქონე ალტერნატიული ქცევის დასწავლა. წინაპირობაზე ჩარევის ტექნიკებია: განუპირობებელი განმტკიცება (NCR), მაღალი ალბათობის მოთხოვნათა ჯაჭვი (High-probability request sequence) იგივე ქცევის მომენტი, ფუნქციური კომუნიკაციური ტრენინგი.

წინაპირობაში ჩარევა სამიზნე ქცევისგან დამოუკიდებლად ხდება მოტივაციური ოპერაციებით მანიპულირებისა და ალტერნატიული ქცევის დასწავლის საშუალებით. შედეგად ალტერნატიული სამიზნე ქცევა ინდივიდისთვის მეტ-ნაკლებად სასურველია და რთული ქცევის გამოვლენის ალბათობა მცირდება.

წინაპირობაში ჩარევის 3 ტიპი:

1. განუპირობებელი განმტკიცება: სამიზნე ქცევაზე არ არის დამოკიდებული და წინასწარ შეთანხმებულ დროში (ფიქსირებული ან ვარიაბელური დრო) ხდება განმამტკიცებლის მიწოდება, თუ რთული ქცევა არ ვლინდება. ინტერვენციამდე მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ სამიზნე ქცევის ფუნქცია და ისე მოხდეს მოტივაციური ოპერაციებით მანიპულირება.

3 ტიპის განუპირობებელი განმტკიცება:

- განუპირობებელი განმტკიცება დადებითი განმტკიცებით: დადებითი განმტკიცებით პრობლემური ქცევის შენარჩუნების შემთხვევაში შესაძლებელია განუპირობებელი განმტკიცების პროცედურის გამოყენება. იმ შემთხვევაში, როდესაც პრობლემური ქცევის ფუნქციას წარმოადგენს სასურველის მიღება (იქნება ეს რაიმე ნივთი, აქტივობა ან ყურადღება), განუპირობებელი განმტკიცებისას სასურველზე წვდომის უზრუნველყოფა ამცირებს დადებითი განმტკიცების ეფექტს და შედეგად, იწვევს პრობლემური ქცევის სიხშირის შემცირებას.
- განუპირობებელი განმტკიცება უარყოფითი განმტკიცებით: პრობლემური ქცევის უარყოფითი განმტკიცებით შენარჩუნების შემთხვევაში შესაძლებელია განუპირობებელი განმტკიცების პროცედურაში უარყოფითი განმტკიცების მექანიზმის გამოყენება. კერძოდ, თუ პრობლემური ქცევის ფუნქციას არასასურველი აქტივობისთვის ან სტიმულისთვის თავის არიდება წარმოადგენს (მაგალითად, ხმაურისთვის, დავალების შესრულებისთვის და ა. შ.), განუპირობებელი განმტკიცების პროცედურაში შესაძლებელია აღნიშნულისთვის თავის არიდების უზრუნველყოფა. ამ დროს კლიენტს არ მიეწოდება მისთვის არასასურველი დავალება, ხდება მაგ., ხმაურის დონის რეგულირება გარემოში და ა. შ.
- განუპირობებელი განმტკიცება ავტომატური განმტკიცებით: პრობლემური ქცევის ავტომატური განმტკიცებით შენარჩუნების შემთხვევაში განუპირობებელი განმტკიცების პროცედურაში სასურველ ობიექტებზე და აქტივობებზე წვდომა იწვევს პრობლემური ქცევის შემცირებას (Lindberg, et al., 2003).

განუპირობებელი განმტკიცება ფიქსირებული დროის განრიგით: მოცემულ შემთხვევაში განმამტკიცებლის მიწოდება ხდება უცვლელი ინტერვალებით.

ფიქსირებული დროის განრიგისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განმამტკიცებლის მიწოდებისთვის საწყისი ინტერვალის დადგენას. საწყისი ინტერვალის სწორი განსაზღვრა განაპირობებს შემდგომი ჩარევის ეფექტურობას (Kahng, et al., 2000). ინტერვალის გამოთვლა ხდება პრობლემური ქცევების გამოვლენის სიხშირის მიხედვით. კერძოდ, თუ პრობლემური ქცევა ვლინდება საშუალოდ ყოველ 15 წამში, განუპირობებელი განმტკიცება უნდა ხდებოდეს პრობლემური ქცევის გამოვლინებამდე. შესაბამისად, ფიქსირებული დროის განრიგის სახით ამ შემთხვევაში შერჩეული იქნება FT13 წმ, რაც ნიშნავს, რომ განმამტკიცებლის მიწოდება უნდა მოხდეს ყოველ 13 წამში.

განუპირობებელი განმტკიცება ცვალებადი დროის განრიგით: მოცემულ შემთხვევაში განმამტკიცებლების მიწოდება ხდება მიწოდებებს შორის ცვალებადი ინტერვალებით. კერძოდ, პრობლემური ქცევის გამოვლენაზე დაკვირვების შედეგად ხდება დროის საშუალო ინტერვალის გამოთვლა.

განუპირობებელი განმტკიცების დროს არ ხდება ალტერნატიული ქცევის დასწავლა, რადგან შესაძლებელია განმტკიცდეს არასასურველი ქცევა. განუპირობებელი განმტკიცება ამცირებს არასასურველი ქცევის სიხშირეს და ქმნის ალტერნატიული ქცევის დასწავლის შესაძლებლობას.

2. ფუნქციური კომუნიკაციური ტრენინგი წინაპირობაში ჩარევას. მისი მიზანია პრობლემური ქცევის ალტერნატიული ქცევის სწავლებით განმამტკიცებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ინდივიდს გარემოს კონტროლის საშუალებას აძლევს. სოციალურად მისაღები ალტერნატიული ქცევა, რომელიც ინდივიდის არსებული უნარების საფუძველზე შეირჩევა, დიფერენციალური განმტკიცებით (DRA) დაისწავლება. ფუნქციური კომუნიკაციისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სურათის გაცვლით კომუნიკაციის სისტემა, ვოკალური მენდი, ჟესტური მენდი, ბუნებრივი ჟესტი და ა. შ.

3. მაღალი ალბათობის მოთხოვნათა თანმიმდევრობა (high probability request sequence) წინაპირობაზე ჩარევის კიდევ ერთი მეთოდია. მოცემული პროცედურა გულისხმობს შემდეგს: მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს მარტივ დავალებებს, რომლებთან დაკავშირებითაც წარსულში ბავშვი აჩვენებდა შესრულების მაღალ ალბათობას (მაღალი p) და, როდესაც მოსწავლის მიერ დავალების შესრულების მაჩვენებელი მზარდია, მასწავლებელი არჩევს ისეთ დავალებას, რომელშიც ადრე ბავშვს ჰქონდა დაბალი შესრულების მაჩვენებელი (დაბალი p). აღნიშნულ შემთხვევაში იზრდება ალბათობა, რომ ბავშვი შეასრულებს წარსულში შეუსრულებელ დავალებას. (სურ.32)

წინაპირობაში ჩარევა




მოცემული ინტერვენციების შემთხვევაში ხდება რთული ქცევის წინაპირობაზე ჩარევა. აღნიშნული წარმოადგენს პრევენციულ სტრატეგიას და იძლევა საშუალებას, რომ მოხდეს რთული ქცევის ფუნქციის მქონე ალტერნატიული ქცევის დასწავლა. წინაპირობაზე ჩარევის ტექნიკებია განუპირობებელი განმტკიცება (NCR), მაღალაღბათური მოთხოვნათა ჯაჭვი (HIGH-PROBABILITY REQUEST SEQUENCE) ფუნქციური კომუნიკაციური ტრენინგი.

წინაპირობაში ჩარევის 3 ტიპი:

განუპირობებელი განმტკიცება:

პლინების ქცევისგან დამოუკიდებლად და წინასწარ შეთანხმებულ დროში ხდება განმტკიცების მიწოდება



ფუნქციური კომუნიკაციური ტრენინგი:

მისი მიზანია პრობლემური ქცევის ალტერნატიული ქცევის სწავლებით განმტკიცების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა.

მაღალი ალბათობის მოთხოვნათა თანმიმდევრობა

მასწავლებელი აწვდის მოსწავლეს მარტივ დავალებას, რომლებსაც ხაზში მაღალი ალბათობით ასრულებდა წარსულში; როდესაც მოსწავლე ავლენს მზარდ შესრულებას, მასწავლებელი აწვდის ისეთ დავალებას, რომელზეც ადრე ხაზში ჰქონდა დაბალი შესრულება.

სურ. 32 წინაპირობაში ჩარევა

თავი 11. ახალი ქცევის ჩამოყალიბება

11.1. ფორმირება

ფორმირება - დიფერენცირებული განმტკიცების საშუალებით ხდება სასურველი საბოლოო პასუხის ფორმირება. პასუხების ყოველი კლასი საბოლოო სამიზნე ქცევასთან მიახლოებულ პასუხს წარმოადგენს.

საბოლოო რეაქცია-ფორმირების შედეგი - შეიძლება იყოს რეაქციის წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმის ტოპოგრაფია, მაგნიტუდა, ლატენცობა, რეაქციებს შორის დრო, სინშირე.

ფორმირების ტიპები:

რეაქციებს შორის ფორმირება, როდესაც სამიზნე ქცევის ტოპოგრაფია იცვლება.

ფორმირება რეაქციის შიგნით, როდესაც სამიზნე ქცევის ტოპოგრაფია უცვლელია და მხოლოდ გასაზომი სიდიდე იცვლება (მაგ.: მაგნიტუდა).

ფორმირება წარმოადგენს ქცევის ცვლილების პოზიტიურ მიდგომას და შეიძლება გამოიყენებოდეს ქცევის ცვლილების სხვა ტაქტიკებთან ერთად.

ახალი სამიზნე ქცევის ფორმირებას დიდი დრო სჭირდება, რადგან ეტაპობრივად ხდება საბოლოო პასუხთან მიახლოებული ქცევების დიფერენცირებული განმტკიცება.

ფორმირებას უწყვეტი მონიტორინგი სჭირდება.

კლიკერტრენინგი არის სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისტემა ქცევის ეტაპობრივი ცვლილებისთვის პოზიტიური განმტკიცებისა და ჩაქრობის გამოყენებით.

კლიკერი - პორტატიული მეტალის მოწყობილობაა, რომელიც ღილაკზე თითის დაჭერით გამოსცემს ხმას, რაც ქცევის ფორმირების პროცესში განმამტკიცებლის ფუნქციას ასრულებს.

ვიდრე ფორმირების პროცედურას გამოვიყენებთ, გასათვალისწინებელია ყველა საჭირო რესურსი, რაც ქცევის ფორმირებისთვის იქნება საჭირო, ასეთებია: პერსონალის რესურსი, სამიზნე ქცევის თვისებები და დრო.

მას შემდეგ, რაც გადაწყდება ფორმირების გამოყენება, პრაქტიკოსმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:


- აირჩიოს ქცევის საბოლოო პროდუქტი;
- განსაზღვროს წარმატების კრიტერიუმი;
- ჩამოაყალიბოს რეაქციათა კლასის ანალიზი;
- განსაზღვროს განმტკიცებისთვის პირველი პასუხი;
- იმოქმედოს ეტაპობრივად;
- განამტკიცოს საბოლოო პროდუქტთან მიახლოებული ყველა პასუხი.

(სურ. 33)



ფორმირება

დიფერენცირებული განმეორების საშუალებით ხდება სასურველი საბოლოო პასუხის ფორმირება. პასუხების ყოველი კლასი საბოლოო სამიზნე ქცევასთან მიანდობილ პასუხს წარმოადგენს.




ფორმირების ტიპები:

- ✓ რეაქციებს შორის ფორმირება;
- ✓ ფორმირება რეაქციებს შიგნით

✓ რეაქციებს შორის ფორმირება, როდესაც სამიზნე ქცევის ტოპოგრაფია იცვლება.

✓ ფორმირება რეაქციებს შიგნით, როდესაც სამიზნე ქცევის ტოპოგრაფია უცვლელია და მხოლოდ გასაზომი სიდიდე იცვლება (მაგალითად: მაგნიტუდა).



სურ. 33 ფორმირება

11.2. იმიტაცია

იმიტაცია - სხვა ადამიანის მოდელირების შედეგად მიღებული ქცევაა, რომელიც ფორმალურად ჰგავს მოდელს, თან სდევს მას დროში და მოდელი, თავის მხრივ, წარმოადგენს ძირითად, მმართველ ცვლადს იმიტაციური ქცევისთვის. იმიტაციური ქცევა წინაპირობის სტიმულით გამოწვეული ახალი ქცევაა.

მოდელი არის სამიზნე ქცევის ცოცხალი ან სიმბოლური დემონსტრირება, რომელიც მოსწავლეს მიუთითებს, როგორ უნდა შესრულდეს ქცევა.

ფორმალურია მსგავსება, როდესაც მოსწავლის ქცევა მოდელის იდენტურია და ერთსა და იმავე რეჟიმშია წარმოდგენილი.

გენერალიზებადი იმიტაცია - როდესაც ინდივიდს აქვს უნარი, სხვადასხვა გარემოსა და პირობებში განმტკიცების და დახმარების გარეშე მოახდინოს მოდელის იმიტირება.

გაიდლაინები იმიტაციის ტრენინგისთვის:

- თერაპიული სეანსები უნდა იყოს მოკლე და აქტიური;
- უნდა მოხდეს იმიტაციური პასუხის განმტკიცება, როგორც დახმარების შემდეგ, ასევე სწორი დამოუკიდებელი პასუხის შემთხვევაში;
- უნდა დაწყვილდეს ჯილდო შექებასთან და ყურადღებასთან;
- უნდა მოხდეს ფიზიკური და ვერბალური დახმარების გამოხშირვა;
- ყოველი სესიის შემდეგ უნდა მოხდეს ჩანაწერის გაკეთება;
- უნდა დასრულდეს იმიტაციის ტრენინგი, თუ მოსწავლეს შეუძლია 5 სხვადასხვა ახალი ქცევის იმიტირება.

(სურ. 34)

იმიტაცია



იმიტაციური ქცევა წინაპირობის სტიმულით გამოწვეული ახალი ქცევაა.

გაიდლაინები იმიტაციის ტრენინგისთვის:

- თერაპიული სესიონები უნდა იყოს მოკლე და აქტიური.
- უნდა მოხდეს განმტკიცება იმიტაციური პასუხის, როგორც დახმარების შემდეგ, ასევე სწორი დამოუკიდებელი პასუხის შემთხვევაში.
- დააწყვილეთ ჯილდო შექებასთან და ყურადღებასთან.
- ფიზიკური და ვერბალური დახმარების გამოხშირვა.
- ყოველი სესიის შემდეგ ჩანაწერის გაკეთება.
- დაასრულეთ იმიტაციის ტრენინგი, თუ მოსწავლეს შეუძლია 5 სხვადასხვა ახალი ქცევის იმიტირება.



მოდელი

ცოცხალი ან სიმბოლური დემონსტრირება სამიზნე ქცევის, რომელიც მოსწავლეს მიუთითებს, როგორ უნდა შესრულდეს ქცევა.



გენერალიზებადი იმიტაცია

ინდივიდს აქვს უნარი სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა პირობებში განმტკიცების და დახმარების გარეშე შეუძლია მოდელის იმიტირება.



სურ. 34 იმიტაცია

11.3. ქცევითი ჯაჭვი

- ქცევითი ჯაჭვი - ქცევათა თანმიმდევრობა ან ქცევათა რიგია, სადაც ჯაჭვში არსებული თითოეული ქცევა იწვევს ისეთ ცვლილებას, რომელსაც თავად მასზე აქვს განმაპირობებელი ეფექტი და, ამავდროულად, რიგის ყველა რგოლი ასრულებს დისკრიმინაციული სტიმულის როლს ჯაჭვში არსებული შემდეგი ქცევისათვის; ხოლო ჯაჭვში არსებულ ბოლო პასუხს განმამტკიცებლის ეფექტი აქვს მოცემულ ქცევათა რიგში მის წინ განხორციელებულ ყველა ქცევაზე.
- ქცევითი ჯაჭვის ფორმირება - ქცევითი ჯაჭვის ფორმირების საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა მეთოდი, რეაქციების თანმიმდევრობა, როდესაც ყოველი რეაქციის დასასრული იმავე რეაქციის განმტკიცებას ემსახურება და მომდევნო რეაქციის დისკრიმინაციულ სტიმულს წარმოადგენს.
- ამოცანების/მიზნების ალგორითმი - ამოცანების/მიზნების ალგორითმი არის ამოცანების/მიზნების შესრულების თანმიმდევრობა. ამოცანების/მიზნების შედგენისას რთული ამოცანები იყოფა მცირე ეტაპებად, რომლებიც მარტივი შესასრულებელია. ამოცანების ნაბიჯ-ნაბიჯ თანმიმდევრობით შესრულებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ინდივიდის ასაკი, უნარების დონე, შესაძლებლობები და წინა გამოცდილება. სხვადასხვა ადამიანს ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად შესაძლოა სხვადასხვა თანმიმდევრობა დასჭირდეს. ზოგიერთი ალგორითმი რამდენიმე ეტაპად იყოფა, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება კიდევ დანაწევრდეს. ამოცანების ეტაპების თანმიმდევრობის შეცვლა შესაძლებელია.
- ამოცანათა ანალიზის შემდგომ სწავლებამდე ხდება დახელოვნების დონის განსაზღვრა/შეფასება. ფასდება ინდივიდის მიერ ჯაჭვში შემავალი კომპონენტების დამოუკიდებლად შესრულების ხარისხი.
- შეფასების ორი ტიპი არსებობს: ერთი შესაძლებლობა და მრავლობითი შესაძლებლობა.
- ერთი შესაძლებლობა - ეს მეთოდი განკუთვნილია მოსწავლის მიერ ამოცანათა ანალიზში შესული ქცევითი ჯაჭვის ყოველი კომპონენტის სწორი თანმიმდევრობით შესრულების შესაფასებლად, მაგ.: თუ მოსწავლე ქცევითი ჯაჭვის მეორე რგოლს ვერ შეასრულებს, შეფასება სრულდება.
- მრავლობითი შესაძლებლობა - აფასებს მოსწავლის მიერ ქცევითი ჯაჭვის ყველა კომპონენტის შესრულების ხარისხს, მაგ.: თუ მოსწავლე ვერ ასრულებს ქცევითი ჯაჭვის რომელიმე კომპონენტს, ქცევითი ანალიტიკოსი ასრულებს მოსწავლის მაგივრად იმ კონკრეტულ რგოლს და შეფასება გრძელდება მომდევნო რგოლის შესაფასებლად.
- პირდაპირი თანმიმდევრობით ქცევითი ჯაჭვის ფორმირება - პირდაპირი თანმიმდევრობით ქცევითი ჯაჭვის ფორმირების დროს თავიდან ასწავლიან (შესაძლოა დახმარებითაც) ქცევითი ჯაჭვის პირველი ნაბიჯის შესრულებას და შემდგომ მოქმედებებს მოსწავლის მაგივრად ასრულებენ. წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმის თანახმად, როდესაც მოსწავლე ქცევითი ჯაჭვის პირველ ნაბიჯს დაეუფლება, ასწავლიან მეორე მოქმედებას, ხოლო დანარჩენს ისევ ინსტრუქტორი ასრულებს. ასე გრძელდება

ქცევითი ჯაჭვის დასრულებამდე.

- უკუმიმართულებით/პირუკუ ქცევითი ჯაჭვის ფორმირება - ქცევითი ჯაჭვის უკუმიმართულებით ფორმირებისას ინსტრუქტორი ყველა მოქმედებას თანმიმდევრულად ასრულებს, ბოლო მოქმედების გარდა. წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმის თანახმად, როდესაც მოსწავლე ბოლო მოქმედებას შეასრულებს, მას განმამტკიცებელს აძლევენ. შემდეგ მოსწავლემ უნდა შეასრულოს ბოლოს წინა ნაბიჯი. ასე გაგრძელდება იქამდე, სანამ დაისწავლის ქცევითი ჯაჭვის ყველა ეტაპს.

- უკუმიმართულებით/პირუკუ ქცევითი ჯაჭვი ნახტომით - იდენტურია პირუკუ ქცევითი ჯაჭვისა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ყველა ჯერზე ჯაჭვის ყველა რგოლის ტრენინგი არ მიმდინარეობს. არჩეული ბიჯები მხოლოდ მოწმდება. ამ პროცედურის მიზანია სწავლების საერთო დროის შემცირება.

- ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქცევითი ჯაჭვის ფორმირებაზე: ჯაჭვის სიგრძე და სირთულე, განმტკიცების განრიგი, სტიმულისა და რეაქციის ვარიაცია.

(სურ. 35)

ქვევითი ჯაჭვი

ქვევითა თანმიმდევრობა ან ქვევითა რიგი, სადაც ჯაჭვი მყოფი თითოეული ქვევა იწვავს ისეთ ცვლილებას, რომელსაც თავად მასზე აქვს განმარტობაბალი ეფექტი და აბავდროულად რიგის ყველა რგოლი ასრულებს დისკრიმინაციული სტიმულის როლს ჯაჭვი მყოფი შავდაგი ქვევისათვის, სოლო ჯაჭვი მყოფ ბოლო პასუხს განმარტობაბლის ეფექტი აქვს მოცემულ ქვევითა რიგში მის წინ განსოტცილებულ ყველა ქვევაზე.

ვასწავლით



პირდაპირი თანმიმდევრობით ქვევითი ჯაჭვი

პირდაპირი თანმიმდევრობით ქვევითი ჯაჭვის ფორმირების დროს თავიდან ასწავლიან (შესაძლოა დახმარებითაც) ქვევითი ჯაჭვის პირველი ნახიჯის შესრულებას და შემდგომ მოქმედაბას მოსწავლის მაგივრად ასრულებან.

უკუმიმართულებით/პირუკუ ქვევითი ჯაჭვი

ქვევითი ჯაჭვის უკუმიმართულებით ფორმირებისას ინსოტრუქოტორი ყველა მოქმედაბას თანმიმდევროულად ასრულებს ბოლო მოქმედაბის გარდა.



ვასწავლით

თავი 12. გენერალიზება


12.1. განზოგადება/გადატანა

ზოგადი ტერმინი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქცევით პროცესსა და ქცევის ცვლილების შედეგს. ეს არის წინასწარ დაგეგმვის გარეშე შესაბამისი (დასწავლილი) ქცევის აღმოცენება განსხვავებულ პირობებში. რაც ნიშნავს, რომ ეს პირობები რაიმე ნიშნით განსხვავდება ამ ქცევის სწავლებისას გამოყენებული პირობებისგან.


სტრატეგიები:

1. შემთხვევის საერთო ანალიზი: შემთხვევის ანალიზი, რა გვჭირდება დასაწყისში, რისი გაკეთებაა საჭირო;
2. საერთო სტიმული: იგივე სტიმულები, რომლებიც რეალურ გარემოშია;
3. თავისუფალი სწავლება - ერთი სტიმული და სხვადასხვა მოდალობა;
4. მრავლობითი მაგალითები/სტიმულები: სტიმულის გენერალიზება/რეაქციის გენერალიზება;
5. არამაგალითები - სტიმულის დისკრიმინაცია;
6. განურჩეველი პირობა. ადამიანმა არ იცის, როდის მიიღებს განმამტკიცებელს ქცევის აღმოცენების შემთხვევაში;
7. გაშუალება - მხარდაჭერა, შენარჩუნება.

რეაქციის გენერალიზება: ეს არის სწავლებაში ჩართული პირის მხრიდან იმ ქცევის გამომჟღავნება, რომელიც ფუნქციურად შეესაბამება/უთანაბრდება ნასწავლ სამიზნე ქცევას. (სურ. 36)




სტიმულის გენერალიზება: მსგავსი ფიზიკური მახასიათებლის მქონე სტიმული იწვევს იმავე რეაქციას.



ზეგენერალიზება - არატექნიკური ტერმინია, მაგრამ შედეგების ეფექტური აღმწერი, რომლის დროსაც ქცევა ხვდება სტიმულთა კლასის ფართო სპექტრის ქვეშ. ადამიანი ავლენს სამიზნე ქცევას ისეთი სტიმულების არსებობის დროს, რომელიც სასწავლო სტიმულის მსგავსია.

მაგ.: ბავშვი ყველა ქალს დედას ეძახის.

შენარჩუნება - ჩარევის შედეგად დასწავლილი ქცევის შენარჩუნება განმტკიცების გარეშე.




სურ. 36 გენერალიზება

12.2. ცნების ფორმირება

ცნების ფორმირება - სტიმულის კონტროლის რთული ფორმაა, რომელიც ორი სახით ვლინდება, ესენია:

- ა) სტიმულის ჯგუფში სტიმულის განზოგადება;
- ბ) სტიმულთა ჯგუფებს შორის დისკრიმინაცია. (სურ. 37)



სურ. 37 ცნების ფორმირება

თავი 13. სპეციალური სტრატეგიები

13.1. ცალკეული სინჯებით სწავლება

ცალკეული სინჯებით სწავლება - სწავლების ერთ-ერთ მეთოდია, რომელიც დასასწავლ ქცევას შლის შემადგენელ ნაბიჯებად და დროის ერთ მონაკვეთში ხდება ქცევის ერთი კომპონენტის დასწავლა (Smith, 2001).

ცალკეულის სინჯებით სწავლების სქემა:

დისკრიმინაციული სტიმული (ინსტრუქცია) - ქცევა - შედეგი (სწორი პასუხის შემთხვევაში განმამტკიცებლის მიწოდება, მცდარი პასუხის შემთხვევაში ციკლის თავიდან დაწყება).

დისკრიმინაციული სტიმული (ინსტრუქცია) - დახმარება - ქცევა - შედეგი (სწორი პასუხის შემთხვევაში განმამტკიცებლის მიწოდება, მცდარი პასუხის შემთხვევაში ციკლის თავიდან დაწყება). (სურ. 38)

$SD \longrightarrow B \longrightarrow C(R+)$

მცდარი პასუხის შემთხვევაში



$SD \longrightarrow PROMPT \longrightarrow B \longrightarrow C(R+)$



სურ. 38 ცალკეული სინჯებით სწავლება

13.2. ჟეტონების სისტემა

ქცევის ცვლილების სისტემა, როდესაც სამიზნე ქცევის გამოვლენის შემთხვევაში კლიენტი იღებს ჟეტონს (გენერალიზებადი პირობითი განმამტკიცებელი). კლიენტი აგროვებს წინასწარ შეთანხმებული რაოდენობის ჟეტონს, რათა გადაცვალოს მისთვის სასურველ სტიმულზე.

ჟეტონის სისტემის სამი მთავარი კომპონენტი:

ა) სამიზნე ქცევა; ბ) ჟეტონების მიწოდება; გ) გადაცვლა სასურველ სტიმულზე.

ჟეტონის სისტემის წარმატებით გამოყენებისთვის საჭიროა:

1. სპეციალისტების მუდმივი ტრენინგი და მონიტორინგი;
2. კონკრეტული შემთხვევის დაგეგმვა და მონიტორინგი;
3. სასურველი სტიმულების მენიუ;
4. სამიზნე ქცევის სიხშირის განსაზღვრა ჟეტონების მისაღებად;
5. კრიტერიუმის წინასწარ განსაზღვრა ჟეტონების მისაღებად;
6. რა ხდება კრიტერიუმის ვერ/არდაკმაყოფილების შემთხვევაში;
7. ჟეტონის სისტემის გამომწერვა. (სურ. 39)

ჟეტონების სისტემა

ქვევის ცვლილების სისტემა, როდესაც საიზნე ქვევის გამოვლენის შედეგებზე პლიენტები იღებენ მეტონს (განვრალიზებადი პირთხითი განვებამცხვებელი). პლიენტი აბროვბებს წინასწარ შეთანხმებულ რაოდენობის მეტონს, რათა მოხდეს გადაცვლა აისთვის სასურველ სტიმულზე.

ჟეტონის სისტემის სამი მთავარი კომპონენტი:

- საიზნე ქვევა;
- მეტონების მიწოდება;
- გადაცვლა სასურველ სტიმულზე.

ჟეტონის სისტემის წარმატებით გამოყენებისთვის საჭიროა:

- სპეციალისტების მუდმივი ტრენინგი და მონიტორინგი;
- კონკრეტული შემთხვევის დაგეგმვა და მონიტორინგი;
- სასურველი სტიმულების მენიუ;
- საიზნე ქვევის სიხშირის განსაზღვრა მეტონების მიღებისთვის;
- კრიტერიუმის წინასწარ განსაზღვრა მეტონების მისაღებად;
- რა ხდება კრიტერიუმის ვერ/არ დაკმაყოფილების შემთხვევაში;
- მეტონის სისტემის გამომწერვა.

სურ. 39 ჟეტონების სისტემა

13.3. ჯგუფური პირობა

პირობა, რომლის დროსაც განმამტკიცებლის მიღება ჯგუფის წევრებისთვის დამოკიდებულია ა) ჯგუფში ერთი ადამიანის ქცევაზე, ბ) ჯგუფის ყველა წევრზე. ამის მიხედვით არსებობს შემდეგი ჯგუფური პირობები:

დამოუკიდებელი პირობა - ჯგუფის ის წევრი მიიღებს განმამტკიცებელს, რომელიც დააკმაყოფილებს წინასწარ შეთანხმებულ პირობას.

ურთიერთდამოკიდებული პირობა - განმამტკიცებელს მიიღებს ჯგუფის ყველა წევრი, თუ წინასწარ შეთანხმებულ პირობას დააკმაყოფილებს ჯგუფის ყველა წევრი.

დამოკიდებული პირობა (გმირი პროცედურა) - განმამტკიცებელს მიიღებს ჯგუფი, თუ ჯგუფის ერთი წევრი დააკმაყოფილებს წინასწარ შეთანხმებულ პირობას. (სურ. 40)



სურ. 40 ჯგუფური პირობა

13.4. თვითმართვა

თვითმართვა - ადამიანის მიერ ქცევის მოდიფიკაციის პროცედურის გამოყენება საკუთარი ქცევის შესაცვლელად.

სამიზნე ქცევას, რომელიც გვინდა, რომ შევცვალოთ, ეწოდება გაკონტროლებული ქცევა.

თვითმენეჯმენტის ქცევა - მაკონტროლებელი.

წინაპირობაში ჩარევის თვითმართვის სტრატეგიები:

- მოტივაციური ოპერაციებით მანიპულირება;
- რეაქციაზე დახმარება;
- ქცევის ჯაჭვში პირველი რგოლის შესრულება;
- გარემოდან იმ სტიმულების ამოღება, რომლებიც არასასურველ ქცევას ინარჩუნებენ;
- ლიმიტირება იმ სტიმულების გარემოში, რომლებიც არასასურველ ქცევას უკავშირდება;
- გარემოს მოდიფიცირება ისე, რომ სამიზნე ქცევის გამოვლენა შეუძლებელი იყოს.

ინდივიდი შეძლებს თვითმართვის პროგრამის წარმატებით შესრულებას განმტკიცების და დასჯის პროცედურების გამოყენებით.

თვითმართვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია თვითშეფასება, როდესაც ინდივიდი სამიზნე ქცევის მიმდინარე პროცესს ადარებს წინასწარგანსაზღვრულ მიზნებს.

თვითმონიტორინგი - არის პროცედურა, როდესაც ინდივიდი სისტემატურად აკვირდება საკუთარ ქცევას და აღრიცხავს სამიზნე ქცევის გამოვლენასა თუ არგამოვლენას.

გაიდლაინი თვითმონიტორინგისთვის:

- მონიტორინგისთვის მასალით უზრუნველყოფა;
- მარტივი პროცედურების გამოყენება ქცევის გასაზომად;
- დახმარების გამოყენება;
- ვალიდური საზომის გამოყენება;
- სისტემატური თვითმონიტორინგი;
- სწორად და თანმიმდევრულად შესრულებული თვითმონიტორინგის დროს საკუთარი ქცევის განმტკიცება.

თვითმართვის სტრატეგიები:

- თვითინსტრუქცია - ვერბალური ქცევა, რომელიც რეაქციაზე დახმარების ფუნქციას ასრულებს სასურველი ქცევის გამოვლენისთვის;
- ჩვევის შებრუნება - იმ ქცევის განხორციელება, რომელიც შეუთავსებელია სამიზნე ქცევასთან;
- კონცენტრირებული პრაქტიკა - ქცევის მოდიფიცირების სტრატეგია, როდესაც ინდივიდი აიძულებს საკუთარ თავს, არასასურველი ქცევა გამეორებით განახორციელოს, რამაც შესაძლოა მომავალში პრობლემური

ქცევის გამოვლენა შეამცროს.

• დამოუკიდებელი სისტემური დესენსიბილიზაცია - ქცევის გამოყენებით ანალიზში ფართოდ გავრცელებული მეთოდი, რომელიც ინდივიდს შფოთვის, ფობიების და შიშების დაძლევაში ეხმარება. თვითმართვის სტრატეგია ალტერნატიული ქცევის დასწავლა-შესრულებაში მდგომარეობს. ინდივიდი ქმნის მისთვის საშიში მოვლენების იერარქიას და სისტემატურად, ეტაპობრივად ხდება ამ სიტუაციაში მოდუნება. (სურ. 41)

თვითმართვა

თვითმართვის სტრატეგიები:

თვითმანეჯმენტი - მაკონტროლებელი. წინაპირობაში ჩავევის თვითმართვის სტრატეგიები:

- გოტიგაციური თბარაციებით მანიპულირება;
- რაპციზა მხმარება;
- ქვევის ჯაჯვი ბირვლი რგოლის შმსრულება;
- გარემოდან იმ სტიმულების ამოღება, რომელიც არასასურველ ქვევას ინარჩუნებს;
- ლიპიტირება იმ სტიმულების გარემოში, რომელიც არასასურველ ქვევას შპაჰვირდება;
- გარემოს გოდივიცირება ისე, რომ სამიჯნე ქვევის გამოვლენა შმუქლებლი იყოს.

თვითინსტრუქცია

ჩვევის შებრუნება

კონცენტრირებული პრაქტიკა

თვითმონიტორინგი

არის პრთვადურა, რომელსაც ინდივიდი სისტემატურად აჰვირდება სავუთარ ქვევას და აღრიცხავს სამიჯნე ქვევის გამოვლენას და არგამოვლენას.



სურ. 41 თვითმართვა

13.5. ქცევითი კონტრაქტი

ქცევითი კონტრაქტის გამოყენების წესი:

- ავირჩიოთ ქცევა, რომელიც არის კლიენტის რეპერტუარში;
- ავირჩიოთ ისეთი ქცევა, რომელსაც პერმანენტული პროდუქტი გააჩნია;
- ავირჩიოთ ჯილდო;
- ავირჩიოთ ბავშვისთვის მარტივად გასაგები სიტყვები;
- ავირჩიოთ ბავშვისთვის მარტივად შესასრულებელი კრიტერიუმი;
- განვსაზღვროთ განმამტკიცებლის გადავადების დრო;
- დავწეროთ კონტრაქტი;
- გავაცნოთ კლიენტს;
- კონტრაქტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

(სურ. 42)

ქცევითი კონტრაქტი

დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს
სამიზნე ქცევის შესრულებასა და
ჯილდოს მიღების შესაძლებლობის
პირობით პავშირს.

ვინ _____

რა _____

როდის _____

რამდენად კარგად _____

ვისგან _____

ხელმოწერა _____

ხელმოწერა _____

ვინ _____

რა _____

როდის _____

რამდენი _____

ვისგან _____

თარიღი _____

თარიღი _____

მონაცემები

ორ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ

სურ. 42 ქცევითი კონტრაქტი

გამოყენებული ლიტერატურა:

Baer, D. M., Wolf, M. M., & Risley, T. R. (1968). Some current dimensions of applied behavior analysis. *Journal of Applied Behavior Analysis*, 1968, 1, 91-97.

Blair, B. J., & Farros, J. N. (2019). The Duplic and Codic: the Importance of a Consistent Taxonomy of Verbal Behavior. *The Analysis of Verbal Behavior*, 35(2), 235–244. <https://doi.org/10.1007/s40616-019-00114-0>.

Cooper J. O., Heron, T. E., Heward, W. L. (2020). *Applied Behavior Analysis*. 3rd edition.

დანართი

ნაწილი 1 (ქვა; ქცევა)

1. ნინო მუშაობს მათესთან თვითდამაზიანებელი ქცევის შემცირებაზე. მათე 1 საათის განმავლობაში 10-ჯერ ურტყამს თავს კედელს. ჩატარებული ინტერვენციის შემდეგ ნინომ თქვა, რომ ინტერვენცია მუშაობს, რადგან მათე 1 საათის განმავლობაში თავს მხოლოდ 5-ჯერ ურტყამს. ქცევის გამოყენებითი ანალიზის რომელი განზომილება დაარღვია ნინომ?

1. ქცევითი;
2. ეფექტური;
3. გენერალიზებადი;
4. ტექნოლოგიური.

2. ნინო ქცევის ანალიტიკოსია. მან შეაფასა ბავშვი, გაწერა ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც თერაპევტმა განახორციელა. ნინომ რევერსული დიზაინით შეაფასა პროგრამის ეფექტურობა და წარმოადგინა მონაცემები. ნინოს მოქმედების პროცესი რომელ ფილოსოფიურ სკოლას შეესაბამება?

1. ემპირიზმი
2. პარსიმონია
3. პრაგმატიზმი
4. დეტერმინიზმი

3. ნინო აკვირდება თავის კლიენტს სხვადასხვა გარემოში. მან აღმოაჩინა, რომ კლიენტი ხმას არ იღებს, როდესაც ამ გარემოში უცხო ადამიანი ჩნდება. ნინოს ვარაუდით, ყოველთვის, როდესაც უცხო ადამიანი იქნება გარემოში, კლიენტი ხმას არ ამოიღებს. მეცნიერების რომელ საფეხურს შეესაბამება წარმოდგენილი სცენარი?

1. წინასწარმეტყველება;
2. აღწერა;
3. კონტროლი;
4. გენერალიზებადი.

4. ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან რომელია კლასიკური/რესპოდენტული განპირობებულობა?

1. ნინომ ოფთალმოლოგთან ვიზიტისას ერთ-ერთი პროცედურა უნდა გაიაროს, სადაც მას თვალში ჰაერს უბერავენ. რამდენჯერაც ჰაერის ნაკადი წამოვა ნინო თვალს ახამხამებს;
2. ნინო კანკალებს, როდესაც ჭექა-ქუხილი ესმის;
3. რამდენჯერაც ნინო დაარტყამს თავის დას, დედა მას ტელეფონზე წვდომას უზღუდავს;

4. „ვენდისის“ დანახვისას ნინოს გული ერევა.

5. ნინო მუშაობს მათესთან. ასწავლის მას, როგორ შეიძინოს მაღაზიაში პროდუქტი. ნინომ ცენტრის გარემოში დაასწავლა მათეს სხვადასხვა ადამიანისგან პროდუქტის შეძენა. შემდეგ ცენტთან ახლოს მაღაზიებში იყიდეს პროდუქტი - „სპარში“, „ორ ნაბიჯში“ და „კარფურში“. წარმოდგენილი სცენარი რომელ განზომილებას აკმაყოფილებს?

1. გენერალიზებადი;
2. ანალიტიკური;
3. ეფექტური;
4. კონცეპტუალური.

6. ნინო ქცევის ანალიტიკოსია. მან დეტალურად გაწერა ყველა ნაბიჯი, როგორ უნდა შეფუთოს ადამიანმა სასაჩუქრე ყუთი და გადასცა მათეს (ირაკლის თერაპევტს). მას სურს, რომ მათემ ასწავლოს ირაკლის, თუ როგორ შეფუთოს საჩუქარი. ეს პროცედურა რომელ განზომილებას აღწერს?

1. ეფექტური;
2. ტექნოლოგიური;
3. ქცევითი ჯაჭვის ფორმირება;
4. აღწერითი ანალიზი.

ნაწილი 2 (შეფასება)

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს განხილული, როგორც სამიზნე ქცევა?

1. ნინო პეპლების დანახვაზე ყვირის;
2. ნინო თვლის, რომ ის მსუქანია;
3. ნინოს პულსი 1 წუთში 80-ჯერ არტყამს;
4. ნინო გაკვეთილზე ჩუმადაა.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს განხილული, როგორც სამიზნე ქცევა?

1. ნინო დასველდა წვიმაში;
2. ნინომ არ ისწავლა ლექსი;
3. ნინო ფიქრობს, რომ ყველაზე ბედნიერია;
4. ნინო საკვებს სწრაფად მიირთმევს.

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება განხილული იყოს, როგორც სამიზნე ქცევა?

1. მათე არ აძლევს პასუხს მასწავლებელს;
2. მათე არ წერს საკონტროლო წერას;
3. მათე ხტუნავს;

4. მათე არ ალაგებს თავის ნივთებს.

4. ქცევის ირიბი ფუნქციური შეფასების დროს გამოიყენება...

1. სტრუქტურირებული ინტერვიუ;
2. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ;
3. კითხვარები ან რეიტინგული სკალები;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს ქცევის ფუნქციურ შეფასების კომპონენტს?

1. პირდაპირი გაზომვა;
2. პირდაპირი შეფასება;
3. ირიბი შეფასება;
4. ფუნქციური ანალიზი.

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს შეზღუდვას კითხვარების ან რეიტინგული სკალების გამოყენების შემთხვევაში?

1. ადმინისტრირებისა და ინტერპრეტაციისათვის მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული უნარია საკმარისი;
2. სწრაფი და მარტივი ადმინისტრირება;
3. ინტერვიუერთან რაპორტის დამყარების შესაძლებლობა და მისი გამოცდილების მოსმენა;
4. მონაცემების ინტერპრეტაცია საჭიროებს ქცევის გამოყენებითი ანალიზის ცოდნას.

7. კითხვარების ადმინისტრირებისას ღია კითხვების შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს შეზღუდვას?

1. შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც არ არის რელევანტური სამიზნე ქცევასთან;
2. ინტერვიუერთან რაპორტის დამყარების შესაძლებლობა და მისი გამოცდილების მოსმენა;
3. შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ფართო სპექტრის ცვლადების შესახებ;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვას წარმოადგენს.

8. ქცევის ფუნქციურ შეფასებამდე ქცევის ანალიტიკოსმა უნდა განსაზღვროს...

1. აქვს თუ არა შეფასების განხორციელების უფლება/ნებართვა;
2. ფლობს თუ არა შეფასებისთვის საჭირო უნარებს;
3. გაეცნო თუ არა ყველა რელევანტურ ინფორმაციას (სამედიცინო ისტორია, სხვა სპეციალისტების ჩანაწერები და ა. შ.) კლიენტის შესახებ;

4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

9. ქცევითი შეფასება შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

1. სკრინინგი, პრობლემის ან მიზნების განსაზღვრა, სამიზნე ქცევის განსაზღვრა, პროგრესის მონიტორინგი და შემდგომი დაკვირვება;
2. სკრინინგი, ინტერვენცია, სამიზნე ქცევის განსაზღვრა, პროგრესის მონიტორინგი და შემდგომი დაკვირვება;
3. სკრინინგი, პრობლემის ან მიზნების განსაზღვრა, სამიზნე ქცევის განსაზღვრა, თერაპევტების ინტერვიუ და შემდგომი დაკვირვება;
4. სკრინინგი, ქცევის ფუნქციური ანალიზი, სამიზნე ქცევის განსაზღვრა, პროგრესის მონიტორინგი და შემდგომი დაკვირვება.

10. კლიენტის ინტერვიუ გამოიყენება თავად კლიენტის მიერ პრობლემური ქცევის აღწერისთვის ან მიზნების განსაზღვრისთვის.

1. მცდარია.
2. სწორია.

11. ქცევითი ინტერვიუს მიზანს წარმოადგენს მკაფიო, ზუსტი და ობიექტური ინფორმაციის მიღება პრობლემური ქცევის, მისი წინაპირობის ცვლადებისა და შედეგების შესახებ.

1. მცდარია.
2. სწორია.

12. არაპირდაპირი/ირიბი შეფასების შედეგების ანალიზისას ხდება ქცევითი პატერნების და გარემო პირობების ანალიზი პრობლემურ ქცევასთან მიმართებით.

1. მცდარია.
2. სწორია.

13. არაპირდაპირი/ირიბი შეფასების ზოგიერთი მეთოდი არ იძლევა საკმარის, საჭირო და სასარგებლო ინფორმაციას სამიზნე ქცევის და გარემოში არსებული ცვლადების შესახებ.

1. მცდარია.
2. სწორია.

14. ნინო ქცევითი ანალიტიკოსია. მისმა მეგობარმა, რომელიც სკოლის მასწავლებელია, სთხოვა მისი ერთი-ერთი მოსწავლის შეფასება. ნინომ დაგეგმა შეხვედრა, მივიდა სკოლაში და დააკვირდა მოსწავლეს. რა შეცდომა დაუშვა ნინომ?

1. არ დაუშვა შეცდომა;
2. ნინოს არ აუღია შეფასების ნებართვა;
3. ნინო ქცევის ანალიტიკოსია და ფლობს შეფასებისთვის ყველა სა-

ჭირო უნარს;

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

15. ქცევის ფუნქციურ შეფასებამდე ქცევის ანალიტიკოსმა უნდა განიხილოს/განსაზღვროს/ჩაატაროს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა...

1. აქვს თუ არა უფლება/ ნებართვა შეფასების განხორციელების;
2. ფლობს თუ არა შეფასებისთვის საჭირო უნარებს;
3. გაეცნო თუ არა ყველა რელევანტურ ინფორმაციას (სამედიცინო ისტორია; სხვა სპეციალისტების ჩანაწერები და ა. შ.) კლიენტის შესახებ;
4. ჩაატაროს ინტერვიუ მშობლებთან.

16. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველა არის კითხვარის სუსტი მხარე, გარდა...

1. კონკრეტული პოპულაციის საერთო ზოგადი ცვლადების შესახებ;
2. შეიძლება ცრუ-დადებითი მონაცემები გვარჯვენოს;
3. თუ ადამიანი არ ფლობს ქვა-ში საკმარის უნარებს და ცოდნას, შესაძლებელია შეცდომით გამოიყენოს;
4. ნაკლები შესაძლებლობა ინტერვიუერთან რაპორტის დამყარების.

17. პროფესიული შეზღუდვების გათვალისწინება გულისხმობს...

1. პრობლემის შეფასებისას და შემდგომი ინტერვენციის დაგეგმვისას საკუთარი უფლებამოსილების გათვალისწინებას;
2. კონფიდენციალურობის დარღვევისას უნდა მივმართოთ სპეციალურ ორგანოებს;
3. მხოლოდ ვალიდური და სანდო ინსტრუმენტების გამოყენებას;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

18. ნინო ქცევის ანალიტიკოსია. ნინოს მიმართა 4 წლის მათეს დედამ. მათე იზიანებს ტუჩებს (იკვნეტს ტუჩებს ისე, რომ სისხლი სდის). მათესი ბავშვებს ეშინიათ ბაღში, რადგან სულ სისხლიანი ტუჩები აქვს. ნინო შეხვდა მშობლებს და გამოთქვა სავარაუდო ჰიპოთეზა: მათე თავის არიდების მიზნით იზიანებს თავს. ამის შემდეგ მათე მარტო მშვიდად თამაშობს. შემდეგ ნინომ ინტერვენცია გაწერა. რა შეცდომა დაუშვა ნინომ?

1. არ გაეცნო ყველა რელევანტურ ინფორმაციას (სამედიცინო ისტორია, სხვა სპეციალისტების ჩანაწერები და ა. შ.) კლიენტის შესახებ და არ დააკვირდა მათეს ბუნებრივ გარემოში;
2. ნინომ არ დაუშვა შეცდომა;
3. ნინო ქცევის ანალიტიკოსია და აქვს შეფასებისთვის ყველა საჭირო უნარი;
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

19. ქცევის ირიბი ფუნქციური შეფასების დროს გამოიყენება ყველა, გარდა...

1. სტრუქტურირებული ინტერვიუ;
2. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ;
3. კითხვარები ან რეიტინგული სკალები;
4. ფუნქციური ანალიზი.

20. როდესაც ნინო და მათე კამათობენ, დედას ნინო თავის ოთახში მიჰყავს და მთელ საღამოს მასთან ერთად ატარებს. ერთად აფერადებენ, მღერიან, ცეკვავენ. ნინოს კამათის სიხშირე გაიზარდა. რა არის ნინოს ქცევის სავარაუდო ფუნქცია?

1. ყურადღება;
2. თავის არიდება;
3. სენსორული;
4. ყურადღება და სასურველი აქტივობა/საგანი.

21. მათე ერთსა და იმავე კითხვას რამდენჯერმე უსვამს ნინოს. ნინო თავიდან მშვიდად აძლევს პასუხებს, თუმცა შემდეგ იწყებს ყვირილს და საყვედურობს მათეს. მიუხედავად ნინოს საყვედურებისა, მათეს ქცევის სიხშირე არ შეცვლილა. ნინოს საყვედურები მათესთვის არის ----- და მათეს ქცევის სავარაუდო ფუნქცია არის -----?

1. პოზიტიური განმტკიცება და ყურადღება;
2. ყურადღება და პოზიტიური განმტკიცება;
3. პოზიტიური დასჯა და თავის არიდება;
4. პოზიტიური დასჯა და ყურადღება.

22. პრობლემური ქცევა შეიძლება ემსახუროდეს -----

1. მრავლობით ფუნქციას;
2. მხოლოდ ერთ ფუნქციას;
3. ყოველთვის ემსახურება დომინანტ ფუნქციას;
4. შეიძლება ემსახუროდეს მრავლობით ფუნქციას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში; თუ ყველა ფუნქცია განმტკიცებულია ან ნეგატიურად ან პოზიტიურად.

23. მონიშნეთ ყველა პირდაპირი მიღების ფუნქციის მაგალითები:

1. ბავშვმა გატეხილი ქილიდან ორცხობილა აიღო;
2. ბავშვმა ჩააგდო 2-ლარიანი „კოკა-კოლის“ აპარატში და მიიღო 1 ქილა „კოკა-კოლა“;
3. ბავშვმა სასურსათო მაღაზიიდან „ორეო“ მოიპარა;
4. ბავშვმა დედას ორცხობილა სთხოვა მას შემდეგ, რაც ქილა თავად გატეხა.

24. ნინო სახლში მუშაობს. ნინოს შვილები ხშირად წუწუნებენ, დედასთან სურთ დროის გატარება. თუმცა ნინოს არ სცალია და მათი წუწუნისას უყვირის ხოლმე ბავშვებს. 2 წლის მათე დედის ყვირილზე მაშინვე ჩუმდება. მათეს წუწუნის სიხშირე დაეცა და ნინოს ქცევის სიხშირე გაიზარდა. ნინოს ყვირილი მათესთვის არის ----- და ნინოს ქცევის სავარაუდო ფუნქცია არის -----

1. პოზიტიური განმტკიცება და ყურადღება;
2. ყურადღება და პოზიტიური განმტკიცება;
3. პოზიტიური დასჯა და თავის არიდება;
4. პოზიტიური დასჯა და ყურადღება.

ნაწილი 3 (გაზომვა)

1. ნინო, „მაკდონალდსში“ მუშაობს. მან დღის საუკეთესო თანამშრომელი უნდა აირჩიოს და გადაწყვიტა, დაითვალოს, ვინ რამდენ ჰამბურგერს აკეთებს. ქცევის რომელი საზომი გამოიყენა ამ სცენარში ნინომ?

1. რაოდენობა;
2. სიხშირე;
3. რეაქციებს შორის დრო;
4. ლატენტობა.

2. ნინო ყავახანაში მუშაობს. ის 1 ჭიქა ყავის დამზადებას დაახლოებით 4 წუთს ანდომებს. ნინო მხოლოდ დილის ცვლაში მუშაობს. ფილიალის მენეჯერს აინტერესებს, 9 საათიდან 13 საათამდე რამდენ ყავას მოამზადებს ნინო. მენეჯერმა გადაწყვიტა, ჩაიწეროს დრო, შეკვეთის მიღებიდან რამდენ ხანში იწყებს ნინო ყავის მომზადებას. რომელი საზომია გამოყენებული მოცემულ მაგალითში?

1. სელერაცია;
2. სიხშირე;
3. ლატენტობა;
4. რეაქციებს შორის დრო.

3. ნინო ყავახანაში მუშაობს. ის 1 ჭიქა ყავის დამზადებას დაახლოებით 4 წუთს ანდომებს. ნინო მხოლოდ დილის ცვლაში მუშაობს. ფილიალის მენეჯერს აინტერესებს, 9 საათიდან 13 საათამდე რამდენ ყავას მოამზადებს ნინო. მენეჯერმა გადაწყვიტა, ჩაიწეროს დრო შეკვეთის დაწყებიდან ყავის სრულ მომზადებამდე. რომელი საზომია გამოყენებული მოცემულ მაგალითში?

1. ხანგრძლივობა;
2. სიხშირე;
3. ლატენტობა;
4. რეაქციებს შორის დრო.

4. ნინო მუშაობს მათესთან სახლში და ეხმარება მას საოჯახო საქმეებში. ნინომ უნდა დააღაგოს სახლი, გარეცხოს სარეცხი და მოაწესრიგოს გარდერობი 9 საათიდან 14 საათამდე. მათეს აინტერესებს, რა დროს ანდომებს ნინო საოჯახო საქმიანობის შესრულებას. მან გადაწყვიტა, დააკვირდეს ნინოს სათვალთვალ კამერებით. თუ ნინო 5 წუთის განმავლობაში მოძრაობს, მათე ამას აღნიშნავს. რა საზომია გამოყენებული მოცემულ მაგალითში?

1. ნაწილობრივი ინტერვალი;
2. სრული ინტერვალი;
3. მომენტალური დროითი ნიმუში;
4. აქტივობათა დაგეგმილი შემოწმება.

5. ნინოს სურს, რომ „მაკდონალდსში“ დაიწყოს მუშაობა, თუმცა კონკურსია. მენეჯერი აირჩევს იმას, ვინც უფრო ნაკლებ დროს მოანდომებს ჰამბურგერის მომზადებას. კონკურსის დროს მენეჯერი ინიშნავდა, რამდენ ჰამბურგერს გააკეთებდა თითოეული მონაწილე 1 საათის განმავლობაში და რამდენ ხანს მოანდომებდა თითოეული მონაწილე შეკვეთის მიღებიდან ჰამბურგერის მომზადების დაწყებას. რომელი საზომებია გამოყენებული?

1. სელერაცია და სიხშირე;
2. რეაქციებს შორის დრო და პერმანენტული პროდუქტი;
3. პერმანენტული პროდუქტი და ლატენცობა;
4. ლატენცობა და სიხშირე.

6. „ვენდისში“ მენეჯერს სურს, რომ გამოავლინოს თვის საუკეთესო თანამშრომელი. ის აკვირდება თანამშრომლების მუშაობის პროცესს და ინიშნავს დროს, როდესაც დასრულდება ერთი შეკვეთა და დაიწყება მეორე შეკვეთა. რა არის საზომი?

1. ლატენცობა;
2. რეაქციებს შორის დრო;
3. სიხშირე;
4. ხანგრძლივობა.

7. ნინო აკვირდება მოსწავლეებს დასვენებაზე. მას აინტერესებს, რა დრო სჭირდებათ მათ ტრანზიციისას, ერთი აქტივობიდან მეორე აქტივობაზე გადასასვლელად. რა არის საზომი?

1. ლატენცობა;
2. რეაქციებს შორის დრო;
3. სიხშირე;
4. სელერაცია.

8. ნინო ქცევითი თერაპევტია და მუშაობს მათესთან. მათეს ხელების ქნევის სიხშირე არის დაახლოებით 98-ჯერ 30 წუ-

თის განმავლობაში. ასევე აღენიშნება აგრესიული ქცევები დაახლოებით 12-ჯერ 1 საათის განმავლობაში. რომელი საზომი შეიძლება გამოიყენოს ნინომ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან?

1. ლატენტობა;
2. ხანგრძლივობა;
3. ნაწილობრივი ინტერვალი;
4. რეაქციებს შორის დრო.

9. ნინო და მათე ერთად მუშაობენ „მაკდონალდსში“ შესვენება აქვთ 2 საათი. ისინი შესვენებაზე იქვე ახლოს, სპორტულ დარბაზში დადიან სავარჯიშოდ. მათემ და ნინომ 15 წუთის განმავლობაში კალათბურთი ითამაშეს. შემდეგ მათე 10 წუთი აზიდვებს აკეთებდა და კვლავ ითამაშა კალათბურთი 25 წუთის განმავლობაში. ნინომ სარბენ ბილიკზე 30 წუთი ირბინა. ჯამში რამდენი წუთი ითამაშა მათემ კალათბურთი?

1. 15 წუთი;
2. 25 წუთი;
3. 40 წუთი;
4. 30 წუთი.

10. მათეს უჭირს თანატოლებთან თამაში. გადაწყდა, დაჰკვირვებოდნენ მათეს სესიაზე და 60-წუთიანი სესია გაიყო 10-წამიანი ინტერვალებად. ნინო ინიშნავდა, თუ მათე ჩართული იყო თანატოლებთან თამაშში სრული 10 წამის განმავლობაში. გაზომვის ეს მეთოდი არის:

1. საერთო სიგრძის გაზომვა;
2. სრული ინტერვალის გაზომვა;
3. ნაწილობრივი ინტერვალით გაზომვა;
4. მომენტალური დროითი ნიმუში.

11. რამდენჯერაც მათე სესიის განმავლობაში კუბიკს დადებს კუბიკზე, ნინო აღნიშნავს, როგორც ერთ რეაქციას. რომელი საზომია გამოყენებული?

1. უწყვეტი;
2. ნაწილობრივი ინტერვალი;
3. სიხშირე;
4. რაოდენობა.

12. გამოთვალეთ დამკვირვებლებს შორის სანდოობა საერთო რაოდენობისთვის:

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
დამკვირვებელი 1	2	0	3	0	4	3	3	1	2	3	0	4

დამკვირვებელი 2	2	1	2	0	4	2	3	0	2	3	1	2
-----------------	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

1. 88%
2. 67%
3. 45%
4. 90%

13. გამოთვალეთ დამკვირვებლებს შორის სანდოობა საერთო რაოდენობისთვის:

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
დამკვირვებელი 1	0	0	1	2	5	7	0	2	7	8	0	1
დამკვირვებელი 2	0	1	2	2	7	7	1	1	3	4	0	3

1. 65%
2. 94%
3. 54%
4. 49%

14. გამოთვალეთ დამკვირვებლებს შორის სანდოობა ცალკეული სინჯებისთვის:

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
დამკვირვებელი 1	X		X				X			X		
დამკვირვებელი 2	X	X	X		X		X	X	X			X

1. 50%
2. 70%
3. 40%
4. 60%

15. გამოთვალეთ დამკვირვებელთა შორის სანდოობის აღწერილი ინტერვალიანი დათვლა:

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
დამკვირვებელი 1	X		X				X	X	X			
დამკვირვებელი 2	X	X	X		X			X		X		X

1. 33%
2. 93%

3. 78%

4. 20%

16. გამოთვალეთ დამკვირვებელთა შორის სანდოობის აღწერილი ინტერვალის დათვლა:

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
დამკვირვებელი 1	X	X			X			X	X	X	X	
დამკვირვებელი 2	X	X		X	X	X				X	X	

1. 45%

2. 48%

3. 28%

4. 90%

17. გამოთვალეთ დამკვირვებელთა შორის სანდოობის აღწერილი ინტერვალის დათვლა:

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
დამკვირვებელი 1	X		X		X	X			X	X		X
დამკვირვებელი 2	X	X			X	X	X	X		X		X

1. 50%

2. 60%

3. 47%

4. 90%

18. გამოთვალეთ დამკვირვებელთა შორის სანდოობის აღწერილი ინტერვალის დათვლა:

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
დამკვირვებელი 1	X	X	X	X	X	X	X		X	X		X
დამკვირვებელი 2			X	X		X			X		X	

1. 56%

- 2. 36%
- 3. 47%
- 4. 39%

19. გამოთვალეთ დამკვირვებლებს შორის სანდოობის საშუალო რაოდენობა ინტერვალის მიხედვით:

ინტერვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
დამკვირვებელი 1	1	2	3	0	3	1	2	3	5	2	2	1
დამკვირვებელი 2	1	3	2	1	3	0	2	4	3	2	0	3

- 1 58%
- 2. 89%
- 3. 85%
- 4. 90%

20. ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან რომელია მოვლენის ჩაწერისთვის ორ ან მეტ დამოუკიდებელ დამკვირვებელს შორის სანდოობის გამოთვლის ყველაზე ზუსტი მეთოდი?

- 1. საერთო რაოდენობა;
- 2. საშუალო რაოდენობა ინტერვალის მიხედვით;
- 3. ცალკეული სინჯებისთვის;
- 4. საერთო ხანგრძლივობა.

21. ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან რომელია ორ ან მეტ დამოუკიდებელ დამკვირვებელს შორის სანდოობის გამოთვლა ლატენცობისთვის?

- 1. საერთო რაოდენობა;
- 2. საშუალო რაოდენობა ინტერვალის მიხედვით;
- 3. ცალკეული სინჯებისთვის;
- 4. საერთო ხანგრძლივობა.

22. ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან რომელია ორ ან მეტ დამოუკიდებელ დამკვირვებელს შორის სანდოობის გამოთვლა დროითი ნიმუშისთვის?

- 1. საერთო რაოდენობა;
- 2. საშუალო რაოდენობა ინტერვალის მიხედვით;
- 3. ცალკეული სინჯებისთვის;
- 4. აღწერილი ინტერვალი.

23. ორ ან მეტ დამოუკიდებელ დამკვირვებელს შორის სანდოობის გამოთვლის შემდეგ როგორ ხდება მონაცემების წარდგენა?

1. გრაფიკი;
2. ნარატივი;
3. ცხრილი;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

24. ნინომ შეადარა ერთი დამკვირვებლის მიერ ქცევის ჩანაწერი ისევ იმ დამკვირვებლის მიერ შესრულებული იმავე თერაპიული პროცესის ვიდეორჩანაწერს. რა გაზომა ნინომ?

1. სანდოობა;
2. ვალიდობა;
3. სიზუსტე;
4. დამკვირვებლებს შორის სანდოობა.

25. გაზომვა უნდა იყოს ვალიდური, ზუსტი და სანდო. თუ გაზომვა ვალიდურია და ზუსტი, მაგრამ არასანდო, მაშინ მონაცემები არის ...

1. ხანდახან მცდარი;
2. ყოველთვის მცდარი;
3. ხანდახან სასარგებლო;
4. ყველაზე სასარგებლო.

26. გაზომვა უნდა იყოს ვალიდური, ზუსტი და სანდო. თუ გაზომვა ვალიდურია და სანდო, მაგრამ არაზუსტი, მაშინ მონაცემები არის...

1. ყოველთვის მცდარი;
2. ხანდახან მცდარი;
3. ხანდახან სასარგებლო;
4. ყოველთვის სასარგებლო.

ნაწილი 4 (განმტკიცება, ჩაქრობა, დასჯა)

1. ზაფხულობით ფანჯრიდან რომ იყურებით, საოცრად ლამაზია სახლის წინ გაშენებული, გამწვანებული სკვერი, ნათელი მზე, ფერადი ყვავილები. ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან რომელი იქნება ჩაქრობის საუკეთესო მაგალითი?

1. დედამ საყვედური გითხრათ, ფანჯრიდან რომ იყურებით;
2. დედამ მუქი ფარდები დაკიდა და აღარ ჩანს ეზო;
3. შემოდგომაა, ხეებს ფოთლები გასცვივდა, წვიმს;
4. თავი გტკივათ და წამალი მიიღეთ.

2. მონიშნეთ სოციალურად გაშუალებული მიღების ყველა მაგალითი:

1. ნინოს თავი სტკიოდა და დედას წამალი სთხოვა;

2. მათემ მასწავლებელს საპირფარეშოში გასვლა სთხოვა;
3. ნინომ კვერცხი შეწვა;
4. მათემ იბანავა;
5. ნინომ სახლი დაალაგა, სადილი მოამზადა და მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა სასეირნოდ.

3. ცვლილება გარემოში, რომელიც განმამტკიცებლის ხელმისაწვდომობაზე მიგვანიშნებს, არის...

1. პოზიტიური განმტკიცება;
2. უარყოფითი განმტკიცება;
3. დისკრიმინაციული სტიმული;
4. მოტივაციური ოპერაციები.

4. ნინოს თავი ასტკივდა სამსახურში. მას ჩანთაში ტკვილგამაყურებელი არ აღმოაჩნდა და თანამშრომლებს სთხოვა. ერთ-ერთმა თანამშრომელმა მისცა „ნიმესილი“ ეს სცენარი წარმოადგენს...

1. განმამტკიცებლის პირდაპირ მიღებას;
2. ჰაბიტუაციას;
3. ადაპტაციას;
4. სოციალურად გაშუალებულ ნეგატიურ განმტკიცებას .

5. მათე შინ როდესაც ბრუნდება სკოლიდან, მიუახლოვდება თუ არა თავისი სახლის სადარბაზოს, ტანსაცმელს მოიწესრიგებს ხოლმე, რათა დედა არ გაუბრაზდეს. სახლი არის...

1. დისკრიმინაციული სტიმული;
2. უპირობო სტიმული;
3. დელტა სტიმული;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

6. მათე 10 წლისაა და ყვირის გაკვეთილზე. მასწავლებლის თხოვნით ნინო, ქცევითი ანალიტიკოსი, მოიწვიეს. ნინო დააკვირდა მათეს, ჩაიწერა მათეს ქცევების სიხშირე და გამოთქვა ჰიპოთეზა, რომ მათე სასურველის მოთხოვნის დროს ყვირის. ნინომ დაგეგმა ინტერვენცია. მათე ბარათების საშუალებით მოითხოვს მისთვის სასურველ საგანსა თუ აქტივობას და მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებს განმამტკიცებელს. რომელი ინტერვენცია გამოიყენა ნინომ?

1. ალტერნატიული ქცევის დიფერენცირებული განმტკიცება;
2. განუპირობებელი განმტკიცება;
3. სხვა ქცევის დიფერენცირებული განმტკიცება;
4. დაბალი სიხშირის დიფერენცირებული განმტკიცება.

7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია გენერალიზებადი პირობითი განმამტკიცებელი?

1. აქციები;
2. წყალი;
3. ძილი;
4. ტკივილი.

8. განმამტკიცებლის განრიგი, რომელიც დამოკიდებულია ან საშუალო დროის ინტერვალზე ან პროპორციაზე, არის...

1. ფიქსირებული;
2. ინტერვალური;
3. ვარიაბელური
4. რაციო.

9. მათეს მშობლებმა დაბადების დღეზე ლეკვი აჩუქეს. მათემ გადაწყვიტა, ლეკვს მოსაქმება დანიშნულ ადგილზე დაასწავლოს. ლეკვი ხშირად ითხოვს გარეთ გასვლას და კარს ფხაჭნის ხოლმე. რამდენჯერაც ლეკვი კარს ფხაჭნის, მათე მას წყალს ასხამს. ლეკვის კარზე ფხაჭნის სიხშირე გაიზარდა. წყლის დასხმა არის...

1. პოზიტიური განმტკიცება;
2. უარყოფითი განმტკიცება;
3. დადებითი დასჯა;
4. უარყოფითი დასჯა.

10. მათე მე-5 კლასის მოსწავლეა. ის ბავშვებთან ურთიერთობის დროს 10-ჯერ ესალმება მათ. მშობლები ძალიან ლელავენ, რადგან თანაკლასელები დასცინიან. ქცევითი ანალიტიკოსის რჩევით, მასწავლებელმა გადაწყვიტა, მათეს მისცეს ჯილდო, თუ ის 1 საათის განმავლობაში 5-ჯერ ან ნაკლებად მიესალმება ბავშვებს 1. წინააღმდეგ შემთხვევაში მათე ვერ მიიღებს ჯილდოს. ეს რა პროცედურაა?

1. სხვა ქცევის დიფერენცირებული განმტკიცება;
2. ალტერნატიული ქცევის დიფერენცირებული განმტკიცება;
3. არათავსებადი ქცევის დიფერენცირებული განმტკიცება;
4. დაბალი სიხშირის ქცევის დიფერენცირებული განმტკიცება.

11. მათემ სადილის შემდეგ მაგიდის მოწესრიგება დაიწყო. დედას ძალიან უხარია მათეს ქცევა. რომელ განრიგზე უნდა ჰყავდეს მათე დედას საწყის ეტაპზე, რომ მაგიდის მოწესრიგების ქცევა არ ჩაქრეს და განმტკიცდეს?

1. ფიქსირებული რაციო (FR 2);
2. ფიქსირებული რაციო (FR3);
3. უწყვეტი განმტკიცება (CRF);
4. ფიქსირებული რაციო (FR4).

12. სკოლაში 15-წუთიან შესვენებაზე მათე მეგობრებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა. მათემ სკოლის ეზოში დარგულ ყვავილებში გადაადგო

ბურთი. მასწავლებელმა ის სკამზე დასვა და არ მისცა ფეხბურთის თამაშის უფლება. მათე 5 წუთის შემდეგ ისევ დაუბრუნდა თამაშს. მათეს მიერ სკამზე გატარებული 5 წუთი ქცევის რომელ პრინციპს შეესაბამება?

1. ნეგატიური დასჯა;
2. რეაქციის დაბლოკვა;
3. პოზიტიური განმტკიცება;
4. ქცევის დიფერენცირებული განმტკიცება.

13. სოციალურად გაშუალებული წვდომა განმამტკიცებელზე ხორციელდება მხოლოდ ვოკალური მოთხოვნის შემთხვევაში. მცდარია თუ სწორია?

1. მცდარია.
2. სწორია.

14. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ქვემოთ მოცემული უპირატესი სტიმულების შეფასების გრაფიკის მიხედვით?

1. პლასტილინი უფრო მეტად სასურველია, ვიდრე ცხოველები;
2. მარილიანი ჩხირები ორჯერ მეტად სასურველია, ვიდრე ცხოველები;
3. საღებავი ნაკლებად სასურველია, ვიდრე ყელიბონი;
4. ყელიბონი არ აურჩევია.

15. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ქვემოთ მოცემული უპირატესი სტიმულების შეფასების გრაფიკის მიხედვით?

1. მანქანები უფრო ნაკლებად სასურველია, ვიდრე ლეგო;
2. პლასტილინი ორჯერ მეტად აირჩია კლიენტმა, ვიდრე მანქანები;
3. ხმოვანი სათამაშო ნაკლებად სასურველია, ვიდრე პლასტილინი;
4. ლეგო უფრო ნაკლებად სასურველია, ვიდრე მანქანები.

16. ნინო ქცევითი თერაპევტია და უპირატესი სტიმულები უნდა შეაფასოს 4 წლის აუტიზმის მქონე მათესთან. მან შეიყვანა მათე თერაპიულ ოთახში და აკვირდება მას. რამდენჯერაც მათე რომელიმე საგანს შეეხება, ნინო ინიშნავს; ის ასევე ინიშნავს დროს, რამდენი ხანი არის მათე კონკრეტული საგნით დაინტერესებული. რას ახორციელებს ნინო?

1. გამოკითხვა;
2. დაკვირვება;
3. ექსპერიმენტული შეფასება;
4. მრავლობითი განრიგები.

17. ნინომ გადაწყვიტა, შეაფასოს მათესთვის უპირატესი სტიმულები. ნინომ 3 სტიმული დაუდო მათეს მაგიდაზე და უთხრა: „აირჩიე მათე, რომელი მოგწონს.“ მათემ მანქანა აირჩია, ნინომ მანქანა დატოვა მაგიდაზე და სხვა სტიმულები (ლეგო და მიკი მაუსი) ჩაანაცვლა სხვა სტიმულებით

(ხმოვანი სათამაშო და პლასტილინი). რა გამოიყენა ნინომ?

1. მრავლობითი სტიმულების შეფასება ჩანაცვლებით;
2. მრავლობითი სტიმულების შეფასება ჩანაცვლების გარეშე;
3. განმტკიცების ალტერნატიული განრივი;
4. ბუნებრივი შეფასება.

18. ნინომ უპირატესი სტიმულების შეფასება გადაწყვიტა. ის ყველა ჯერზე მათეს ერთ სტიმულს აწვდის და ინიშნავს დროს, რამდენი ხანი გაერთობა მათე კონკრეტული სტიმულით, შეეხება თუ არა მათ და ა. შ. რას იყენებს ნინო?

1. ცალკეული სტიმული;
2. დაწყვილებული სტიმული;
3. მრავლობითი სტიმულები შეფასება-ჩანაცვლების გარეშე;
4. უპირობო სტიმული.

19. ნინომ მათეს წინაშე დააწყო 4 ნივთი. მათემ ამოირჩია 1. ნინომ ამორჩეული საგანი გვერდზე გადადო და მათემ მეორე საგანი ამოირჩია დარჩენილებიდან, შემდეგ კიდევ ერთი და ა. შ. ნინომ ჩაიწერა, თითოეული საგნის შემთხვევაში რამდენი ხანი იყო მათე არჩეული საგნებით დაკავებული. რა გააკეთა ნინომ?

1. მრავლობითი სტიმულების შეფასება ჩანაცვლებით;
2. მრავლობითი სტიმულების შეფასება ჩანაცვლების გარეშე;
3. განმტკიცების ალტერნატიული განრივი;
4. ბუნებრივი შეფასება.

20. უპირატესი სტიმულების შეფასება გულისხმობს, რომ არჩეული სტიმული აუცილებლად, ყოველთვის განმამტკიცებლის როლს შეასრულებს.

1. მცდარია.
2. სწორია.

21. განმამტკიცებლის ეფექტურად გამოყენება გულისხმობს:

1. საწყის ეტაპზე განმამტკიცებლის მისაღებად დააწესეთ მარტივად მისაღწევი კრიტერიუმი;
2. გამოიყენეთ მაღალი ხარისხის მაგნიტუდის განმამტკიცებელი;
3. გამოიყენეთ სხვადასხვა განმამტკიცებელი აღმძვრელი მოტივაციური ოპერაციების შენარჩუნებისთვის;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი სწორია.

22. განმამტკიცებლის ეფექტურად გამოყენება გულისხმობს:

1. გამოიყენეთ მხოლოდ ირიბი განმტკიცების მეთოდები;
2. არ გამოიყენეთ რეაქციაზე დახმარება და განმტკიცების კომბინაცია;

3. არ ჩაანაცვლოთ ხელოვნური განმამტკიცებლები ბუნებრივით;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მცდარია.

23. ნინო გეგმავს ქცევის ცვლილებისთვის ინტერვენციას. ნინომ უნდა გაითვალისწინოს ყველაფერი ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა...

1. საწყის ეტაპზე განმამტკიცებლის მისაღებად დააწესეთ რთულად მისაღწევი კრიტერიუმი;
2. გამოიყენეთ მაღალი ხარისხის მავნიტუდის განმამტკიცებელი;
3. გამოიყენეთ სხვადასხვა განმამტკიცებელი აღმძვრელი მოტივაციური ოპერაციების შენარჩუნებისთვის;
4. დასაწყისში განამტკიცეთ ყოველი რეაქცია.

24. მათეს დედა უფლებას აძლევს ვიდეოთამაშები ითამაშოს დღის განმავლობაში ერთხელ. მამამ კი გადაწყვიტა, რომ ვიდეოთამაშები მათესთვის საზიანოა და მხოლოდ თვეში ერთხელ აძლევს თამაშის უფლებას. როდესაც ორივე მშობელი სახლშია, მათე დედისგან იღებს თამაშის ნებართვას. ყველაზე მეტად რომელ კონცეპტს შეესაბამება წარმოდგენილი სცენარი?

1. პრემიის პრინციპი;
2. მისადაგების კანონი;
3. სტიმულის გენერალიზება;
4. მრავლობითი სტიმული.

25. მათე სკოლაში მარტო ისაუბრობს. მათეს მშობლებს სურთ, რომ მათემ თანაკლასელებთან ერთად ისაუბროს. ქცევის ანალიტიკოსმა ნინომ მათეს შესთავაზა შემდეგი პირობა: თუ მათე ისაუბრებს თანაკლასელებთან ერთად, ის ჯილდოდ მიიღებს უფლებას, 3 საათის განმავლობაში ითამაშოს მისთვის საყვარელი ვიდეოთამაშები სახლში. თუ მარტო ისაუბრებს, მაშინ მხოლოდ 30 წუთს. განმტკიცების რომელი განრიგია წარმოდგენილი სცენარში?

1. ალტერნატიული;
2. კონკურენტული;
3. კავშირებითი;
4. მრავლობითი.

26. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება უპირატესი სტიმულების შეფასების შესახებ ქვემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით?

1. ხმოვანი სათამაშო უფრო ნაკლებად სასურველია, ვიდრე პლასტილინი;
2. კუბიკები უფრო მეტად სასურველია, ვიდრე ტელეფონი;
3. პლასტილინი ნაკლებად სასურველია, ვიდრე ტელეფონი;
4. ხმოვანი სათამაშო უფრო ნაკლებად სასურველია, ვიდრე კუბიკები.

27. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება უპირატესი სტიმულების შეფასების

შესახებ ქვემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით?

1. თოჯინა უფრო ნაკლებად სასურველია, ვიდრე წიგნი;
2. ჭურჭელი უფრო ნაკლებად სასურველია, ვიდრე თოჯინა;
3. შოკოლადი უფრო მეტად სასურველია, ვიდრე წიგნი;
4. წიგნი უფრო ნაკლებად სასურველია, ვიდრე შოკოლადი.

28. მათე მუშაობს სათამაშოების ქარხანაში. იმისათვის, რომ მათემ თვის ბოლოს ბონუსი მიიღოს, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობა: უნდა იმუშაოს დღეში 7 საათი და ააწყოს 15 სათამაშო მანქანა. რომელი განრიგია წარმოდგენილი სცენარში?

1. ალტერნატიული;
2. კონკურენტული;
3. კავშირებითი;
4. მრავლობითი.

29. მათე მუშაობს „საქართველოს ფოსტაში“ მან უნდა შეფუთოს გზავნილი, შეკრას თოკით და ეს უნდა გააკეთოს 3 წუთში. რომელი განრიგია წარმოდგენილი სცენარში?

1. ალტერნატიული;
2. კონკურენტული;
3. კავშირებითი;
4. მრავლობითი.

30. ნინო გეგმავს ქცევის ცვლილებისთვის ინტერვენციას. მან უნდა გაითვალისწინოს ყველაფერი ქვემოთ ჩამოთვლილი...

1. გამოიყენეთ მაღალი ხარისხის მაგნიტუდის განმამტკიცებელი;
2. გამოიყენეთ სხვადასხვა განმამტკიცებელი აღმძვრელი მოტივაციური ოპერაციების შენარჩუნებისთვის;
3. დასაწყისში განამტკიცეთ ყოველი რეაქცია;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

31. ნინო ქცევითი თერაპევტია და მუშაობს მათესთან. მან გადაწყვიტა, შეაფასოს უპირატესი სტიმულები. ნინომ მათეს მაგიდაზე დაუდო 5 სათამაშო (თოჯინა, ჭიქა, კუბიკი, ლომი, დაფა, მანქანა). მათემ აირჩია კუბიკი. ნინომ დააცადა, სანამ მათე გაერთო კუბიკით, შემდეგ ეს კუბიკი გვერდზე გადადო და მათეს შესთავაზა, მაგიდაზე დარჩენილი საგნებიდან ამოერჩია რომელიმე. წარმოდგენილი სცენარი არის...

1. მრავლობითი სტიმულების შეფასება ჩანაცვლებით;
2. მრავლობითი სტიმულების შეფასება ჩანაცვლების გარეშე;
3. განმტკიცების ალტერნატიული განრიგი;
4. ბუნებრივი შეფასება.

32. ნინო მუშაობს მათესთან და სურს, რომ მათესთვის განმამტკიცებლები შეაფასოს. მან მათეს მისცა ინსტრუქცია და ერთი ჟელიბონი; ამის შემდეგ - 2 ინსტრუქცია და 1 ჟელიბონი. ბოლოს - 3 ინსტრუქცია და 1 ჟელიბონი. განმამტკიცებლების შეფასების რომელ პროცედურას იყენებს ნინო?

1. კონკურენტული განრიგები;
2. დავალების წინა არჩევანი;
3. მრავლობითი სტიმული;
4. პროგრესული რაციოგანრიგები.

33. განმტკიცება არის პროცესი ოპერანტულ განპირობებულობაში, რომელიც მომავალში ქცევის/რეაქციის/ პასუხების (სინშირე, ხანგრძლივობა, ინტენსივობა) გამოვლენის ალბათობას ამცირებს. მცდარია თუ სწორია?

1. მცდარია.
2. სწორია.

34. მათეს მშობლებმა დაბადების დღეზე ლეკვი აჩუქეს. მათემ გადაწყვიტა, ლეკვს მოსაქმება დანიშნულ ადგილზე დაასწავლოს. ლეკვი ხშირად ითხოვს გარეთ გასვლას და კარს ფხაჭნის ხოლმე. რამდენჯერაც ლეკვი კარს ფხაჭნის, მათე მას წყალს ასხამს. ლეკვის კარზე ფხაჭნის სინშირე შემცირდა. წყლის დასხმა არის?

1. პოზიტიური განმტკიცება;
2. უარყოფითი განმტკიცება;
3. პოზიტიური დასჯა;
4. უარყოფითი დასჯა.

35. კვებითი განმამტკიცებლის ეფექტურობას ღირებულებას უცვლის მხოლოდ დეპრივაცია.

1. მცდარია.
2. სწორია.

36. ----- განმტკიცების ეფექტი ქცევაზე სტიმულის შეწყვეტაში ან გადავადებაში მდგომარეობს.

1. უარყოფითი;
2. დადებითი;
3. უარყოფითი და დადებითი;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

37. კვებითი განმამტკიცებლის ეფექტურობას ღირებულებას უცვლის დეპრივაცია და მოყირჭება.

1. მცდარია.
2. სწორია.

ნაწილი 5 (ინტერვენცია)

1. ქვემოთ ჩამოთვლილ რიცხვებს როგორი თანმიმდევრობით გაანაწილებდით, რომ მაღალი ალბათობის თანმიმდევრობათა პროცედურა დააკმაყოფილოს (High-p)?

A.15. B.90. C.100. D.30. E.40.

1. ACE-D

2. BCA-E

3. CBA-D

4. CBE-A

2. მათე არის 12 წლის. აქვს თვითდამაზიანებელი ქცევები. მათე გაშლილ ხელს ირტყამს თავში, რის შედეგადაც კანზე აღენიშნება შეშუპება. მას ასევე უყვარს სეირნობა ვაკის პარკში და ტელეფონში თამაში. ქცევაზე დაკვირვებით გამოითქვა ჰიპოთეზა, რომ მათე თვითდამაზიანებელი ქცევით თავს არიდებს მათემატიკის დავალების დაწერას. ქვემოთ ჩამოთვლილი ინტერვენციებიდან ამოირჩიეთ ის, რომელიც მათეს თავის არიდების საშუალებას არ მისცემს.

1. მათე მოითხოვს დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე შესვენებას;

2. მათეს მიეცემა საშუალება, მათემატიკის რამდენიმე ამოცანა ტელეფონში შეასრულოს;

3. გამოვიყენოთ რეაქციის დაბლოკვა;

4. შევთავაზოთ მათეს ვაკის პარკში სეირნობა.

3. ნინო მუშაობს მათესთან. მათეს უყვარს ნინოსთან საუბარი, მაგრამ როგორც კი ახალ ინსტრუქციას შესთავაზებს, მათე არ ასრულებს მათ და ბარათებს ძირს ყრის. ნინომ დაგეგმა ინტერვენცია. რომელი წინაპირობის ინტერვენცია იქნება მისაღები ამ კონკრეტულ შემთხვევაში?

1. ნინო მათეს ჯერ ჰკითხავს, „მათე, გუშინ სად იყავი? რა ჭამე? ვინ ნახე?“ და შემდეგ ეუბნება: „მათე, მომეცი ყველაფერი, რაც ზოლიანია“;

2. ნინო მათეს მისცემს ჩხირებს, 4 წუთში ერთ ცალს, მიუხედავად მათეს ქცევისა;

3. თუ მათე 2 წუთის განმავლობაში ბარათებს არ გადაყრის მაგიდიდან, ნინო მას ჩხირებს მისცემს.

4. თუ მათე 1 სესიის განმავლობაში არ გადაყრის ბარათებს 5-ზე მეტჯერ, მაშინ ნინო მას მისცემს ჩხირებს და ესაუბრება მისთვის საყვარელ თემებზე.

4. ნინოს მიმართეს 3 წლის მათეს მშობლებმა ჩივილით, რომ მათე სწრაფად ჭამს საჭმელს, არ ღეჭავს და კუჭ-ნაწლავის პრობლემები აქვს. ნინომ დაიწყო მათესთან მუშაობა. ქვემოთ ჩამოთვლილი ინტერვენციებიდან რომელი იქნება ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მეტად მისაღები?

1. ნინო მათეს აძლევს განმამტკიცებელს, მიუხედავად იმისა, მათე ყოველ 1 წუთში დაღეჭავს თუ არა საკვებს;

2. მათე მიიღებს განმამტკიცებელს, თუ თითოეულ ლუკმას დაღეჭავს მინიმუმ 5-ჯერ;
3. მათე არ მიიღებს განმამტკიცებელს, თუ პირდაპირ ჩაყლაპავს საკვებს;
4. არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი არ შეიძლება გამოვიყენოთ კვების დროს.

5. ნინო მიიწვიეს ფუნქციური ანალიზის ჩასატარებლად ბაღში. მათე 4 წლის ბიჭუნაა და აქვს თვითდამაზიანებელი ქცევები. ნინომ ჩაატარა ფუნქციური ანალიზი და ქცევის ფუნქციაა ყურადღება. ნინომ დაგეგმა ინტერვენცია. ქვემოთ ჩამოთვლილი ინტერვენციებიდან რომელი ინტერვენციის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი ამ კონკრეტულ შემთხვევაში?

1. მასწავლებელი, მიუხედავად მათეს ქცევისა, ყოველ 4 წუთში ერთხელ მიაქცევს მას ყურადღებას;
2. მასწავლებელი მათეს მიაქცევს ყურადღებას, თუ ის 4 წუთის განმავლობაში არ გამოავლენს სამიზნე ქცევას;
3. მასწავლებელი მათეს მიაქცევს ყურადღებას, თუ ის მინიმუმ 4 წუთის განმავლობაში 2-ჯერ დაიზიანებს თავს;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილის გამოყენება შეიძლება.

6. ნინო მიიწვიეს ფუნქციური ანალიზის ჩასატარებლად ბაღში. მათე 4 წლის ბიჭუნაა და აქვს თვითდამაზიანებელი ქცევები. ნინომ ჩაატარა ფუნქციური ანალიზი და ქცევის ფუნქციაა ყურადღება. ნინომ დაგეგმა ინტერვენცია. ქვემოთ ჩამოთვლილი ინტერვენციებიდან რომელი არის წინაპირობაში ჩარევის ინტერვენცია?

1. მასწავლებელი, მათეს ქცევის მიუხედავად, ყოველ 4 წუთში ერთხელ მიაქცევს მას ყურადღებას;
2. მასწავლებელი მათეს მიაქცევს ყურადღებას, თუ ის 4 წუთის განმავლობაში არ გამოავლენს სამიზნე ქცევას;
3. მასწავლებელი მათეს მიაქცევს ყურადღებას, თუ ის მინიმუმ 4 წუთის განმავლობაში 2-ჯერ დაიზიანებს თავს;
4. მასწავლებელი მათეს მიაქცევს ყურადღებას, თუ 4 წუთის გავლის შემდეგ მათე ერთხელ დაიზიანებს თავს.

ნაწილი 6 (ვერბალური ქცევა)

1. დაინახა ჟესტი „მანქანა“, ჟესტების ენაზე „მერსედესის“ სიმბოლო აჩვენა. ეს არის . . .
 1. ინტრავერბალი;
 2. ტაქტი;
 3. მენდი;
 4. ტრანსკრიფცია.

2. გაიგო სიტყვა „კარაქი“ დაწერა „კარაქი“ ეს არის . . .
 1. მენდი;
 2. ტაქტი;
 3. ექო;
 4. ტრანსკრიფცია.

3. მას ეძინება, თქვა „ძილი“ ეს არის . . .
 1. მენდი;
 2. ტაქტი;
 3. ექო;
 4. ინტრავერბალი.

4. სურს ვაშლის აღება, დაწერა „ვაშლი“ ეს არის . . .
 1. მენდი;
 2. ტაქტი;
 3. ინტრავერბალი;
 4. ექო.
 5. ტრანსკრიფცია

5. გაიგო სიტყვა „ბავშვი“ თქვა „ტირის“ ეს არის . . .
 1. ტაქტი;
 2. მენდი
 3. ექო;
 4. ინტრავერბალი.

6. „მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს იწვიმებს“ ფრაზის ნაწილი: „დღეს იწვიმებს“ შეიძლება იყოს:
 1. ტაქტი;
 2. ავტოკლიტიკი;
 3. ექო;
 4. ტრანსკრიფცია.

7. „მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს იწვიმებს“ ფრაზის ნაწილი: „მე დარწმუნებული ვარ“ შეიძლება იყოს:
 1. ტაქტი;
 2. ავტოკლიტიკი;
 3. ექო;
 4. ტრანსკრიფცია.

8. ხედავს ძაღლს, ამბობს სიტყვა „ძაღლს“ ეს არის . . .
 1. ტაქტი;
 2. ავტოკლიტიკი;

3. ექო;
4. ტრანსკრიფცია.

9. ესმის სიტყვა „წიგნი“ და წერს სიტყვა „წიგნს“. ეს არის . . .

1. ტაქტი;
2. ავტოკლიტიკი;
3. ექო;
4. ტრანსკრიფცია.

10. ნინო და მათე მანქანით მიდიოდნენ. მათემ „მაკდონალდსი“ დაინახა და თქვა „მაკდონალდსი“. ნინომ ჰკითხა: „რა გიყვარს, მათე?“ მათემ უპასუხა: „ჰამბურგერი“. სახლში როდესაც მივიდნენ, ნინომ ჰკითხა მათეს: „მათე, რომელია შენი საყვარელი რესტორანი?“ მათემ უპასუხა: „მაკდონალდსი“. მათეს ბოლო პასუხი არის...

1. მენდი;
2. ინტრავერბალი;
3. ექო;
4. ტაქტი.

ნაწილი 7 (წინაპირობის სტიმულები)

1. ნინოს უყვარს მეგობრებთან ერთად სეირნობა. ერთ საღამოს, როდესაც ნინოს მეგობრებმა მოაკითხეს და გარეთ გასეირნება შესთავაზეს, ნინომ გასაღები ვერ იპოვა, რომ სახლის კარი დაეკეტა. სასეირნოდ წასვლისთვის გასაღები არის...

1. მოტივაციური ოპერაციები;
2. დისკრიმინაციული სტიმული;
3. დელტა სტიმული;
4. არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი.

2. მოტივაციური ოპერაციები, რომელიც გულისხმობს გარემო შედეგების ისეთ გავლენას ორგანიზმზე, რაც ზრდის განმამტკიცებელი შედეგის ღირებულებას და ამ განმამტკიცებლის მიღებასთან დაკავშირებული ქცევის გამოვლენის სიხშირეს, არის...

1. ქცევის აღმკვეთი ოპერაცია;
2. ქცევის წარმომქმნელი ოპერაცია;
3. მოტივაციური ოპერაციები;
4. დისკრიმინაციული სტიმული.

3. ქცევის შემცვლელი ეფექტი არის მამოტივირებელი ოპერაციის გავლენა ქცევის გამოვლენის სიხშირეზე. ქცევის გამოვლენის სიხშირის მატება ან კლება არ არის დამოკიდებული მამოტივირებელი ოპერაციის ეფექტიანობაზე. ეს დებულება მცდარია თუ სწორია?

1. მცდარია.

2. სწორია.

4. ღირებულების შემცვლელი ეფექტი გულისხმობს, რომ---

1. განმამტკიცებელი სტიმული ღირებულებას ან პირიქით უფასურდება;

2. იგივეა, რაც ქცევის შემცვლელი ეფექტი;

3. გულისხმობს მხოლოდ წინაპირობის სტიმულის ღირებულების ცვლილებას;

4. არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი.

5. ქცევის შემცვლელი ეფექტი არის მამოტივირებელი ოპერაციის გავლენა ქცევის გამოვლენის სიხშირეზე. ქცევის გამოვლენის სიხშირის მატება ან კლება დამოკიდებულია მამოტივირებელი ოპერაციის ეფექტიანობაზე. ეს ღირებულება მცდარია თუ სწორია?

1. მცდარია.

2. სწორია.

6. ღირებულების შემცვლელი ეფექტი გულისხმობს, რომ-----

1. განმამტკიცებელი სტიმული მხოლოდ ღირებულებას ან პირიქით უფასურდება;

2. იგივეა, რაც ქცევის შემცვლელი ეფექტი;

3. გულისხმობს მხოლოდ წინაპირობის სტიმულის ღირებულების ცვლილებას;

4. არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი.

პასუხები:

ნაწილი 1:	17.1	
1.2	18.1	
2.1	19.4	
3.1	20.4	
4.1	21.1	
5.1	22.1	
6.2	23.1.2.3	
	24.3	
ნაწილი 2:		ნაწილი 3:
1.1		1.1
2.4		2.3
3.3		3.1
4.4		4.2
5.1		5.3
6.4		6.2
7.1		7.1
8.4		8.3
9.1		9.3
10.2		10.2
11.2		11.4
12.2		12.1
13.1		13.2
14.2		14.1
15.4		15.1
16.1		16.2

17.1	16.1
18.2	17.1
19.1	17.1
20.2	18.1
21.4	19.2
22.4	20.1
23.4	21.4
24.1	22.4
25.1	23.1
26.1	24.2
ნაწილი 4:	25.2
1.3	26.3
2.1.2	27.2
3.3	28.3
4.4	29.3
5.1	30.4
6.1	31.2
7.1	32.4
8.3	33.1
9.1	34.3
10.4	35.1
11.3	36.1
12.1	37.2
13.1	
14.1	
15.1	

ნაწილი: 5	7.2
1.4	8.1
2.2	9.4
3.1	10.2
4.2	ნაწილი 7:
5.3	1.1
6.1	2.2
ნაწილი 6:	3.2
1.1	4.1
2.4	5.2
3.1	6.4
4.1	
5.4	
6.1	



llll

